



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის

მაცნე

675-ა/2
1987

+

ეკონომიკისა და
სამართლის
სერია

2. 1987


საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე

ИЗВЕСТИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ეკონომიკისა და
სამართლის
სერია

СЕРИЯ
ЭКОНОМИКИ И
ПРАВА

ჟურნალი დაარსებულია 1980 წელს
Журнал основан в 1980 году
გამოდის 3 თვეში ერთხელ
Выходит раз в 3 месяца



2. 1987

გამომცემლობა „მეცნიერება“
ИЗДАТЕЛЬСТВО «МЕЦНИЕРЕБА»

თბილისი
ТБИЛИСИ

სარედაქციო კოლეგია: ა. გუნია (რედაქტორი), ო. გამყრელიძე, მ. გველეხიანი, პ. გუგუშვილი, გ. თოდუა, თ. ლილუაშვილი, გ. ნადარეიშვილი, ი. ფუტყარაძე, თ. შავგულიძე (რედაქტორის მოადგილე), თ. ჩიქვაძე (რედაქტორის მოადგილე), ლ. ჩიქავა.

პასუხისმგებელი მდივანი ა. შენგელია

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ: Гуния А. Л. (редактор), Гамкრелидзе О. К., Гвелеснани М. И., Гугушвили П. В., Тодуа Г. С., Лилуашвили Т. С., Надарешвили Г. Н., Путкарадзе Я. В., Чикава Л. Л., Чикваидзе Т. Н., (зам. редактора), Шавгулидзе Т. Г. (зам. редактора).

Ответственный секретарь А. Л. Шенгелия



„საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე“,
ენციკლოპედია და სამართლის სერია, 1987, № 2

რედაქციის მისამართი: თბილისი, 380007, მახარაძის ქ. № 14
Адрес редакции: Тбилиси, 380007, ул. Махарадзе, 14

ტელეფონი 93-22-60 телефон

გადაეცა წარმოებას 4.3.86; ხელმოწერილია დასაბეჭდად 6.5.87; შეკვ. № 835; ანაწყობის ზომა 7×12; ქაღალდის ზომა 70×108¹/₁₆; მაღალი ბეჭდვა; ნაბეჭდი თაბახი 9,5; სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 7,6; საღ.-გატარება 10,9; უე 04449; ტირაჟი 920;

ფასი 86 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мещниереба», Тбилиси 380060, ул. Кутузова, 19

საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Грузинской ССР, Тбилиси 380060, ул. Кутузова, 19

18802

ზინაარსი

ეკონომიკა

„მრგვალი მაგიდა“

წარმოებით ურთიერთობათა სრულყოფა და მისი რეგიონალური ასპექტები	5
ზ. სოსელია , წარმოების ტექნიკური დონის სრულყოფა მისი ინტენსიფიკაციის და ეფექტიანობის ამალღების საფუძველია	22
პ. წამბერი , გარემო ბუნების დაცვის სამეურნეო მექანიზმის შემდგომი სრულყოფის მნიშვნელოვანი მიმართულებანი	30
პ. აღიშვილი , სისტემური მიდგომა რაიონის აგროსამრეწველო კომპლექსის დაგეგმვაში	36
პ. მახაშვი , ციკლური რჩევები სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის ღინამიკაში	45
პ. ხანდაშვილი , განაწილების წინააღმდეგობის დაძლევა, როგორც სოფლად განაწილებითი ურთიერთობის სრულყოფის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი	51
რ. აბაშაძე , პროდუქციის მასალტევადაობა და მისი შემცირების გზები საქართველოს სსრ ელექტროენერგეტიკაში	61

სამართალი

პ. ელიაში , პროპაგანდის შესაძლებლობა პროტექციური სასწავლებლების მოსწავლეთა სოციალისტური მართლშეგნების ფორმირების დროს	71
ლ. ხანჩაველი , ფსიქიკის მართვის სისტემა ქცევაში (მათ შორის არასრულწლოვანთა დანაშაულებრივ ქცევაში)	76
ი. აქუბარაძე , საბრძოლველო ზედამხედველობის ისტორია საქართველოში (1922—1925 წწ.)	86
ი. გომიანაშვილი , არასრულწლოვანთა დანაშაულების განპირობების ზოგიერთი ასპექტი	91
პ. ხოშბარია-ბროსა , სამართლის ისტორიის ზოგიერთი საკითხი „ქართლის ცხოვრებაში“	97
ი. ლაბოძა , სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების სამართლებრივი საფუძვლის განმტკიცება, საბჭოთა საზოგადოების პოლიტიკური სისტემის განვითარების აუცილებელი პირობა	104
პ. ზომიძე , ანდერძის საკითხისათვის ადრეფეოდალურ საქართველოში	112

რეცენზია, ინფორმაცია, ქრონიკა

იურიდიული და ეკონომიკური ტერმინოლოგიის ახალი გერმანულ-რუსული ლექსიკონი	115
პაატა გუგუშვილი	119

ბიბლ. სსრ კ. შარქიანი
სახ. საბ. რეკლამა
ბიბლიოთეკა

СОДЕРЖАНИЕ

Экономика

«Круглый стол»

Совершенствование производственных отношений и его региональные аспекты	5
Соселия З. С. Совершенствование технического уровня производства — основа его интенсификации и повышения эффективности	22
Церетели Г. Ш. Основные направления дальнейшего совершенствования хозяйственного механизма охраны окружающей природной среды	30
Адеишвили М. Л. Системный подход в планировании ЛПК района	36
Эсебуа М. В. Циклические колебания в динамике урожайности сельскохозяйственных культур	45
Кандашвили В. С. Преодоление противоречия распределения как важнейший фактор совершенствования распределительных отношений на селе	51
Абесадзе Р. А. Материалоемкость продукции и пути ее снижения в электроэнергетике Грузинской ССР	61

Право

Элиаш Карел. Возможности пропаганды при формировании социалистического правосознания учащихся ПТУ	71
Качавели Л. Г. Система психологического управления в поведении и преступность несовершеннолетних	76
Акубардия И. Ж. История прокурорского надзора в Грузии (1922—1925 гг.)	86
Годзишавили И. В. Некоторые аспекты обусловленности преступности несовершеннолетних	91
Хоштария-Броссе Э. В. Некоторые вопросы истории грузинского права в «Картлис цховреба»	97
Лакоба Я. В. Укрепление правовой основы государственной и общественной жизни — необходимое условие развития политической системы советского общества	104
Зондзе Б. И. К вопросу завещания в раннефеодальной Грузии	112

Рецензии, информации, хроника

Новый немецко-русский словарь юридической и экономической терминологии	115
Паата Гугушвили	119

„მრგვალი მაგიდა“

წარმოებით ურთიერთობათა სრულყოფა და მისი რეგიონალური ასპექტები

სკკპ პროგრამის ახალ რედაქციაში, რომელიც სკკპ XXVII ყრილობამ მიიღო, ხანგასმითაა აღნიშნული წარმოებით ურთიერთობათა სრულყოფის აუცილებლობა განვითარებული სოციალიზმის ეტაპზე. ამ საკითხს მიეძღვნა მ. გველესიანის სტატია, რომელიც მოხსენების ტექსტის შემოკლებულ ვარიანტს წარმოადგენდა და რომელიც ჩვენს ჟურნალში გამოქვეყნდა გასული წლის მე-4 ნომერში. სტატიაზე რედაქციამ მიიღო პროფესორების გ. ადეიშვილის, ლ. ჩიქავას, ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატების მ. ჭიბუტის, ირ. ქვაჩაიას, გ. სანაძის, ვლ. ყანდაშვილის, რ. გოგობიას, დ. იაკობიძის, რ. ხარბედიას, თ. კანდელაკისა და სხვათა გამოძახილები. მიღებული მასალის საფუძველზე გაიმართა დისკუსია მრგვალი მაგიდის გარშემო, რომლის შესახებაც რედაქცია გთავაზობთ ინფორმაციას.

აკად. ა. გუნია: ჩვენი დღევანდელი შეკრების მიზანი არაა ერთიანი საბოლოო აზრის გამოთქმევა ყველა საკითხზე, მაგრამ კარგი იქნება თუ ამ მიმართულებით ერთ ნაბიჯს მაინც გადავდგამთ.

მოხსენების ტექსტში დასმულია ბევრი საკითხი: შრომითი საქმიანობის გაცვლით ფორმათა, წარმოებისა და მოხმარების ურთიერთკავშირის, მართვის ერთიანი, მთლიანი ორგანიზაციული სტრუქტურის ჩამოყალიბებისა და სხვ. განსაკუთრებით აქტუალურია საკუთრების ფორმათა, კოოპერაციული საკუთრების განვითარების გზების საკითხი; როგორც მოგვსენებათ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ა. წ. იანვრის პლენუმზე ამხანაგმა მ. ს. გორბაჩოვმა ხაზი გაუსვა აღნიშნული ფორმის პერსპექტივას. მკითხველს, რომელიც იცნობს სტატიას, ალბათ არ დასჭირდება გაუგებრობით მასში გამოთქმული მოსაზრებები.

პროფ. ლ. ჩიქავა: მ. გველესიანის მიერ განსახილველად წარმოდგენილი მოხსენება არაერთი წლის ინტენსიური მუშაობის შედეგი ვახლავთ. მასში დასმულ მთელ რიგ საკუთრადღებო საკითხთან განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სოციალისტური საკუთრების ფორმათა შესახებ ავტორისეული, ორიგინალური წინადადებები. ამ მსჯელობებში მთავარია სწორედ მეურნეობრიობის კოოპერაციულ ფორმათა გამოყენების საკითხი. უნდა აღინიშნოს, რომ საკითხი ენება არა იმდენად კოოპერაციული სექტორის გაფართოებას, რამდენადაც სახელმწიფო სექტორში ზოგიერთ უბანზე კოოპერაციისთვის დამახასიათებელ მეთოდთა გამოყენებას, მათი მეშვეობით ჩამორჩენილი უბნების წამოწევის. მაგრამ ყველაფერში როდი შეიძლება დაეთანხმო ავტორს. თავისთავად, ეს

მიდგომა ახალია და იგი მხოლოდ ფართო მსჯელობის შედეგად თუ მოიპოვებს „მოქალაქეობრივ“ უფლებას.

რეპლიკა (ე. მ. ცნ. კანდ. რ. ხარბელია): საჭიროა აგრეთვე უფრო გაშლილად დასაბუთდეს კოოპერაციული ფორმის ამგვარი დანერგვის აუცილებლობა.

პროფ. ლ. ჩიქავა: დასაბუთება აკლია ავტორის მტკიცებას, რომ XIV ხუთწლედლიდან წარმოების პირველ ქვედანაყოფში კოოპერაციული საკუთრების გამოყენება აღარ იქნება საჭირო (მოხსენების ტექსტის 35-ე გვ.).

რეპლიკები (ე. მ. ცნ. კანდ. ო. კანდელაკი): ვიზიარებ თქვენს აზრს. რას გვიშლის კოოპერაციული ფორმები XIV ხუთწლედლიდან? განვითარდეს იგიც, მთავარია იმავე დროს განმტკიცდეს სახელმწიფოებრივი, ცენტრალიზებული ხელმძღვანელობა. ავტორის ის მოსაზრება, რომ დავეშვათ შეჯიბრება კოოპერაციულ და სახელმწიფო საწარმოებს შორის, განვავითაროთ ამ პროცესში შედარებით მეტად განცალკევებული კოოპერაციული ინტერესი, ძალზე საინტერესოა და ამის გაკეთება ხანმოკლე კი არა, შედარებით ხანგრძლივი დროითაა საჭირო.

რ. ხარბელია: კოოპერაციული ფორმის გამოყენების საკითხს მეც ვეთანხმები, მაგრამ თუ ეს ფორმა აუცილებელია და სასარგებლოა ამჟამად, საკითხავია, რატომ შეიცვლება მისი ასეთი ხასიათი XIV ხუთწლედლიდან?

ლ. ჩიქავა: ვფიქრობ, ძალზე ვრცლად და გაზვიადებულადაა წარმოდგენილი მოხსენებაში მსჯელობა სამომხმარებლო კავშირებისა და მომხმარებელთა მინი-კოლექტივების შესახებ. თუმცა, იდეა თავისთავად უთუოდ ყურადსაღებია. ეს იდეა, როგორც ჩანს მომწიფდა, იგი ცხოვრებამ მოამწიფა. ამას აღსატურებს თუნდაც ის, რომ ავტორის მიერ „მაცნეში“ და უფრო ფართოდ კი მოხსენების ტექსტში მოცემული მსჯელობა სამომხმარებლო კოოპერატივების ფუნქციებისა და ნიშნების შესახებ დაემთხვა ჟურნალ „ეკონომიჩესკიე ნაუკის“ 1986 წ. № 12-ში ა. აუზანის მიერ მოცემულ მსჯელობას სამომხმარებლო კოოპერატივების შესახებ. ორივე ავტორი სამომხმარებლო კოოპერაციის პერსპექტიულ მნიშვნელობას ანიჭებს სოციალისტურ ეკონომიკაში, ხაზს უსვამს მის როლს საოჯახო მეურნეობის ფუნქციათა ნაწილის განსაზოგადებაში; საქმიანობის ოჯახთაშორისი კოოპერაციის განვითარებაში, წარმოებასა და მოხმარებას, — საბოლოო, კონკრეტულ მომხმარებელს, — შორის ახლებური ორგანიზაციული კავშირის დამყარებაში, კოოპერატივის წევრთათვის შეღავათიანი მოხმარების უზრუნველყოფაში და სხვ. მაგრამ არის განსხვავებაც: მ. გველესიანს მიაჩნია, რომ ადრე თუ გვიან სამომხმარებლო კოლექტივების საქმიანობა შერეულ, სახელმწიფო-კოოპერაციულ საკუთრებას უნდა დაემყაროს, რომელშიც სახელმწიფოებრივი საწყისი სულ უფრო დიდ ადგილს დაიჭერს და პირადი მოხმარების პროცესთა საზოგადოებრივ რეგულირებას უზრუნველყოფს, ა. აუზანი კი თვლის, რომ თვით სამომხმარებლო კოოპერატივთა კავშირის სახით ჩვენ გვექნება საერთო-სახალხო ფორმის ერთობაური საკუთრება.

დოც. რ. ვაგოზია: იმის გათვალისწინებით, რომ საცალო საქონელბრუნვის სახელმწიფოებრივი მართვის შესაძლებლობანი მკვეთრადაა შეზღუდული, უადრესად აქტუალურად გვეჩვენება აგრეთვე ფართო თვითმმართველობის განვითარება სამომხმარებლო საქონლით მომარაგება-განაწილების დარგში. მით უმეტეს, რომ უკანასკნელ პერიოდში განსაკუთრებით ივრძნობა ვაჭ-

რობასა და მომარაგებაში გარდაქმნის აუცილებლობა, სხვადასხვა სახეობის მომხმარებელთა ორგანიზაციის განვითარება, რაც, ერთი მხრივ, შეამსუბუქებს სამომხმარებლო მოთხოვნის შესწავლას, ხოლო მეორე მხრივ, ეფექტიანს გახდის მომარაგებასა და ვაჭრობაში არასაუწყებო კონტროლის მექანიზმს. ამის მნიშვნელობა განსაკუთრებით იზრდება ეკონომიკის სამომხმარებლო სექტორში დაუბალანსებლობის პირობებში, რასაც გარდაუვალად მოსდევს სპეკულაცია, კორუფცია, მანეთის გაუფასურება, სოციალისტური ცხოვრების წესის დეფორმაცია.

დოც. ირ. ქვაჩაზია: ჩვენ ვიხილავთ გულმოდგინედ დამუშავებულ და უაღრესად საინტერესო დოკუმენტს. მადლობას მოვასენებ მის ავტორს. ამასთან, მიზანშეწონილად მიმაჩნია მასში შეტანილ იქნას შემდეგი შინაარსის დამატება:

მიმაჩნია, სოციალისტურ წარმოებით ურთიერთობათა თეორიული პროგნოზი უნდა მოიცავდეს პირადი საკუთრებისა და ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის ურთიერთობათა მეცნიერულ თეორიასაც.

საქმე ისაა, რომ მოქალაქეთა პირადი საკუთრება ჩვენში ოფიციალურად ჯერ კიდევ არაა აღიარებული როგორც სოციალისტური საკუთრება (მეცნიერთა შორის კი დავა გრძელდება). ერთი მხრივ, ებრაოდე (და სრულიად სამართლიანად) არაშრომით შემოსავალს, როგორც სოციალიზმის ანტიპოდს, და იმავე დროს საკანონმდებლო აქტებში აღიარებული არ იყოს, რომ ასოცირებულ მშრომელთა პირადი შრომითი საკუთრება სოციალისტურ ურთიერთობათა ორგანული ნაწილია, თეორიულად არასწორია, ხოლო პრაქტიკულად — მავნე.

ასევე აღიარებულ უნდა იქნას, რომ ასოცირებულ მშრომელთა ინდივიდუალური შრომითი საქმიანობა, თუ იგი სოციალიზმის პრინციპების შესაბამისადაა ორგანიზებული, სოციალისტური მეურნეობის (სოციალისტურ წარმოებით ურთიერთობათა) ორგანული ნაწილია და არა ანტიპოდი, როგორც აქამდე მიგვაჩნდა. ასეთი საქმიანობის წახალისება მოასწავებს ადრე დაშვებული შეცდომების (გაუმართლებელი ადმინისტრაციული შეზღუდვის, დაუსაბუთებელი აკრძალვის) გამოსწორებას და არა უკან დაბრუნებას, როგორც ზოგიერთებს სურთ საქმის ვითარების დახატვა.

ერთი სიტყვით, გამოიკვეთა ამოცანა: უნდა შეიქმნას მოქალაქეთა ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის თეორია, რომელიც ჩვენ აქამდე არ გვაჩნია.

მოქალაქეთა ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის ორგანიზაცია და წარმართვა, ჩემი აზრით, კარგად „იწერება“ მოხსენებაში შემოთავაზებულ სამომხმარებლო კოლექტივების ფუნქციებში.

დოც. ვლ. ყანდაშვილი: საკუთრებითი ურთიერთობის სრულყოფა ლიტერატურაში ზოგჯერ გაგებულ იყო როგორც მხოლოდ საკოლმეურნეო-კოოპერაციული საკუთრების „აყვანა“ საერთო-სახალხო საკუთრების დონემდე. ხანდახან იმასაც კი უგულვებელყოფდნენ, თუ რამდენად იყო მომწიფებული ეს პროცესი. სკკპ პროგრამაში (ახალი რედაქცია) ეს საკითხი დაზუსტდა. სოციალისტური საკუთრება, როგორც მასშია აღნიშნული, „მოიცავს წარმოების საშუალებებისა და შედეგების გამოყენების, ადამიანთა, კოლექტივთა, დარგთა, ქვეყნის რეგიონთა ურთიერთობის მრავალმხრივ სისტემას, ეკონომიკური ინტერესების მთელ გამას... თუ ღრმად არ გავიზრებთ ამ ცვლილებებს თეო-

რიულად, ვერც სწორ პრაქტიკულ გადაწყვეტას ვიპოვით და მასმასაღამე ვერც დროულად შევიმუშავებთ ღონისძიებებს სოციალისტური საკუთრების ნამდვილად ყაირათიანი დამოკიდებულების ჩამოყალიბებისათვის“ (სკკპ XXVII ყრილობის მასალები, თბილისი, 1986, გვ. 59,60).

და მაინც, თვალში გვხვდება, რომ როგორც მოხსენების ტექსტიცაა მითითებული, საკოლმეურნეო საკუთრების საერთო-სახალხო ღონესთან დაახლოების საკითხს ავტორი არ ეხება. ცხადია, წარმოებითი ურთიერთობების სრულყოფის თაობაზე შექმნილმა საბოლოო ტექსტმა უნდა ასახოს შუალედური ფორმები, რომლებიც საკუთრების ორი ფორმის დაახლოების გზაზე წარმოიქმნება. ამ თვალსაზრისით საჭიროდ მიმაჩნია უწინარეს ყოვლისა შევისწავლოთ სამეურნეობათაშორისო კოოპერაციისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის პროცესები. აქ ერთ-ერთ საინტერესო ასპექტს წარმოადგენს ის, თუ როგორ უზრუნველყოთ, რომ ამ პროცესთა დაჩქარების მიზნით სახსრების ცენტრალიზაციის შემდეგ კოლმეურნეობები ამ სახსრებზე საკუთრებას, მათი გამოყენებისა და კონტროლის საშუალებას ფიქტიურად კი არა, ფაქტიურად ინარჩუნებდნენ.

მეცნ. თანამშრ. დ. პაქსაშვილი: მოხსენებიდან ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს კოოპერატივების შექმნა და მთელი დაგროვილი პრობლემების გადაჭრა ერთი იქნება. ჩემთვის გაუგებარი დარჩა დებულება, რომ კოოპერატივები შეიძლება შეიქმნას მსხვილი საწარმოს შიგნით ცალკეული რგოლების მიხედვით. ცნობილია, რომ საკუთრების კოოპერაციული ფორმა დაბალი საფეხურია საერთო-სახალხო საკუთრებასთან შედარებით. ამიტომ მიმაჩნია, რომ კოოპერაციული ფორმა კი არ უნდა გამოვიყენოთ უფრო ფართოდ, არამედ ვეძიოთ, თუ რატომ გვაქვს ამდენი ნაკლოვანება საერთო-სახალხო სექტორის შიგნით, როგორ აღმოვფხვრათ ისინი.

იგივე აზრი გამოთქვეს **ეკ. მეცნ. კანდიდატმა მ. თოქმაზიშვილმა და უმცროსმა მეცნ. თანამშრომელმა ზ. ხვედელიანმა.**

უმცრ. მეცნ. თანამშრ. ზ. ხვედელიანი: სამომხმარებლო კოოპერაციის წარმოდგენილი ფორმა ახალ სიტყვას წარმოადგენს და იგი აუცილებლად უნდა გახდეს ჩვენი ღირებულებული ორგანოების ინტერესისა და ზრუნვის საგანი. შეიძლება პრაქტიკამ უკუაგდოს ან არსებითი კორექტივები შეიტანოს ამ იდეაში, მაგრამ უდავო ფაქტია, რომ ცხოვრებამ მწვავედ დააყენა პროდუქტთა განაწილებისა და მოხმარების ურთიერთობათა ფორმების არსებითი გარდაქმნის საკითხი. მაგრამ რამდენადაც რეალურად და აუცილებლად შესაძლებელია სამომხმარებლო კოოპერატივების შექმნის იდეა, იმდენადვე მიუღებლად — შეხედულება სახელმწიფო საწარმოში კოოპერაციული უბნების შექმნის შესახებ. შევეცდები დავასაბუთო ეს.

ჯერ ერთი, ვთქვათ და ჩამოვაყალიბოთ კოოპერატივები საწარმოთა (გაერთიანებათა) ზოგიერთ უბანზე, ანუ გადავეციოთ მათ წარმოების საშუალებანი (არა აქვს მნიშვნელობა, კრედიტის ფორმით მოხდება ეს თუ რაიმე სხვა ფორმით). მეტისმეტად შორს ხომ არ წავიყვანს ეს, არასასურველი შედეგებისაკენ?

მეორეც, დღეს წარმოებაში გამოყენებულ, განსაკუთრებით კი ახალ, ორგანიზაციულ ფორმებს ხომ არ „ამოუწურავთ“ თავიანთი თავი? განა ბრიგადული იჯარა (სახელმწიფო სექტორში), საოჯახო იჯარა და სხვ. უდიდესი რეზერვების მატარებელი არ არიან? არ უნდა დაგვაიწყდეს ის „სასწაულიც“.

რაც შჩეკინოელთა მეთოდმა მოახდინა; და განა იმავე სასწაულების მომსწრე არ ვცაყავით აბაშაში, როცა სტიმულირების ახალ სისტემაზე გადასვლამ სულ მოკლე ხანში განსაცვიფრებლად გააუმჯობესა საწარმოო მაჩვენებლები? მთავარია, გამოვიყენოთ ის, რაც უკვე ვაქვს, და სულაც არ არის საჭირო იმგვარი სიახლეები, რომლებმაც შეიძლება არასასურველ შედეგამდე მიგვიყვანოს.

Мл. н. сотрудник С. Галдина: нельзя не согласиться с необходимостью более широкого использования кооперативной формы, но расхожусь с автором в оценке возможностей сочетания государственной и кооперативной форм на одних и тех же предприятиях в сфере производства. Считаю допустимым такое сосуществование только на небольших предприятиях, с невысокой технической оснащенностью и не требующих в ближайшее время коренной модернизации. На крупных, передовых предприятиях кооперативные образования возможны, думается, только в сфере, обслуживающей индивидуальные и коллективные потребности работников предприятия. Совершенствованные производственных отношений на крупных предприятиях целесообразно вести в рамках хозрасчета объединения, предприятия, цеха, участка, используя бригадные формы организации труда.

Предлагаемые паевые взносы превращают предприятия в тип акционерных обществ, но ведь накопления трудящихся в СССР в сфере личной собственности не столь значительны, чтобы участвовать модернизации крупных производств и нести материальную ответственность за уникальное оборудование. То есть они не могут иметь реального экономического смысла.

Что же касается развития кооперативных форм в жилищном строительстве, легкой промышленности, сельском хозяйстве, это действительно необходимо.

Весьма важной считаю также разработку автором темы обобществления домашнего хозяйства, обобществления процессов потребления. Эта тема лишь начинает разрабатываться в современной экономической литературе и, думается, имеет большие перспективы. В предложениях автора по этим вопросам мы находим много оригинального и полезного.

დ. იაკობიძე: წარმოდგენილ ნაშრომში განვითარებული მიმართულება კვლევისა სწორია. ამ მიმართულებით მუშაობა საშუალებას მოგვცემს საბოლოოდ გავარკვიოთ და გავმიჯნოთ ერთიმეორისაგან სამეურნეო ურთიერთობის სრულყოფა-გარდაქმნის ეკონომიკური და ადმინისტრაციული ფორმები. განსაკუთრებულ მოწონებას იმსახურებს მომხმარებლის აქტივიზაციის საკითხი, წარმოებისა და მოხმარების კავშირურთიერთობის კონკრეტული წინადადებები.

მიუხედავად ამისა, ჩემი აზრით, კვლევა არ არის მთელი სისრულით წარმართული, აკლია ის ბირთვი, რომელიც შეაკავშირებდა სხვადასხვა ნაწილს. მიზანი — გამოვხატოთ ჩვენს რესპუბლიკაში წარმოებითი ურთიერთობის სრულყოფის თავისებურებანი — მიუღწეველია. ამიტომ ვფიქრობთ, დოკუმენტის შემდგომი დამუშავებისას აუცილებელია გამოვიდეთ შემდეგი დასაბუთებიდან:

ა) ისეთი სპეციფიური, განსაკუთრებული ეკონომიკური მოვლენებიდან, რომელთაც ადგილი აქვს რესპუბლიკაში, სახელდობრ: ეკონომიკის განვითარების სოციალურ-ისტორიული თავისებურებებიდან; წარმოების ობიექტური ბუნებრივ-კლიმატური პირობებიდან; წარმოების განვითარებისა და მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების ეროვნული და ეთნიკური პირობებიდან; წარმოების საშუალებათა და სამუშაო ძალის განვითარების მოცემული დონიდან და მათი შეერთების თავისებურებიდან და ა. შ.

ბ) წარმოებითი ურთიერთობის გამოვლენის ფორმათა სიმწიფიდან. მხედველობაში მაქვს: საზოგადოებრივი წარმოების განსაზოგადოების დონე; ეკონომიკური კავშირის გეგმაზომიერი ფორმით სასაქონლო ფორმის შეცვლის შესაძლებლობანი; გეგმაზომიერების ელემენტის გაძლიერება ისეთ სინთეზურ ეკონომიკურ ფორმებში, როგორცაა სამეურნეო ანგარიშიანი ურთიერთობა, გეგმური ფასი, ხელფასი, მოხმარების საზოგადოებრივი ფონდები და ა. შ.; წარმოებისა და მოხმარების საზოგადოებრივი ორგანიზაციის თავისებურებანი კონკრეტული ადგილისა და დროის მიხედვით და ა. შ.

გ) ახალი ეკონომიკური ფორმები, რომელთაც ექსპერიმენტული გამოცდა გაიარეს საქართველოს სსრ-ში, როგორცაა ფფთის ექსპერიმენტი, ბათუმის ექსპერიმენტი და ა. შ.

მთლიანად ვერ დავეთანხმები კოლეგებს სამომხმარებლო კოლექტივებისა და კავშირების შესახებ ავტორის მოსაზრებათა შეფასებაში. წამოყენებული კონცეფციები კეთილ ზრახვებს ისახავს, მაგრამ ტოვებს შთაბეჭდილებას ზედაპირული განსჯისა, რომელშიც კავშირი — „წარმოება-მოხმარება“ — გამარტივებულია უშუალობამდე და დაპირისპირებული სუბიექტები რაოდენობრივად, თვისობრივი გამოვლენის გარეშე არიან ერთიმეორეზე დამოკიდებულნი.

ო. კანდელაკი: განსახილველი ტექსტი მთლიანად ეხმიანება სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, ეკონომიკის ინტენსიფიკაციის, მათ შორის წარმოებითი ურთიერთობის ინტენსიფიკაციის აქტუალურ პრობლემებს, აგრეთვე ეკონომიკური თეორიის სრულყოფის პრობლემებს. ახლებურადაა დასმული ბევრი საკითხი და მათ უმრავლესობაში არ შეიძლება არ დავეთანხმოთ ავტორს. რა თქმა უნდა, ეს პირველი მიახლოებაა იმ საბოლოო დოკუმენტისადმი, რომლის შექმნა კოლექტიური შრომით არის განზრახული, სწორედ ამ მიზანს ისახავდა ავტორიც, მაგრამ ამჟამინდელი სახითაც, ჩემი აზრით, ტექსტში მიღწეულია მთლიანობა, შინაგანი სტრუქტურის ღრმა გააზრებით.

რაც შეეხება გამჭოლ იდეას, ასეთია მომხმარებლის ახალი ფუნქცია. მოხმარებისა და წარმოების კავშირში მთავარი უნდა გახდეს, ერთიანი ცენტრის მეშვეობით დამყარებულ კავშირთან ერთად, აგრეთვე მომხმარებლის უშუალო ზემოქმედება წარმოებაზე. როდესაც წარმოება ისე ვერ არის დაქვემდებარებული და „მიანობიერი“ მოხმარებას, როგორც საჭიროა, ეკონომიკური მეცნიერების საფუძვლიანი სწორედ ის ხდება, თუ როგორ „მივუახლოვოთ“, რა ახალი ფორმები გამოვინახოთ. ამ საკითხზე ავტორი ვეთავაზობს ასეთი ზემოქმედების მრავალ შესაძლებელ კონკრეტულ წესსა და გზას. ასეთია არა მხოლოდ პირდაპირი ტექნიკურ-ტექნოლოგიური ზემოქმედება, არამედ კოოპერაციულ და სახელმწიფო „უბნებს“ შორის შეჯიბრების განვითარებაც, შეფარდებითად განცალკევებული კოოპერაციული ინტერესის დამუშავაც.

მთლიანად, მოხსენების ტექსტის კონცეფციურ სტრუქტურასაც ვეთანხმები. თუმცა იგი, ჩემი აზრით, გარკვეულ სრულყოფას მოითხოვს, ავტორი, ერთი

მხრივ, სწორად ხედავს წარმოებითი ურთიერთობის განვითარების იმპულსს საწარმოო ძალებში, მაგრამ მეორე მხრივ, არ განიხილავს ბაზისზე ზედნაშენური მოვლენების უკუგავლენას. ეგებ, ამ საინტერესო ასპექტის დამუშავებაში მეცნიერი იურისტებიც ჩაებან?! სამეურნეო სამართალი ხომ აქტიურ უკუ-ზემოქმედებას ასდენს წარმოებითი ურთიერთობის სრულყოფაზე.

რაც შეეხება საწარმოო ძალთა განვითარების ტენდენციებს, აქ ავტორი ასახელებს მხოლოდ ორს — ტექნიკის ზომების შემცირებასა (მინიატურისაციისა) და საწარმოო სისტემების მოქნილობის ამაღლებას, რომლებიც, მისი აზრით, მთავარი წინაპირობებია წარმოებითი ურთიერთობის სრულყოფისათვის. ამ ფაქტორებს დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ არც სხვებს უნდა ავუაროთ გვერდი, სახელდობრ, ისეთებს, როგორიცაა ქვეყნის სახალხო-სამეურნეო კომპლექსის ვასელა განვითარების ახალ თავისებრივ საფეხურზე და ეკონომიკის დაგეგმვისა და მართვის ეკოლოგიზაცია.

მთლიანად, მე მეტად მაღალი აზრის გახლავართ წარმოდგენილ ტექსტზე. იგი კარგად ასრულებს კვლევის ორიენტირის როლს დაინტერესებული პირებისათვის, რომელთაც შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობის სრულყოფის კოლექტიურ კვლევაში.

დოც. ჯ. პაპკორია: თქვენ აღნიშნეთ საწარმოო ძალებისა და ზედნაშენის შესახებ. ჩემი ზოგადი შენიშვნა ასეთია, რომ მთელი ნაშრომი ფაქტიურად უმეტესწილად საწარმოო ძალთა და ზედნაშენურ მოვლენათა განვითარება-სრულქმნას ეხება, ვიდრე წარმოებით ურთიერთობათა სრულყოფას.

დ. პაქსაშვილი: მართალია, ამ საკითხის დეტალები ჩემთვის უცნობია, მაგრამ ჩემი აზრით, კონკრეტული და როტორული ტექნიკა პრინციპულად სხვადასხვა შინაარსის მატარებლები არიან. ალბათ საჭიროა ტექნიკური ინფორმაციის შესწავლა და ამის შესაბამისად ტექსტში მოცემული დებულებების დაზუსტება.

მ. თოქმაშვილი: ჩემი აზრით, ტექნიკის ზომების შეცვლა თავისთავად ტენდენციას არ უნდა წარმოადგენდეს. ეგებ ჯობდეს ცნება — „ინდივიდუალური მოხმარებისათვის გამოყენების შესაძლებლობათა განვითარება“? თანაც, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის სპეციალისტებმა შეიძლება საპირისპირო არგუმენტიც წამოაყენონ „ტექნიკის მინიატურისაციისათვის“ პრიორიტეტული როლის მინიშების შესახებ ტექნიკის გიგანტიზაციისთან შედარებით, როგორც წარმოებაში, ისე საოჯახო მეურნეობაში. მაგალითად, მინიატურული წიგნი ან ტელევიზორი მოხმარებისათვის მოუხერხებელია, ელექტრონულ-გამომთვლელ ტექნიკას მთელი შენობები უკავია და სხვ. თუმცა ავტორის აზრს ძირითადად ვეთანხმები.

ლ. ჩიქავა: რაც შეეხება საქართველოს სახალხო მეურნეობის დარგობრივ სტრუქტურას, მე აქ ასეთი შენიშვნა მაქვს: მიზანშეწონილი კი არის რესპუბლიკაში მანქანათმშენებლობის უპირატესი განვითარება? რომ შემოვიტანოთ მანქანათმშენებლობის პროდუქცია, ვითომ, რა უშავს? ან — რას მოგვცემს ფოლადის, ენერჯისა და ა. შ. გადმონაწილება რესპუბლიკაში?

რ. ხარბელია: შესაბამისი თავის სათაურში, ვფიქრობ, ზედმეტია რეგიონულ თავისებურებებზე აქცენტის გაკეთება, რადგან ქვემოთ, ტექსტში რეგიონულ თავისებურებებზე თითქმის არაა ლაპარაკი. საწარმოო ძალების განვითარებას, მათს ხასიათში ცვლილებას, ცვლილებებს ტექნიკურ-საწარმოო ურთიერთობებში ისეთი რეგიონული თავისებურებები, ჩემი აზრით, არ უნდა

ჰქონდეთ, რომ ღირდეს მათზე ლაპარაკი, ერთადერთი — შეიძლება ვილაპარაკოთ დარგობრივი სტრუქტურის ცვლილების შესახებ.

ვლ. ყანდაშვილი: მე ვიტყვოდი, თვით წარმოებითი ურთიერთობა ისეთი ფართო ცნებაა, რომ მას საერთოდ არ შეიძლება ჰქონდეს რეგიონული ასპექტი, ამიტომ დასათაურებაც არასრულყოფილად მეჩვენება. სოციალისტური წარმოების წესი არ შეიძლება სხვადასხვანაირად მოქმედებდეს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებში, აქედან გამომდინარე, წარმოებით ურთიერთობათა ხასიათი, მათი შემდგომი განვითარება და სრულყოფა ისეთი რეგიონული თავისებურებების შემცველი ვერ იქნება, რომ ამას თეორიული კვლევა-დასაბუთება სჭირდებოდეს.

რ. გოგობია: ამში ვერ დაგეთანხმებით. დიანაც, რომ წარმოებითი ურთიერთობა ფართო ცნებაა, თუ მას წარმოვიდგენთ მხოლოდ წარმოების წესის ასპექტით, ვთქვათ, „სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობა“. მაგრამ ეს მთლიანი ურთიერთობა ხომ მოიცავს წარმოების, განაწილების, გაცვლისა და მოხმარების ურთიერთობებს თავიანთი მრავალი ქვესისტემით, რომლებიც ყოველად შეუძლებელია ერთნაირად ვლინდებოდნენ (და შესაბამისად, გამოიყენებოდნენ) ჩვენი უზარმაზარი ქვეყნის ყველა რეგიონში. შესაბამისად, წარმოებით ურთიერთობათა გამოვლენის რეგიონული ასპექტების შესწავლა არც თუ ისე უპერსპექტივოდ გვესახება და ის სრულებითაც არ ნიშნავს წარმოების წესის ერთიანობის უგულვებელყოფას.

რ. ხარბელია: მე ვფიქრობ, კოლექტიურმა კვლევამ, რომელიც ამ მიმართულებით მხოლოდ იწყება, წინა პლანზე უნდა წამოსწიოს სწორედ წარმოებითი ურთიერთობის განვითარების რეგიონული ასპექტები.

გ. აღეიშვილი: წარმოებითი ურთიერთობების სრულყოფის კვლევისას ყურადღება უნდა გამახვილდეს იმაზე, რომ პრინციპი — „თითოეულისაგან უნარის მიხედვით“ — ჯერჯერობით არათუ სრულად არ ხორციელდება, არამედ პრაქტიკაში ხშირად ნაკლებად გაითვალისწინება. პირველ რიგში ეს იმაში გამოიხატება, რომ სახალხო მეურნეობის მუშაკთა დიდ ნაწილს თავის სამუშაო უბანზე არა აქვს შექმნილი ჯეროვანი პირობები თავისი უნარის სათანადოდ გამოქვლიანებისათვის. ამის შესახებ, ზოგადად, ისიც მეტყველებს, რომ ქვეყნის მრეწველობაში დასაქმებულთა 30%-ზე და სოფლის მეურნეობაში — 70%-ზე მეტი ჯერ კიდევ ასრულებს მარტივ ხელით შრომას, რაც არ შეესაბამება არც ერთი საზოგადოებრივი ჯგუფის უნარსა თუ მოთხოვნებს. ფრიად დამაფიქრებელია ის, რომ დისკორდორტული სამუშაო ადგილების რაოდენობა ერთობ ნელა მცირდება, რაც სერიოზულ სოციალურ და ეკონომიკურ დანაკარგებს იწვევს. ამიტომ როდესაც წარმოებითი ურთიერთობების განვითარებას ვიკვლევთ, უნდა გამოვიდეთ არა მხოლოდ საწარმოო ძალთა განვითარების ზოგადი დახასიათებიდან, არამედ უფრო კონკრეტული გარემოებებიც უნდა მივიღოთ მხედველობაში.

მეორე მხრივ, ავტორთან მაქვს კიდევ ერთი, მთავარი შენიშვნა: ჩემი აზრით, არ შეიძლება წარმოებითი ურთიერთობის სრულყოფის მიმართულებათა ზედმეტი დეტალიზაცია, მითუმეტეს პროგნოზირება, მოხმარების სფეროს ორგანიზაციული სტრუქტურა მეტისმეტად დაკონკრეტებულია, რაზეც უკვე იყო პროფესორ ლ. ჩიქავას შენიშვნა. ამას გარდა, არ შეიძლება რომელ ხუთწლიურ ში რა მოხდება ამის მითითება.

გ. სანაძე: ვეთანხმებით. მოხსენებაში უდავოდ, თეორიული და პრაქტიკული საკითხების არსებითად ახლებური დასმაა მოცემული და ღრმადაც არის გააზრებული, მაგრამ ვარაუდები წარმოებითი ურთიერთობის სრულყოფის შესახებ კონკრეტული არ უნდა იყოს.

ზოგ სხვა რამეშიც არ ვეთანხმებით ავტორს. ავიღოთ, მაგალითად, საკითხი სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის შესახებ. აქ ავტორი ამ ურთიერთობის ნაშთებზე ლაპარაკობს სოციალიზმის დროს. რამდენად ეხმაურება ასეთი მიდგომა სკკპ XXVII ყრილობის მითითებას იმის შესახებ, რომ უნდა დაეძლიოთ ცრურწმენა სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის მიმართ?

დ. პაქაშვილი: მეც მივაქციე ყურადღება იმას, რომ ავტორი საქონლო-წარმოებას, მის ელემენტებს სოციალიზმის დროს ნარჩენს უწოდებს. რამდენადაც ვიცი, იგი ამ დებულების მომხრე არ არის და არსებითად არც აღარავინ იზიარებს მას. ყოველ შემთხვევაში, ვიცნობ ავტორის მიერ ჟურნ. „საქართველოს სახალხო მეურნეობაში“ 1972 წლის № 5-ში გამოქვეყნებულ სტატიას და იქ იგეგმ, პირიქით, ამ დებულების მომხრეებს აკრიტიკებს.

რ. გოგოხია: პირადად მე, ნაწრომის ერთ-ერთ მთავარ ღირსებად მივიჩნევ სწორედ იმას, რასაც სხვები ნაკლად უთვლიან ავტორს. საკითხი შეეხება წარმოებით ურთიერთობათა ცალკეული მხარის სრულყოფის პროგნოზირებას მეტნაკლებად ხანგრძლივი პერიოდისათვის. ეს მეტად რთული, მაგრამ უაღრესად საჭირო საქმეა. ზოგადთეორიულთან ერთად, დროა პოლიტიკონომისტებმა აქტიურად მოიძიონ ხელი წარმოებით ურთიერთობათა სრულყოფის კონკრეტული საკითხების კვლევას, რომლის შედეგებიც ეკონომიკური ზრდის დაჩქარების ასპექტით უშუალოდ გამოსაყენებელი იქნება განვითარების ამა თუ იმ ეტაპისათვის. სწორედ ამისკენ მოგვიწოდებს სკკპ XXVII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებები.

სოციალისტურ წარმოებით ურთიერთობათა სრულყოფის ძირითად მიმართულებათა დასახვა უდაოდ სულ უფრო მეტად ხდება აუცილებელი სოციალისტური ეკონომიკის განვითარების გრძელვადიანი პროგნოზების შემუშავებისას. ეს პროცესი მეტნაკლები ზომით ასახვას პოულობს ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითად მიმართულებებში, მაგრამ იქ მაინც, ასე თუ ისე, დანაწევრებულად, ფრაგმენტულად აისახება. წარმოებით ურთიერთობათა — მაგალითად, საკუთრებითი ურთიერთობის, გეგმაზომიერების, განაწილებითი თუ გაცვლითი ურთიერთობის სრულყოფის საკითხები მოცემულია გეგმის ცალკეულ, სხვადასხვა განყოფილებებში. წარმოებითი ურთიერთობის სრულყოფის დასაბუთებული პროგრამის შემუშავება ამოსავალი პუნქტი უნდა გახდეს პერსპექტივაში სამეურნეო მექანიზმის ძირითადი ტენდენციების შემუშავებისათვის.

რაც შეეხება სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის საკითხს, უსათუოდ დასაზუსტებელია ავტორისეული მსჯელობა. აქ აუცილებლად უნდა ვიხელმძღვანელოთ ამხ. მ. ს. გორბაჩოვის იმ მითითებით, რომ დროა დაეძლიოთ დრომოქმედი შეხედულება სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის მიმართ, მისი მნიშვნელობის დაკნინება ეკონომიკის გეგმიანი ხელმძღვანელობის პრაქტიკაში და რომ სოციალისტურ საფუძველზე სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის ჯანსაღი ფუნქციონირება ეფექტიანი მეურნეობის საწინდარია (სკკპ XXVII ყრილობის მასალები, თბ., 1986, გვ. 61).

ამ ასპექტით კი ბევრი აქტუალური, მაგრამ ჯერ კიდევ გადაუწყვეტელი პრობლემა გვაქვს. მაგალითად, სოციალიზმის სრულყოფის ეტაპზე მართვის ეკონომიკური მეთოდების სრულყოფისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ერთიანი სახალხო მეურნეობრივი კომპლექსის დარგთა და საწარმოთა პროდუქციის უშუალოდ საზოგადოებრივ სახმარ ღირებულებასა და მის საქონლურ ფორმას შორის წინააღმდეგობის თანმიმდევრულ გადაწყვეტას, წინააღმდეგობისა, რომელსაც კიდევ უფრო აძლიერებს ვოლუნტარიზმი და სუბიექტივიზმი სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების კატეგორიების სამეურნეო პრაქტიკაში გამოყენებისას.

დოც. ჯ. პაპკორია: ავტორის მიერ კოლოსალური შრომაა გაწეული და ბევრი საყურადღებო წინადადება მოცემული (ეს წინადადებანი ძალზე დეტალური შესწავლის ღირსია ჩვენი აზრით). დიდად კომპეტენტურად არა ვთვლი თავს ამ პრაქტიკული მნიშვნელობის წინადადებათა სიღრმისეულ შრეებში წვდომისას, ამიტომ მათზე არ შევჩერდები.

ჩემს ინტერესს შეადგენს თეორიულ-კონცეფციური საფუძველი, რაზეც უმთავრესად აგებულია ავტორის მოსაზრებანი. საერთოდ ეს საფუძველი მარქსიზმ-ლენინიზმს ეყრდნობა და ეს სხვანაირად არ შეიძლება ყოფილიყო. მაგრამ ზოგიერთი ხასიათის თეორიულ უზუსტობაზე მაინც უნდა შევჩერდეთ.

წარმოებით ურთიერთობათა სტრუქტურა ავტორს ცნობილი სამერთიანი ელემენტის სახით აქვს წარმოდგენილი:

1. წარმოების საშუალებებზე საკუთრების ფორმა;
2. წარმოებაში სხვადასხვა სოციალური ჯგუფის მდგომარეობა და მათი ურთიერთდამოკიდებულება ან თავიანთი საქმიანობის ურთიერთგაცვლა;
3. პროდუქტების განაწილება (იხ. გვ. 3).

ეთქვათ, არ შევედავეთ ავტორს, რომ ასეთი სამერთიანი ფორმულა სამეცნიერო ბრუნვაში 1952 წელს შემოვიდა (ამაზე ქვემოთ შევჩერდებით) და მაშინ სულ სხვა პირობები ყო, ვიდრე ახლა. ამიტომ თითქოს ავტორს უფლება აქვს დააზუსტოს ეს სქემა (და ამის უფლება აუცილებლად ყოველთვის ყველა ავტორს უნდა ჰქონდეს), განსაკუთრებით მისი მეორე პუნქტი, როგორც საქმიანობის გაცვლა „წარმოებით ურთიერთობათა სუბიექტებს შორის“. შემდეგ ავტორი გვიხსნის, თუ რატომ იყო მაშინ ასე მიღებული მეორე ელემენტი და მას მიაჩნია, რომ აქ საქმიანობის გაცვლა სულაც არაა არც წარმოების საშუალებათა მითვისება და არც განაწილება (იხ. გვ. 3—4). (ავტორი სრულიად შეგნებულად უარყოფს კლასების, სოციალური ჯგუფების თანაფარდობას, რათა მისი ადგილი შემდეგში თავისუფლად დაიჭიროს, ეთქვათ, სამინისტროებმა და ა. შ.).

საბოლოო ჯამში, ავტორი მიდის იქამდე, რომ სუბიექტებს შორის საქმიანობის გაცვლა (მეორე ელემენტი, მის მიერ ასე ფორმულირებული) ამოსავალ წარმოებით ურთიერთობად დასახოს.

აქ, ჩვენი აზრით, რამდენიმე უზუსტობაა და თანაც უმთავრესად მეთოდოლოგიური ხასიათისა.

ჯერ ერთი, ჩვენ ყველას გვახსოვს თუ რა კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა ზოგიერთმა „მეცნიერმა“ სტალინისეული სამერთიანი ფორმულა და ვერც კი მიხვდა: აკრიტიკებდა რა სტალინს ამ საკითხში, სინამდვილეში აკრიტიკებდა კ. მარქსსა და ვ. ი. ლენინს.

ამიტომ აქ უპრიანია მივმართოთ მათ მიერ განვითარებულ დებულებებს:

„განაწილება ფრიად ზერელე გაგებით, — წერს კ. მარქსი „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“, გვეჩვენება პროდუქტების განაწილებად და ამგვარად წარმოებისაგან მეტად დაშორებულად და quasi დამოუკიდებლად. მაგრამ ვიდრე განაწილება გახდებოდეს პროდუქტთა განაწილება, იგი არის:

1. საწარმოო იარაღების განაწილება და 2. რაც იმავე ურთიერთობის შემდგომ განსაზღვრას წარმოადგენს, — საზოგადოების წევრთა განაწილება წარმოების სხვადასხვა სახეებზე (ინდივიდუალთა მოქცევა წარმოების განსაზღვრულ ურთიერთობათა ფარგალში). პროდუქტების განაწილება, ცხადია, შედეგია ამ განაწილების, რომელიც თვით წარმოების პროცესს შიგნით არის მოქცეული და წარმოების სტრუქტურას განსაზღვრავს“ (კ. მარქსი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, თბ., 1932, გვ. 18).

აქ კ. მარქსი სავესებით ნათლად უჩვენებს, რომ წარმოების იარაღების განაწილება (საკუთრების ფორმა მასზე) განსაზღვრავს ადამიანთა განაწილებას წარმოების სხვადასხვა დარგში ანუ ადამიანთა მოქცევას განსაზღვრულ წარმოებით ურთიერთობებში (სხვა რაა ეს თუ არა კლასებად, სოციალურ ჯგუფებად დაყოფა) და რომ პროდუქტების (პროდუქტებში აქ მოხმარების საგნები იგულისხმება) განაწილება შედეგია მხოლოდ წარმოების საშუალებათა განაწილებისა.

ახლა ვნახოთ კლასების ლენინისეული განმარტება: „კლასები ეწოდება დიდ ჯგუფებს, რომლებიც განსხვავდებიან თავიანთი ადგილით საზოგადოებრივი წარმოების ისტორიულად განსაზღვრულ სისტემაში, თავიანთი (მეტწილად კანონებში განმტკიცებული და გაფორმებული) დამოკიდებულებით წარმოების საშუალებებისადმი, თავიანთი როლით შრომის საზოგადოებრივ ორგანიზაციაში და, მამასადამე, საზოგადოებრივი სიმდიდრის იმ წილის მიღების წესით და სიდიდით, რომელიც მათ ხელთ აქვთ“.

თუ ამ განსაზღვრების ზოგად-აბსტრაქტულ ნაწილს მხედველობაში არ მივიღებთ, მაშინ აქაც კ. მარქსის ზემოთ მოცემული სამერთიანი ფორმულაა ოდნავ შეცვლილი სახით წარმოდგენილი (მე მგონია, გაუმიფრავად ცხადია ეს).

ამიტომ, ვაჭამებ, ეს სამერთიანი ფორმულა მხოლოდ უფრო მკაფიო ფორმით წარმოადგინა სტალინმა.

მესამე, მეორე ელემენტის ამოსავალ ურთიერთობად გამოცხადება არაა გამართლებული თუნდაც იმიტომ, რომ მაშინ წარმოდგენილი სქემა საერთოდ ინგრევა. ამასთან შუათანა ელემენტი (ასე, ვთქვათ, მედიუმი) არასოდეს არ შეიძლება იყოს ამოსავალი. სხვანაირად ეს იგივეა, რაც კაპიტალიზმის პირობებში საქონლის ნაცვლად ფული გამოვაცხადოთ უჯრედად, ამოსავალ წარმოებით ურთიერთობად.

მეოთხე, ავტორი გრძნობს წინააღმდეგობას, რომ ამოსავალი წარმოებითი ურთიერთობა სხვაა, ვიდრე ძირითადი (ასეთად კომუნის I ფაზისათვის, ჩვენი ღრმა რწმენით, ახლა უკვე სავესებით მართლად ავტორს მიაჩნია საზოგადოებასა და უშუალო მწარმოებლებს შორის ურთიერთობა. იხ. გვ. 7). ამიტომ ნებით თუ უნებლიედ ამოავლო მეორე ელემენტიდან კლასები, სოციალური ჯგუფები.

მ. ჯიბუტი: ჩვენ გვინდა გამოვთქვათ ერთი პოზიციური ხასიათის მოსაზრება არა სტატისთან, არამედ მოხსენების ტექსტთან დაკავშირებით. მანამდე მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ სოციალისტური წარმოებითი ურთიერ-

თობების სრულყოფა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების ორგანული ნაწილი და წანამძღვარია. ამდენად პრობლემის აქტუალობა აქ სახეზეა და მტკიცებას არ საჭიროებს. წარმოდგენილი მოხსენების ტექსტი დიდი მუშაობის შედეგია. მისი ღირსებაა ორიგინალურობა, პრობლემატურობა.

მოხსენებაში გატარებულია იდეა, რომ ამოსავალი ურთიერთობა ყველაზე ახლოს დგას საწარმოო ძალებთან და განიცდის ამ უკანასკნელის უშუალო გავლენას. ეს აზრი ფუნდირებულია საბჭოთა ეკონომიკურ ლიტერატურაში. ამოსავალი ურთიერთობა მ. გველესიანის აზრით არის შრომითი საქმიანობის გაცვლა „წარმოების (წარმოებით ურთიერთობათა) სუბიექტებს“ შორის ჯერ ერთი, ასეთი გამოყოფა უკვე არ ეფუძნება იმ სამწვეროვან დაყოფას, რომელსაც ავტორი ემყარება, რადგან მეორე წარმოებულ ელემენტს სვამს პირველის ადგილას და როლში; მეორე, თუ სუბიექტების საქმიანობის გაცვლა უნდა განვიხილოთ საკუთრებისა და განაწილებისაგან განყენებულად, როგორც ეს მოხსენების ტექსტშია ხაზგასმული, მაშინ როგორ შევთანხმდეთ ეს აზრი იმავე გვერდზე მოცემულ ავტორის მეორე დებულებასთან, რომ ეს სუბიექტები თურმე წარმოადგენენ «Субъектов собственности (представителей собственности), распоряжающихся выделенными им средствами производства» и «субъектов распределения»; მესამე, ამ ბოლო დებულებით სამწვეროვანი სისტემა კიდევ უფრო დაირღვევა, მეორე ელემენტმა მოიცვა მესამე; მეოთხე, თუ ამოსავალი ურთიერთობა სუბიექტებს შორის საქმიანობის გაცვლა და სუბიექტი კი მესაკუთრეა, რაა პირველი?; მეხუთე, საკუთრებისაგან განყენების თეზისი უფრო რელიეფურად აჩენს მის სისუსტეს მტკიცებაში, რომ ძირითადი ურთიერთობა, ესაა ურთიერთობა „Между обществом как собственником средств производства и непосредственным производителем“. უშუალო მწარმოებელი არაა წარმოების საშუალებათა მესაკუთრე? მაშინ ვინღა, ან რაღა ეს საზოგადოება? თუ მესაკუთრეა მაშინ ძირითადი ურთიერთობა, გამოდის, ესაა ურთიერთობა წარმოების საშუალებებზე მესაკუთრისა წარმოების საშუალებებზე მესაკუთრესთან (?).

მ. გველესიანი: მოხსენების ტექსტში ხაზგასმულია და ისევ გავიმეორებ, რომ ახლა მთავარი მიზანია შევედგეთ წარმოებითი ურთიერთობის გრძელვადიანი განვითარების პრობლემებისა და მისი რეგიონული ასპექტების ერთობლივ, კოლექტიურ დამუშავებას. ამ თვალსაზრისით დღეს ბევრი უაღრესად საჭირო რამ ითქვა. ბევრი გასათვალისწინებელი შენიშვნა გამოითქვა ჩემს მიერ წარმოდგენილ ტექსტებზეც. მართალია, ოპონენტები უფრო ხშირად „მიტევდნენ“ ორი სხვადასხვა, ერთიმეორის საპირისპირო პოზიციიდან და ამით ეგებ თვითონვე უარყვეს ერთიმეორის ზოგიერთი მოსაზრება, მაგრამ ეს უარყოფაც კი, ჩემი აზრით, საინტერესო და რაციონალურის შემცველია. ოპონენტთა ურთიერთდაპირისპირება მე მათავისუფლებს იმისგან, რომ ყველაფერს ვუპასუხო, რასაც არ ვეთანხმები, — არცაა აქ ამის შესაძლებლობა, — ამიტომ შევეჩებით მხოლოდ ცალკეულ შენიშვნებს.

სახელმწიფო საწარმოების ცალკეულ უბნებში კოოპერაციული ფორმების „ჩანერგვის“ საკითხში გამოიკვეთა ორი მიდგომა: პირველი, რომ ასეთი რამ არაა საჭირო, და მეორე, — პირუკუ, — რომ არაა აუცილებელი ვეძიოთ ამ პროცესის უკუქცევის გზები ამ ათიოდე წლის შემდეგ. მე ამ უკანასკნელ პოზიციას უფრო რაციონალურად ვთვლი, რადგან ჩვენი სამეურნეო მექანიზმის

1980

კომპლექსური გარდაქმნა ვერ იქნება ერთგვარადი აქტი, ვერ დამთავრდება ერთბაშად და სწრაფად. ხოლო სანამ ეს პროცესი არ დასრულდება, კოოპერაციული „ოაზისების“ შექმნა სახელმწიფო სექტორში, ვფიქრობ, სარგებლობას მოგვიტანს. სად შეიძლება იყოს ამგვარი „ოაზისების“ შექმნის ხელსაყრელი პირობები? უფრო მეტად არა წვრილ საწარმოებში, არამედ იქ, სადაც ბევრია „ტყუპისცალი“ საამქროები და უბნები. მათგან ზოგიერთიც რომ გადავიყვანოთ გაძლიერების კოოპერაციულ ფორმებზე (თუკი, ცხადია, მათი შემოსავლისა და ხარჯების განცალკევებული აღრიცხვა მოხერხდა), ამით შევძლებდით შეგვეჩვენებინა მათი შედეგები სხვა საამქროთა და უბანთა შედეგებთან, გაგვეშალა მათ შორის თავისებური შეჯიბრება.

მაგრამ, ცხადია, ასეთი, კოოპერაციული ინტერესი ისე არ უნდა მივეშვათ, რომ მან ფესვი ღრმად გაიდგას და საფრთხე შეუქმნას სახელმწიფო საკუთრების წამყვან როლს. მასასაღამე, მეორე პოზიციაშიც არის რაციონალური მარცვალი, თუმცა მთლიანობაში, აზრი — რაში ვგვირდება საკუთრების ფორმებში უყუსვლად — მექანიკურად მიმანჩია.

ასევე, განსხვავებული იყო პოზიციები, თუ რამდენადაა მიზანშეწონილი ვილაპარაკოთ წარმოებითი ურთიერთობის გრძელვადიანი განვითარების კონკრეტული ფორმებისა და ვადების შესახებ. ამათგან თითოეულშიც ვხედავთ რაციონალურსა და გასათვალისწინებელს. მაგრამ ისე ნუ გამიგებენ კოლეგები, თითქოს ცალკეული საკითხების კონკრეტიზაცია იმას ემსახურებოდეს, რომ დირექტივა მივცეთ ვინმეს. ცხადია, ეს მეცნიერ ეკონომისტთა წრეების კომპეტენცია არ არის. ნურც ისე გამიგებთ, თითქოს ვფიქრობდე, რომ აუცილებლად და ზუსტად ისე მოხდება ყველაფერი, როგორც მიწერია. მიზეზი სხვაა. წარმოებითი და, მათ შორის, საკუთრებითი ურთიერთობის სრულყოფის საფეხურები დროში (ხუთწლეულების მიხედვით) „განვალაგე“ მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენ უნდა მივცეთ წარმოებითი ურთიერთობის სრულყოფის ლოგიკური და ისტორიული თანმიმდევრობის სურათი, და ეს სურათი ნათელი მაშინ იქნება, როცა პირობითად დავეთქვამთ მის დროის პარამეტრებს. მაგალითად, სწორედ ამიტომაც საჭირო სახელმწიფო სექტორში კოოპერაციული ფორმების უქუქცევის ვადების დათქმა. რაც შეეხება სამომხმარებლო კავშირებზე შედარებით გაშლილ, კონკრეტულ მსჯელობას, ეს საკითხი ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში იმდენად განსხვავებულად აღდგას (ყოველ შემთხვევაში, უკანასკნელ თვეებამდე ასე აღდგა), რომ მისი მოკლე და ზოგადი გადმოცემა მკითხველში უთუოდ გაუგებრობას გამოიწვევდა.

ვფიქრობ, განსხვავებულ მიდგომებს შეიცავდა თვით ზოგი ოპონენტის გამოსვლა. სახელდობრ, დ. იაკობიძის დადებითი შეფასება, ჩემი აზრით, უპირისპირდება მის ბოლო შენიშვნას, თანაც ამ შენიშვნაში გაუხსნელი დარჩა, თუ რატომ ახდენს მწარმოებლისა და მომხმარებლის შესახებ ჩემი მსჯელობა ისეთ შთაბეჭდილებას, თითქოს ეს სუბიექტები მხოლოდ რაოდენობრივად არიან ერთიმეორეზე დამოკიდებული. ვანა იმავე საკუთრების, წარმოებისა და მოხმარების სფეროთა ორგანიზაციული სტრუქტურის, განაწილების ურთიერთობის შემოთავაზებული ფორმები თვისებრივ სიანლეს არ შეიცავს? თუ რაოდენობრივ დამოკიდებულებასაც ვარკვევ, მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს საჭიროა თვისებრივად ახალი (მოსალოდნელი) სიტუაციის დახასიათებისათვის. ხოლო ზედამიროულია თუ არა ეს მსჯელობა, ეს, ცხადია, თქვენ უნდა

2. „მაკნე“, ეკონომიკისა და სამართლის სერია.

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
გაბრიელის

შეაფასოთ, მაგრამ ხელაღებით ამის თქმა, უფიქრობ, თვითონაა ზედაპირული მიდგომა.

გარკვეულად დაუპირისპირდა ერთიმეორეს ოპონენტთა მოსაზრებები წარმოებითი ურთიერთობის რეგიონულ ასპექტთა კვლევის აუცილებლობაზე. ეს დაპირისპირება, ვფიქრობ, სასარგებლოა, იგი იმაზე მიგვანიშნებს, რომ საკითხის სწორი გადაწყვეტა სადაც უკიდურეს პოზიციებს „შუა“ უნდა ვეძიოთ, იგი ზომიერი უნდა იყოს, სახელდობრ, უნდა განვსაზღვროთ, როგორია რეგიონულ თავისებურებათა მეცნიერული კვლევის სახვლები. ზოგმა ისე დახატა სურათი, თითქოს მიზანი მხოლოდ აღნიშნულ ასპექტთა კვლევაა, ტექსტში კი სულ სხვა რამაა წარმოდგენილი. ჩვენი მიზანი რეგიონულ თავისებურებათა ჩვენებაც უნდა იყოს და ისიც, რომ უბრალოდ კი არ გავიმეოროთ ის, რასაც, ჩვენი მოსკოველი კოლეგები ამბობენ წარმოებითი ურთიერთობის სრულყოფის ზოგად კანონზომიერებათა შესახებ, არამედ უჭონდეს ჩვენი პოზიციაც, მივიღოთ მონაწილეობა ახალი მიდგომების შემუშავება-დასაბუთებაში. სწორედ ამ მიმართულებაზეა, უმეტესწილად, ყურადღება გამახვილებული ტექსტში, მაგრამ არც რეგიონული სპეციფიკა და ვიწებულის. ზოგმა მოკამათე ამას სრულიად გადაუსვა ხაზი, თანაც ისე წარმოდგინა, რომ რადგან ვიტყვით მომეცა პრობლემის ჩონჩხი, ამიტომ ყველა საკითხი სრულად და სრულყოფილად უნდა წარმომედგინა. დ. იაკობიძე გვთავაზობს რეგიონული სპეციფიკის განმსაზღვრელ ფაქტორთა უფრო სრულ ჩამოთვლას, ვიდრე ეს ტექსტშია და ამისთვის მას მადლობა ეთქმის, მაგრამ კარგი იქნება კონკრეტულად გვიჩვენოს, ნამდვილად როგორ მოქმედებენ ეს ფაქტორები წარმოებითი ურთიერთობის განვითარების პროცესში. ის ფაქტორები, რომლებიც მოხსენების ტექსტშია განალიზებული, სწორედ ამგვარ მოქმედებაშია ნაჩვენები. რა თქმა უნდა, ეს ანალიზი უნდა შეივსოს, მაგრამ ამან ზედმეტად არ უნდა გავვიტაცოს, თორემ ან „წვრილმანების ქექვა“ გამოგვივა, ან, როგორც ვლ. ყანდაშვილი შიშობს, სოციალისტური წარმოების წესის ერთიანობის უგულვებელყოფა, ან კიდევ წარმოებითი ურთიერთობის თავისებურებათა აღრევა საწარმოო ძალთა დარგობრივი სტრუქტურის თავისებურებებში.

სხვათა შორის, ამგვარ აღრევას ზოგი მოკამათე მე მსაყვედურობს. ენახოთ, ეს მე უფრო მეხება თუ თვით მათ. წარმოებითი ურთიერთობის სრულყოფის პრობლემათა გადმოცემისას საწარმოო ძალთა ყველა ტენდენციის დახასიათება კი არაა საჭირო, არამედ მხოლოდ იმისა, რომელიც რაღაც ახალს წარმოშობს წარმოებით ურთიერთობაში. ამგვარ მოქმედებაშია ნაჩვენები ტექნიკის მინიატურნიზაციისა და წარმოების მოქნილობის ზრდის ტენდენციები. უწინარეს ყოვლისა სწორედ ისინი ქმნიან პირობებს მომხმარებლის ადგილისა და როლის შეცვლისათვის. რაც შეეხება რეგიონულ ასპექტს, აღნიშნული ორი ტენდენცია მთელი სისრულით ვერ გაიშლება. თვალსაწიერ მომავალში რესპუბლიკის ზოგ მაპროფილებელ დარგში, რაც ამ დარგთა შეფარდებით „გაძვირებას“ გამოიწვევს. რესპუბლიკის სოფლის მეურნეობასა და საკურორტო-ტურისტულ მეურნეობას „გაძვირებს“ ჩვენი უნიკალური ბუნებრივ-კლიმატური პირობების მაქსიმალური გამოყენების აუცილებლობაც. რა არის ეს, თუ არა საზოგადოებრივად აუცილებელ დანახარჯთა ფორმირების რეგიონული თავისებურებანი?

რაც შეეხება საკითხს, თუ კავშირურთიერთობის, საქმიანობის გაცვლის რა ფორმებს უნდა მივცეთ გზა მომიჯნავე დარგთა შორის, ესეც განხილულია.

და დაკონკრეტებულია რეგიონის სპეციფიკურ პირობებზე. დღესდღეობით, გართულებული სამეურნეო კავშირების პირობებში ბევრ დარგში და, მათ შორის, სოფლის მეურნეობაში გამოიკვეთა მისწრაფება — თვითონ აკეთონ და გადააკეთონ ის მანქანა-იარაღები, რომელთაც იყენებენ. ამ სწრაფვას შეზღუდვა კი არა, სწორი კალაპოტით წარმართვა სჭირდება. სწორედ ამ, წარმოებით ურთიერთობის ასპექტში, საქმიანობის დარგთაშორისი გაცვლის საზოგადოებრივი მექანიზმის თვალსაზრისითაა წამოწეული რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის უბირატესი განვითარების საკითხი. ამიტომ რამდენადმე მეუცხოვა რ. ხარბედიას შენიშვნა ამაზე: რომანი ხომ შრომის გამოცვლის კანონის მცოდნეა! როგორც ჩანს, ჯ. პაჭკორიაც მხედველობიდან უშვებს, რომ საწარმოო ძალები აქ მხოლოდ წარმოებით ურთიერთობასთან მათს კავშირშია წარმოდგენილი. (ეგებ ეს იმის ბრალიც იყოს, რომ ნათლად ვერ დავწერე; მაგრამ გაუგებარია სხვა რამ — სად ნახა ჯ. პაჭკორიამ ზედნაშენურ ურთიერთობათა ანალიზი ტექსტში? ალბათ, მართვის ორგანიზაციულ სტრუქტურას იგი პირწმინდად ზედნაშენს აკუთვნებს).

როტორისა და კონვეიერის პრინციპული სხვაობის შესახებ დ. პაქსაშვილის აზრი, ვფიქრობ, არასწორია. როტორი კონვეიერის იმ პრინციპზეა აგებული, რომ შრომის საგანი არ ჩერდება ერთ ადგილზე, მოძრაობაშია და მას „გზაში ხედვბიან“ წარმოების იარაღები. ამიტომ ხშირად როტორულ-კონვეიერულ ხაზებზეც ლაბარაკობენ.

რაც შეეხება ჯ. პაჭკორიას მთავარ და ვრცელ შენიშვნას, მასში რაღაც გაუგებრობაა. წარმოებითი ურთიერთობის სტრუქტურის სტალინისეული განსაზღვრების იდენტურობა მარქსისა და ლენინის შესაბამის დებულებებთან მე ფართოდ მაქვს გაანალიზებული 1975 წელს ჟურნ. „ეკონომისტი“ გამოქვეყნებულ სტატიასა და 1983 წელს გამოქვეყნებულ მონოგრაფიაში. ხაზგასმით უნდა აღვნიშნო, რომ არსად, არცერთ სხვა წყაროში ასეთი მტკიცებანი არაა მოცემული. არც აღნიშნული განსაზღვრების შინაარსობრივი დაზუსტება მიცლია — პირიქით, ვამტკიცებ, რომ იგია ამოსავალი, საყრდენი. მართალია, მიმაჩნია რომ განსაზღვრების მეორე პუნქტი სხვაგვარად, უფრო ლაკონურად სჯობს დავაფორმულოთ, მაგრამ საგანგებოდ ვამტკიცებ, რომ ამით შინაარსი არ იცვლება. ვამოდის, რომ ჯ. პაჭკორია მედავება იმაში, რასაც მე არ ვამბობ, და მისაბუთებს იმით, რასაც მე ვამბობ.

ჯ. პაჭკორია და მ. ჯიბუტი მიმტკიცებენ, რომ მეორე ელემენტი არ შეიძლება იყოს ამოსავალი ურთიერთობა, რომ ასეთად აუცილებლად პირველი ელემენტი უნდა გამოდიოდეს. ფორმალური ლოგიკის თვალსაზრისით, შენიშვნაში ყველაფერი სწორია. მაგრამ ობონენტებმა არ მიაქციეს ყურადღება იმის შესახებ მსჯელობას, თუ რატომ დგას ამოსავალი ურთიერთობა მეორე ელემენტად. ამ მსჯელობის დასკვნას თუ მოკლედ დავაფორმულებთ (რაც, ცხადია, აქ არგუმენტაციის გარეშე უნდა მოვიტანოთ), იგი მდგომარეობს შემდეგში: საკუთრება როგორც ურთიერთობა გაიშლება წარმოებითი ურთიერთობის სხვა ელემენტთა მეშვეობით, ხოლო თავისთავად იგი, როგორც წინაპირობა ამ ელემენტებისა, ურთიერთობაა მხოლოდ პოტენციაში. როგორც დამოუკიდებელი ელემენტი, იგი ურთიერთობის ამოსავალი პუნქტია და არა ურთიერთობა. ხოლო ადამიანები ერთიმეორესთან ეკონომიკურ ურთიერთობაში უწინარეს ყოვლისა იმის გამო მოდიან, რომ ერთობლივად აწარმოონ, ანუ საქმიანობა გაცვალონ. განაწილება და ამიტომ, სრული ეკონომიკური აზრით,

საკუთრება კი ყალიბდება როგორც საქმიანობის გაცვლის შედეგი. ეს არ გამოირჩევა და გულისხმობს კიდევ იმას, რომ წარმოებითს ურთიერთობას, ყოველ მოცემულ აქტში, საფუძვლად უდევს წინა პერიოდებში განაწილების შედეგად მიღებული საკუთრება.

მ. ჯიბუტის სხვა შენიშვნები ისეთია, რომ მათზე პასუხი მოითხოვს იმ თავების ხელახლა გადმოცემას, რაზეც მ. ჯიბუტმა ეს შენიშვნები გამოთქვა. ამის გაკეთება, ცხადია, არაა აუცილებელი. აღვნიშნავ მხოლოდ რამდენიმე პუნქტს.

პირველი, ჩემი ორი დებულება, რომლებიც მ. ჯიბუტის აზრით ეწინააღმდეგება ერთიმეორეს, მან ერთიმეორისგან მოწყვეტით მოიტანა და რატომღაც (?) გამოტოვა მათ შორის მოცემული განმარტება. საქმე ისაა, რომ წარმოებითი ურთიერთობის სუბიექტები მხოლოდ შრომითი საქმიანობის გაცვლის სუბიექტები არ არიან; წმინდა სახით ასეთ ფუნქციაში ჩვენ მათ წარმოვიდგენთ მათი სხვა ფუნქციებისაგან განყენებისას, რითაც ვადგენთ ისტორიულად და ლოგიკურად პირველად ელემენტს ურთიერთობის სტრუქტურაში, ანუ პირველმიზეზს ურთიერთობის განვითარებისა. ტექსტში მოცემული განმარტება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ აბსტრაქტული ელემენტები რეალურ სინამდვილეში ვლინდებიან არა წმინდა სახით, არამედ სხვა ელემენტებთან სინთეზურად. პროგნოზირებისას კი პირველმიზეზიდან უნდა გამოვიდეთ, მაგრამ კონკრეტულ ფორმებზე ვილაპარაკოთ.

და მეორე. მ. ჯიბუტი ფიქრობს, რომ სოციალიზმის ძირითადი წარმოებითი ურთიერთობა არ შეიძლება იყოს საზოგადოებისა, როგორც წარმოების საშუალებათა მესაკუთრესა და უშუალო მწარმოებელს შორის ურთიერთობა, საზოგადოება წარმოების საშუალებათა მესაკუთრეცაა და უშუალო მწარმოებელიც. ამით მ. ჯიბუტი „კარგავს“ ურთიერთობას. განსხვავება წარმოებითი ურთიერთობის ამ სუბიექტებს შორის თვალნათელია ბევრი მეცნიერი ეკონომისტისათვის; მაგრამ შენიშვნა პასუხს მოითხოვს. ამ სუბიექტთა შორის არის რაოდენობრივი. სხვაობაც, რადგან საზოგადოების ყველა წევრი როდია უშუალო მწარმოებელი, მაგრამ მთავარი ეს არაა. მთავარი ისაა, რომ ერთიანის გაორებით მიღებული ეს ორი სუბიექტი ერთიმეორესთან ურთიერთობაში მოდის როგორც სხვადასხვა ფუნქციების მატარებელი. მათი იგიურობის მიღმა განსხვავება თუ ვერ დავინახეთ და განსხვავების მიღმა-იგიურობა, ვერც დიალექტიკურ მოძრაობას შევამჩნევთ.

დაბოლოს, იმ შენიშვნის შესახებ, თითქოს ვერ ვხედავდვით სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის მნიშვნელობას, თითქოს უარესისკენ შევიცვალე პოზიცია. ტექსტში ცოტა სხვაგვარადაა საკითხი წარმოდგენილი: ლაპარაკია არასასაქონლო-ფულად ურთიერთობაზე, როგორც ნაშთზე, არამედ ამ ურთიერთობაში შემორჩენილ ძველ ელემენტებზე. თანაც, ეს ძველი ელემენტები, უმრავლეს შემთხვევაში, ხელს კი არ უშლის განვითარებას, ანუ „გადმონაშთს“ კი არ წარმოადგენს, არამედ იმიტომაა შემორჩენილი, რომ ჯერ კიდევ საჭიროა და კიდევ დიდხანს იქნება საჭირო. უფრო მეტიც, ჩვენ ამ შემორჩენილ (შეიძლება ვთქვათ შემონახულ) ელემენტებს ვერ ვიყენებთ ისე, როგორც წესი და რიგია, მეტისმეტად ვბოჭავთ და ვავიწროვებთ მათ და ზოგჯერ ამით ვიწვევთ ნეგატიურ შედეგს როგორც ჩვენი არასწორი მოქმედების უკუჩრეაქცია.

ა. გუნია: მსჯელობა „მრგვალი მაგიდის“ გარშემო საქმაოდ საინტერესო და სასარგებლო იყო. წარმოებრივ ურთიერთობათა სრულყოფა საერთოდ, და განსაკუთრებით რეგიონალურ ჭრილში, მრავალ ახალ საკითხს სვამს მეცნიერ-ეკონომისტთა წინაშე. ჩვენ შევეცადეთ ზოგიერთ მათგანში ნაწილობრივ მაინც შეგვეტანა გარკვეულობა. ამავე დროს, ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი. ამას მოითხოვს თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების კონცეფციის განხორციელება.

მეცნიერ-ეკონომისტებმა ამაჟამად მეტი ყურადღება უნდა მივაქციოთ რეგიონალურ თეორიულ, მეთოდოლოგიურ და პრაქტიკულ საკითხებს, მათს ანალიზს, განზოგადებას და პრაქტიკული ღონისძიებების შემუშავებას. რეგიონალური ეკონომიკური პოლიტიკა, მისი თეორიის და პრაქტიკის ერთიანობა, ეკონომიკურ კანონზომიერებათა მოქმედების დიალექტიკა განსაკუთრებულ შესწავლას მოითხოვს. მათ უპარესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება სოციალიზმის სრულყოფაში, ეკონომიკაში არსებული ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლაში, სკკპ XXVII ყრილობის და სკკპ პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის (1987 წ.) პლენუმის მიერ ეკონომიკის წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტაში.

СОВЕРШЕНСТВОВАНИЕ ПРОИЗВОДСТВЕННЫХ ОТНОШЕНИЙ И ЕГО РЕГИОНАЛЬНЫЕ АСПЕКТЫ

Резюме

На заседании «круглого стола» ученых экономистов республики обсуждалась статья канд. эк. наук М. И. Гвелеснани «О долгосрочном развитии социалистических производственных отношений и региональных его аспектах» («Мацне», серия экономики и права, № 4, 1986 г.) и представленный текст доклада. Высказаны предложения по поводу дальнейшего развертывания данного направления исследования посредством коллективных усилий, о необходимости более гибкого сочетания общенародной и кооперативной форм хозяйствования, о необходимости создания теории об индивидуальной трудовой деятельности населения, о мере исследования факторов, обуславливающих региональные особенности социалистических производственных отношений и по другим важным вопросам экономического развития.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის პოლიტიკური ეკონომიის განყოფილებამ

ზურაბ სოსელია

წარმოების ტექნიკური დონის სრულყოფა მისი
ინტენსიფიკაციის და ეფექტიანობის ამაღლების საფუძველია

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის საფუძველზე საზოგადოებრივი წარმოების ინტენსიფიკაცია და მისი ეფექტიანობის ყოველმხრივი ამაღლება ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების განმსაზღვრელი ფაქტორი და პარტიის ეკონომიკური სტრატეგიის მაგისტრალური მიმართულებაა. „წინანდელ მატერიალურ-ტექნიკურ საფუძველზე, — აღნიშნა მ. ს. გორბაჩოვმა სკკპ XXVII ყრილობაზე, — კარდინალური ცვლილებების მიღწევა შეუძლებელია. გამოსავლად მიგვაჩნია სახალხო მეურნეობის ღრმა რეკონსტრუქცია მეცნიერების და ტექნიკის უახლესი მიღწევების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ავანგარდული მიმართულებებით წინ ვაჭრის, სამეურნეო მექანიზმის, მართვის სისტემის გარდაქმნის ბაზაზე“¹.

წარმოების ტექნიკური განვითარების თანამედროვე ეტაპის თავისებურებას წარმოადგენს პრინციპულად ახალ ტექნოლოგიურ სისტემებზე, უკანასკნელი თაობის ტექნიკაზე გადასვლა, რომლებიც უმაღლეს ეფექტიანობას გვაძლევენ. საქმე არსებითად ეხება მეცნიერებისა და ტექნიკის თანამედროვე მიღწევათა საფუძველზე სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განახლებას.

წარმოების პროცესთა კომპლექსური მექანიზაცია და ავტომატიზაცია, საერთოდ წარმოების ტექნიკური განახლება, განაპირობებს მისი ორგანიზაციული დონის ამაღლებას, წარმოების, შრომისა და მართვის ორგანიზაციის სრულყოფას.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და მის საფუძველზე წარმოების ტექნიკური დონის ამაღლების გავლენით ინერგება მართვის თანამედროვე მეთოდები და საშუალებანი, მართვა სულ უფრო მეტად ემყარება ინფორმაციის მანქანურ დამუშავებას, თანამედროვე ეკონომიკურ-მართვითიკური მეთოდებისა და ელექტრონულ-გამომთვლელი ტექნიკის გამოყენებას, იცვლება წარმოების დარგთაშორისი და შიდადარგობრივი სტრუქტურა, სწორი პროპორციები მყარდება წარმოების ცალკეულ რგოლებსა და უბნებს შორის, ძლიერდება პროდუქციის გამოშვების რიტმულობა, მძლავრდება წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის დონე, ინერგება შრომის მეცნიერული ორგანიზაცია, ვითარდება შრომის კოოპერაცია და ა. შ. კ. მარქსი შრომის პროცესის კოოპერაციას უშუალოდ შრომის საშუალებების ბუნებით განსაზღვრავს: „... შრომის პროცესის კოოპერაციული ხასიათი იქცევა... ტექნიკურ აუცილებლობად, რომელიც თვით შრომის საშუალებების ბუნებით არის ნაკარნახევი“², ხოლო ვ. ი. ლენინი აღ-

1 სკკპ XXVII ყრილობის მასალები. — თბილისი, 1986, გვ. 37.

2 კ. მარქსი, კაბიტალი, ტ. 1, გვ. 489.

ნიშნავს, რომ „ტექნიკის პროგრესმა უნდა გამოიწვიოს წარმოების სხვადასხვა ნაწილის სპეციალიზაცია“³. როგორც ამ დებულებებით დასტურდება, ტექნიკური პროგრესი წარმოების ორგანიზაციის სრულყოფის საფუძველს, მის განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენს. მაგრამ თვით ტექნიკური პროგრესი შეუძლებელია დაჩქარდეს წარმოების, შრომის და მართვის ორგანიზაციის სრულყოფის გარეშე. მაშასადამე, ტექნიკური პროგრესი და წარმოების ორგანიზაციის სრულყოფა ურთიერთგანპირობებულ პროცესებია და იგი კ. მარქსმა ასე დაახასიათა: მექანიკის სფეროში ყოველ მსხვილ გამოგონებას თან სდევს შრომის დანაწილების გაღრმავება, ხოლო შრომის დანაწილების ყოველგვარ გაღრმავებას, თავის მხრივ, მიეყვარათ ახალ გამოგონებამდე მექანიკაში⁴.

მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესსა და წარმოების ორგანიზაციას შორის ასეთი ურთიერთგანპირობებულობა, როგორც მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების შრომებით დასტურდება, მათ იგივეობას არ ნიშნავს. წარმოების და შრომის ორგანიზაცია განხილულ უნდა იქნას როგორც დამოუკიდებელი კატეგორიები. ეს აუცილებელია არა მხოლოდ თეორიული მოსაზრებებით, არამედ, აგრეთვე, რაც მთავარია, იმ მიზნითაც, რომ დაცულ იქნას ოპტიმალური თანაფარდობა წარმოების ტექნიკური და ორგანიზაციული განვითარების ტემპებს შორის, რადგან თანამედროვე მაღალმწარმოებლური ტექნიკის და პროგრესული ტექნოლოგიის დანერგვამ წარმოებაში შეიძლება მაღალი ეკონომიკური ეფექტი მოგვცეს მხოლოდ წარმოების და შრომის ორგანიზაციის მოწინავე ფორმებისა და მეთოდების გამოყენების პირობებში.

წარმოების ტექნიკური, ორგანიზაციული, აგრეთვე ეკონომიკური დონე მისი განვითარების სხვადასხვა ასპექტს ასახავს და განსხვავებული შინაარსითა და მაჩვენებლებით ხასიათდება. მაგრამ, მოუხედავად ამისა, ეკონომიკურ ლიტერატურაში და პრაქტიკაში ჯერ კიდევ არ არის გამოჩნული წარმოების განვითარების აღნიშნულ მიმართულებათა შინაარსი და მათი დონეების ამსახველი მაჩვენებლების სისტემა, რაც აფერხებს ამ მაჩვენებლებისა და საერთოდ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გეგმური მართვის პროცესს. ავტორებმა წარმოების განვითარების ამ განსხვავებულ მიმართულებებს და მათ დონეებს სხვადასხვა ტერმინებით („ტექნიკური“, „ტექნიკურ-ორგანიზაციული“, „ტექნიკურ-ეკონომიკური“, მეცნიერულ-ტექნიკური“ და სხვა) გამოხატავენ, მაგრამ არსებითად ერთნაირი შინაარსით იხილავენ, რაც ამ პრობლემის არსის გარკვევისადმი არასწორი მიდგომით არის გამოწვეული. სხვანაირად არ შეიძლება აიხსნას თითოეულ აღნიშნულ ცნებაში ისეთი განსხვავებული მონაცემების თავმოყრა, როგორცაა წარმოების ტექნიკური შეიარაღებისა და ორგანიზაციული დონის, პროდუქტის ტექნიკური მდგომარეობის (ხარისხის) და ასორტიმენტის, ცოცხალი და განივებული შრომის გამოყენების და საერთოდ წარმოების ეფექტიანობის დონის მაჩვენებლები.

წარმოების ორგანიზაციული დონე ხასიათდება წარმოების, შრომისა და მართვის ორგანიზაციის გამოყენებული ფორმებითა და მეთოდებით და მათი შესაბამისობით წარმოების რაციონალური ორგანიზაციის პროგრესულ ფორ-

³ ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 1, გვ. 107.

⁴ Маркс К. и Энгельс Ф. Соч., т. 4, с. 156.

⁵ Зайцев Б. Ф. Планирование и эффективность технического развития объединений. — М., 1981, с. 74—75; Планирование новой техники. Справочник. Под ред. Александровой В. П. — Киев, 1982, с. 37 და სხვა.

მებთან და მეთოდებთან. რაც უფრო სრულყოფილია ეს ფორმები და მეთოდები, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რაც უფრო შეესაბამება ისინი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის უახლესი მიღწევების მოთხოვნებს, მით უფრო პროგრესული და რაციონალურია წარმოების, შრომის და მართვის ორგანიზაცია და, მასასადამე, მით უფრო მაღალია წარმოების ორგანიზაციული დონე. წარმოების და მართვის ორგანიზაციის დონე, როგორც პროფ. ბ. ზაიცევი აღნიშნავს, გეჩვენებს იმას, თუ წარმოების რესურსები რა ზომითაა წარმართული მისი ეფექტიანობის ამაღლებისაკენ. ეს დებულება სწორი და მისაღებია. მაგრამ არ შეიძლება დავეთანხმოთ ამ დებულების ავტორს იმაში, რომ თითქოს წარმოების და მართვის ორგანიზაციის დონე ასახავდეს ცოცხალი და განვითარებული შრომის გამოყენების ხარისხს⁶. ამ უკანასკნელს, როგორც ყოველგვარი დასაბუთების გარეშეც საყოველთაოდ ცნობილია, ასახავს არა წარმოების ორგანიზაციის, არამედ მისი ეფექტიანობის დონე. წარმოების, შრომის და მართვის ორგანიზაციის სრულყოფა ცოცხალი და განვითარებული შრომის გამოყენების ეფექტიანობის ამაღლების მხოლოდ ერთ-ერთი მიმართულებაა.

წარმოების ტექნიკურ და ორგანიზაციულ დონეთა ერთობლიობით განისაზღვრება საწარმოო პოტენციალი, ხოლო ამ პოტენციალურ შესაძლებლობათა გამოყენების შედეგთანობით — წარმოების ეფექტიანობა.

წარმოების ტექნიკურ დონეს უფრო ფართო შინაარსით, ვიდრე საერთოდ ეს მოცემულია საბჭოთა სპეციალურ ეკონომიკურ ლიტერატურაში, იხილავენ პროფ. ი. რახლინი და ი. კრავცოვი⁷. ისინი წარმოების ტექნიკურ დონეს აღწერენ ტექნიკურ, სანიტარულ-ჰიგიენურ, ეკოლოგიურ, ერაგონომიულ, ორგანიზაციულ და სხვა პარამეტრების ფართო ნუსხით უმთავრესად ნატურალურ ერთეულებში გამოსახვით. გარდა ამ პარამეტრებისა, მათი მოსაზრებით, ეს ცნება მოიცავს აგრეთვე პროდუქციის ტექნიკურ დონესაც. სტატიაში წარმოების ტექნიკური დონე გაიგებებოდა პროდუქციის ტექნიკურ დონესთან და მისი დამზადების პირობებთან⁸. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, სტატიის ავტორები მოითხოვენ სახალხო მეურნეობრივი დაგეგმვის პრაქტიკაში წარმოების ტექნიკურ დონეში შეტანილ იქნას როგორც პროდუქციის ტექნიკური დონის, ისე მისი დამზადების ტექნიკური პირობების დახასიათებანი და ერთი ინტეგრალური მაჩვენებლით შეფასდეს ეს დონე.

მაგრამ ეს წინადადება, ჩვენი აზრით, თეორიულად ნაკლებად დასაბუთებულია, რადგან არ შეიძლება ერთ ცნებაში მოთავსდეს არსებითად განსხვავებული მახასიათებლები: პროდუქციის დამზადების ტექნიკური პირობები (მიზეზი) და პროდუქციის ტექნიკური დონე (შედეგი). ეს წინადადება არც პრაქტიკულად შეიძლება განხორციელდეს იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ პროდუქციის ტექნიკური დონის, უფრო სწორად პროდუქციის ხარისხისა და მისი დამზადების პირობების ცვლილებათა შორის ყოველთვის არ მყარდება სწორხაზობრივი დამოკიდებულება, ხშირად ისინი ერთმანეთს არ ემთხვევა; მოძველებული პროდუქციის გამოშვება არაიშვიათად ხორციელდება მაღალმწარმოებ-

⁶ Зайцев Б. Ф. Планирование и эффективность технического развития объединения, с. 99, 102.

⁷ Рахлин И., Кравцов И. Экономическая оценка технического уровня производства. — Вопросы экономики, 1983, № 1, с. 44—53.

⁸ წარმოების ტექნიკური დონის შემადგენლობაში პროდუქციის ხარისხი შეტანილი აქვს მ. აქსელსაც, იხ.: Экономические проблемы повышения эффективности научных разработок. — Л., 1972, с. 50.

ლური ტექნიკით და, პირიქით, მაღალხარისხოვანი პროდუქციის დამზადება — მოძველებული მოწყობილობით. ასეთ პირობებში წარმოების და პროდუქციის ტექნიკური დონის ინტეგრალური შეფასება ეკონომიკურად მიუღებელია, რადგან ასეთი გასაშუალებელი ნეთოდით შეუძლებელი გახდება როგორც უშუალოდ წარმოების, ისე მისი შედეგის — პროდუქციის ტექნიკური დონის ობიექტური შეფასება და შესაბამისად შესუსტდება საწარმოო კოლექტივების ბრძოლა პროდუქციის ხარისხის ამაღლებისათვის, რაც თანამედროვე ეტაპის ერთ-ერთ საკვანძო პრობლემას წარმოადგენს. პროდუქციის ტექნიკური დონის მართვა და წარმოების ტექნიკური დონის მართვა განხილულ უნდა იქნას როგორც მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მართვის სისტემის ორი ურთიერთთან დაკავშირებული ქვესისტემა.

დღესაც არ არის საბოლოოდ მიღწეული ერთიანი მოსაზრება ეკონომიკურ ლიტერატურაში საკუთრივ წარმოების ტექნიკური დონის არსისა და შინაარსის შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ ამ ცნებაში ავტორთა უმრავლესობას პროდუქციის ტექნიკური დონე (ხარისხი) არ შეაქვთ. პროფ. ვ. ალექსანდროვა, ი. გარცმანი, ტ. ზაგორსკია და სხვ. წარმოების ტექნიკურ დონეში გულისხმობენ შრომის საშუალებებისა და ტექნოლოგიური პროცესების მდგომარეობას (განვითარების დონეს)⁹, ვ. შალიმოვს სიტყვის ფართო გაგებით „ახალი ტექნიკის“ ცნებაში შეაქვს ახალი შრომის საშუალებანი და საგნები, ტექნოლოგიური პროცესები, წარმოებისა და შრომის ორგანიზაცია და, ცხადია, წარმოების ტექნიკური დონესაც ამ ელემენტებით განსაზღვრავს¹⁰, პროფ. ბ. ზაიცევის მოსაზრებით კი წარმოების ტექნიკური დონე მოიცავს მხოლოდ შრომის საშუალებებსა და საგნებს¹¹.

ამასთან ბ. ზაიცევი წარმოების ტექნიკურ დონეს უმთავრესად შრომის იარაღების განვითარების დონით განსაზღვრავს. მისი განმარტებით წარმოების ტექნიკური დონე არის წარმოების საშუალებებისა და უწყინარეს ყოვლისა შრომის იარაღების განვითარების დონე. როგორც ვხედავთ ბ. ზაიცევი წარმოების ტექნიკური დონის განსაზღვრაში უპირატესობას შრომის იარაღებს ანიჭებს და ამ უდავოდ სწორ და მისაღებ მოსაზრებას ასაბუთებს კ. მარქსის ცნობილი დებულებით იმის შესახებ, რომ „ეკონომიკურ ეპოქებს ერთმანეთისაგან განასხვავებს არა ის, თუ რა იწარმოება, არამედ ის, თუ როგორ, შრომის რა საშუალებებით იწარმოება“¹². მაგრამ, ჩვენს აზრით, კ. მარქსი მატერიალური წარმოების განვითარებაში უპირატესობას ანიჭებს როგორც იმას, თუ შრომის რა საშუალებებით იწარმოება, ისე იმასაც, თუ როგორ, ე. ი. ტექნოლოგიური პროცესებით იწარმოება. წარმოების ტექნოლოგია მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების რეალიზაციისა და წარმოების ინტენსიფიკაციის ამაღლების ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა და ამიტომ იგი არ შეიძლება შეტანილ არ იქნას წარმოების ტექნიკური დონის ცნებაში, მით უმეტეს ამჟამად, როცა ტექნოლოგიური ვადატრიალებებია მოსალოდნელი მრეწველობის ბევრ დარგში.

⁹ Планирование новой техники, с. 37.

¹⁰ Шалимов В. Е. Хозрасчетный механизм управления техническим прогрессом на предприятии. — М., 1981, с. 6.

¹¹ Зайцев Б. Ф. Планирование и эффективность технического развития объединения, с. 88.

¹² კ. მარქსი ი. კაპიტალი, ტ. I, გვ. 230.

რაც შეეხება შრომის საგანს, განსხვავებულია მისი როლი და მნიშვნელობა წარმოების ტექნიკური დონის ფორმირებაში მრეწველობის სხვადასხვა დარგებში. მაგალითად, მას, ჩვენი აზრით, კვების მრეწველობაში რამდენადმე დაქვემდებარებული მნიშვნელობა ენიჭება, ვიდრე, ვთქვათ, მანქანათმშენებლობაში, მეტალურგიაში, ქიმიურ მრეწველობასა და ენერგეტიკაში, სადაც მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შედეგად მისი როლი კიდევ უფრო გაიზარდება. ამგვარად, წარმოების ტექნიკური განვითარების დონე განისაზღვრება შრომის საშუალებების, შრომის საგნებისა და ტექნოლოგიური პროცესების განვითარების მდგომარეობით, მათი შესაბამისობით მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის თანამედროვე მიღწევებთან.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი და მის საფუძველზე წარმოების ტექნიკური დონის ამაღლება საწარმოო ძალთა მატერიალურ-ნივთობრივი ელემენტების განუხრელი სრულყოფისა და მათი უკეთ გამოყენების და, მაშასადამე, ეკონომიკის ინტენსიფიკაციის განუწყვეტელი პროცესია. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი წარმოების ინტენსიფიკაციის საფუძველი, მისი მთავარი ბერკეტია. „პარტია, — აღნიშნულია სკკპ XXVII ყრილობის რეზოლუციაში, — სახალხო მეურნეობის ინტენსიფიკაციის მთავარ ბერკეტად იყენებს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის კარდინალურ დაჩქარებას, ახალი თაობის ტექნიკის, პრინციპულად ახალი ტექნოლოგიის ფართო დანერგვას, რომლებიც უზრუნველყოფენ უდიდეს მწარმოებლობასა და ეფექტიანობას“¹³. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი წარმოების ინტენსიფიკაციის საფუძველია მხოლოდ იმ პირობებში, თუ იზრდება მისი ეფექტიანობა, ერთობლივი დანახარგების ერთეულზე დიდდება სოციალურ-ეკონომიკური შედეგები.

საკიროა აღინიშნოს ისიც, რომ წარმოების ფაქტორების — როგორც ნივთობრივის, განსაკუთრებით შრომის იარაღების, ისე პირადულის — თვისობრივი სრულყოფა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის საფუძველზე დაკავშირებულია, და ეს არსებითი მომენტი ინტენსიფიკაციის დახასიათების დროს, საწარმოო პროცესების დაჩქარებასთან, წარმოების დროისა და სამუშაო პერიოდის შემცირებასთან, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დროის ერთეულში რესურსების აბსოლუტურად მზარდ, მაგრამ უფრო ეკონომიკურ მწარმოებლურ მოხმარებასთან, რაც წარმოების შედეგების გაუმჯობესებაში, მისი ეფექტიანობის ამაღლებაში ელინდება.

ამგვარად, წარმოების ტექნიკური სრულყოფა ინტენსიფიკაციის საფუძველი, მისი გენერალური მიმართულებაა, ხოლო ინტენსიფიკაცია, თავის მხრივ, წარმოების ეფექტიანობის ამაღლების წინა პირობაა, წარმოების ყველა ელემენტისა და რესურსის უფრო სრულად და რაციონალურად გამოყენების საშუალებაა. ეფექტიანობა კი ასახავს წარმოების შედეგის თანფარდობას დანახარგებთან. ინტენსიფიკაცია და ეფექტიანობა გაფართოებული კვლავწარმოების სხვადასხვა მხარეს გვიხასიათებს, განსხვავებულ ეკონომიკურ კატეგორიებს წარმოადგენს და ამიტომ მათი არც გაიგივება, ერთი და იგივე შინაარსით განხილვა შეიძლება, როგორც ეს ზმირად ვგვხვდება ჩვენს ეკონომიკურ ლიტერატურაში.

წარმოების ინტენსიფიკაციასა და ეფექტიანობას შორის, როგორც დავინახეთ, მიზეზ-შედეგობრივი კავშირითიერთობა მყარდება, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ წარმოების ეფექტიანობის დონე მხოლოდ მისი ინტენსიფიკაციით

¹³ სკკპ XXVII ყრილობის მასალები, გვ. 158.

განისაზღვრებოდეს. წარმოების ეფექტიანობა შეიძლება იზრდებოდეს არა მარტო მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ბაზაზე მთელი წარმოებრივი პროცესების ინტენსიფიკაციის, არამედ აგრეთვე წარმოების ცალკეული ფაქტორების უკეთ, უფრო ინტენსიურად გამოყენების შედეგად მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის საფუძველზე მათი თვისობრივი სრულყოფის გარეშე. საკითხისადმი ასეთი მიდგომა მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების შრომებიდან გამომდინარეობს. ამ შემთხვევაში საკითხი ეხება არა მთელი წარმოების ინტენსიფიკაციას, ყველა მისი ფაქტორის თვისობრივ სრულყოფას, არამედ მხოლოდ ცალკეული მათგანის უფრო ინტენსიურად გამოყენებას აღნიშნული სრულყოფის გარეშე წარმოების, შრომის და მართვის ორგანიზაციის გაუმჯობესების, სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის საშუალებით. ინტენსიურად, ე. ი. უფრო ეფექტიანად შეიძლება გამოყენებულ იქნას, ვთქვათ, მოქმედი შრომის საშუალებები, ძირითადი საწარმოო ფონდები მათი ტექნიკური სრულყოფის გარეშე. „შრომის ერთი და იგივე საშუალება, ე. ი. ერთი და იგივე ძირითადი კაპიტალი, — წერს კ. მარქსი, — შეიძლება უფრო ეფექტურად იქნეს გამოყენებული, როგორც მისი დღიური მოხმარების დროის გაგრძელებით, ისე მისი გამოყენების ინტენსივობის გადიდებით, ისე რომ საჭირო არ იქნება დამატებითი ფულის დახარჯვა ძირითადი კაპიტალისათვის“¹⁴.

ამჟამად, განვითარების თანამედროვე პირობებში იზრდება შრომის ინტენსივობისა და საერთოდ წარმოების ყველა რესურსის ეფექტიანად გამოყენების მნიშვნელობა, მაგრამ ეკონომიკის განვითარებას და მისი ეფექტიანობის ზრდას წარმოების ფაქტორების სრულყოფის გარეშე, ე. ი. ექსტენსიური გზით, გარკვეული ზღვარი აქვს. დროის ერთეულში, ვთქვათ ცვლაში, შრომის საშუალებების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლების, მათი გეგმური მოცდენების შემცირების, ხოლო ზეგეგმურის დაძლევის შესაძლებლობანი წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის დონით განისაზღვრება. შეზღუდულია მოქმედი მანქანებისა და მექანიზმების მუშაობის, კონვეიერების მოძრაობის სიჩქარის გადიდების შესაძლებლობანი და სხვ.

რაც შეეხება შრომის ინტენსივობას, — შრომის დანახარჯების გადიდებას სამუშაო დროის ერთეულში, შრომის პროცესების დაძაბულობის გაძლიერებას, შრომის შემჭიდროებას მისი არამწარმოებლური დანაკარგების შემცირების ხარჯზე, მასაც, როგორც შრომის მწარმოებლურობის ზრდისა და წარმოების ინტენსივობის ერთ-ერთ პირობას, აქვს გარკვეული ზღვარი, რაც განპირობებულია ადამიანის ფსიქოფიზიოლოგიური თავისებურებებით.

ამგვარად, წარმოების გაფართოებას და ეფექტიანობის ამაღლებას საწარმოო რესურსების უფრო სრულად, ინტენსიურად გამოყენების საფუძველზე წარმოების ტექნიკაში, ტექნოლოგიასა და შესაბამისად სამუშაო ძალაში თვისობრივი ცვლილებების გარეშე შეზღუდული ხასიათი აქვს და იგი მხოლოდ გარკვეულ ფარგლებში შეიძლება განხორციელდეს. ასეთი ზღვარი ინტენსიფიკაციას, რომელიც ემყარება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის საფუძველზე წარმოების ფაქტორების, პირველ რიგში კი შრომის იარაღების თვისობრივ სრულყოფას, ცხადია, არა აქვს.

წარმოების ინტენსიფიკაციის აუცილებლობას განაპირობებს ისიც, რომ განვითარების თანამედროვე ეტაპზე, როგორც ცნობილია, შეზღუდულია სა-

წარმოო რესურსების გადიდების შესაძლებლობანი, მცირდება აღნიშნული რესურსების ზრდის ტემპები. განვითარების ექსტენსიური ფაქტორების ამოწურვასთან (ცხადია შედარებით) დაკავშირებით წარმოების ინტენსიფიკაციას, როგორც იტყვიან, არა აქვს ალტერნატივა.

ამასთან, წარმოების ინტენსიური განვითარება საერთოდ კი არ გამოირიცხავს, არამედ პირიქით, მოიცავს კიდევ ექსტენსიურ განვითარებასაც. ყველაზე ინტენსიური ეკონომიკაც კი თავის განვითარებაში ყოველთვის იქნება გარკვეული ზომით ექსტენსიურიც. განვითარების ექსტენსიური ასპექტის გარეშე, კერძოდ, ახალი შრომის იარაღების „გამოყენების არის“ გაფართოების, ასეთი იარაღებით წარმოების გაჯერების და მათი რაციონალურად დატვირთვის გარეშე აზრს დაკარგავდა საზოგადოებრივი წარმოების ინტენსიფიკაციაც. ამგვარად, არსებითად საკითხი ეხება იმას, თუ რა თანაფარდობაში იმყოფებიან წარმოების განვითარების ინტენსიური და ექსტენსიური, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდები, რომელია მათ შორის უფრო გავრცელებული ამა თუ იმ პერიოდში¹⁵.

გაფართოებული კვლავწარმოების ინტენსიური ტიპი თავის სრულყოფის პროცესში, მას შემდეგ რაც მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ბაზაზე აღმოცენდა და განვითარდა, გაივლის ორ სტადიას¹⁶: ჯერ ერთი, უპირატესად ინტენსიური განვითარების სტადიას, რომელზეც გადასვლა 80-იან წლებში დამთავრდება და როდესაც წარმოების ერთი რესურსის ეკონომია მიიღწევა და ნარჩენი რესურსების დამატებითი დანახარჯების საფუძველზე, მაგრამ საზოგადოებრივი და წმინდა პროდუქციის ერთეულის წარმოებაზე მთელი დანახარჯების აუცილებლად შემცირების პირობებში; მეორე, ყოველმხრივი ინტენსიური განვითარების სტადია, რომელიც ხორციელდება ყველა სახეობის რესურსის (სამუშაო ძალის, შრომის საშუალებებისა და საგნების, აგრეთვე ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრეების) ეკონომიის პირობებში საზოგადოებრივი პროდუქტის ერთეულზე გაანგარიშებით.

სამრეწველო წარმოების სრული, ყოველმხრივი ინტენსიფიკაციის მიღწევისა და წარმოების ეფექტიანობის შემდგომი მკვეთრი ამაღლების ინტერესები მოითხოვს ინტენსიფიკაციის პირველ სტადიაზე სამუშაო ძალის ეკონომია და შრომის მწარმოებლურობის ყოველი პროცენტით მატება ხორციელდებოდეს წარმოების საშუალებების და, უწინარეს ყოვლისა, შრომის საშუალებების ზრდის ტემპების ოპტიმიზაციის, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ძირითადი წარმოებრივი ფონდებისა და შრომის ფონდში იარაღების არა იმდენად რაოდენობრივი გადიდების, რამდენადაც უახლესი ტექნიკის ბაზაზე მათი თვისებრივი სრულყოფისა და უფრო ეფექტიანად გამოყენების გზით. გარდა აღნიშნულისა ამჟამად, როგორც ეს ხაზგასმით აღინიშნა პარტიის XXVII ყრილობაზე, საზოგადოებრივი წარმოების განვითარების დაჩქარებისა და მისი ეფექტიანობის ამაღლების ერთ-ერთი უდიდესი რეზერვია მატერიალური რესურსების რაც შეიძლება რაციონალური და ეკონომიკური გამოყენება, პროდუქციის მასალატევალობის შემცირება-უმთავრესად მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების, სახელდობრ რესურსდამზოგი ტექნიკის, მცირენარჩენიანი, უნარჩენო

¹⁵ Игнатовский П. А. Развитой социализм: общественно-экономическая динамика. — М., 1974, с. 18.

¹⁶ Ноткин А. И. Интенсификация и эффективность расширенного воспроизводства. — Вопросы экономики, 1981, № 9, с. 91.

და ენერჯის დამზოვი ტექნოლოგიის წარმოებაში ფართოდ დანერგვის საშუალებით. არსებითი მნიშვნელობა ენიჭება, აგრეთვე, ხვედრ კაპიტალურ დაბანდებათა შემცირებას და, მაშასადამე, კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანობის ამაღლებას მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევებისა და რაციონალურ კონსტრუქციულ გადაწყვეტათა უფრო სრულად გამოყენების საფუძველზე.

ამგვარად, ამჟამად მთავარი ამოცანაა მკვეთრად შეიცვალოს ორიენტაცია, სიმძიმის ცენტრი გადატანილ იქნას მეურნეობის წარმართვის ინტენსიურ მეტოდებზე და ამ გზით უზრუნველყოთ ეკონომიკის ეფექტიანობის შემდგომი სერიოზული ამაღლება. „ყურადღების ცენტრი, — აღნიშნა მ. ს. გორბაჩოვმა პარტიის XXVII ყრილობაზე, — რაოდენობრივი მაჩვენებლებიდან გადავიტანოთ ხარისხსა და ეფექტიანობაზე, შუალედურიდან — საბოლოო შედეგებზე, საწარმოო ფონდების გაფართოებიდან — მათ განახლებაზე, საბოზ-სანედლეულო რესურსების გადიდებიდან — მათი გამოყენების გაუმჯობესებაზე“¹⁷. არსებითად საქმე ეხება იმას, რომ ეკონომიკური ზრდა სულ უფრო მეტად წარვმართოთ შრომითი, მატერიალური და ფინანსური რესურსების რაც შეიძლება რაციონალურად გამოყენების გზით, რომ განუზრგლად განვახორციელოთ სოციალისტური სამეურნეო მშენებლობის უცილობელი პრინციპი — საზოგადოების ინტერესების შესაბამისად უმეტესი შედეგების მიღწევა უმცირესი დანახარჯებით.

3. С. СОСЕЛИЯ

СОВЕРШЕНСТВОВАНИЕ ТЕХНИЧЕСКОГО УРОВНЯ ПРОИЗВОДСТВА — ОСНОВА ЕГО ИНТЕНСИФИКАЦИИ И ПОВЫШЕНИЯ ЭФФЕКТИВНОСТИ

Резюме

В статье обосновано, что техническое развитие производства является основой его перевода на преимущественно интенсивный путь и повышения эффективности. Раскрыта причинно-следственная связь между интенсификацией и эффективностью производства и доказана обоснованность их отождествления и рассмотрения по одному и тому же содержанию, что часто встречается в экономической литературе.

Дано определение сущности и уровня технического развития производства, под которым понимается состояние развития средств и предметов труда, технологических процессов, их соответствие современным достижениям научно-технического прогресса.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ეკონომიკური პრობლემების განყოფილებამ.

გიორგი წარეთელი

ბარემო ბუნების დაცვის სამეურნეო მექანიზმის შემადგომი სრულყოფის მნიშვნელოვანი მიმართულებანი

სამეურნეო მექანიზმის სრულყოფა წარმოადგენს ჩვენი ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპის ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემას.

სოციალისტური სამეურნეო მექანიზმი არის ისეთი ურთიერთდამოკიდებული და ერთმანეთისაგან განუყოფელი ელემენტების ერთიანობა, როგორცაა დაგეგმვა, ეკონომიკური სტიმულირება, მართვის ორგანიზაციული სტრუქტურა და მასში მშრომელთა ფართო მასების მონაწილეობა. სოციალისტური სამეურნეო მექანიზმის საფუძველს წარმოადგენს ეკონომიკის განვითარების გეგმიური ხელმძღვანელობა. დაგეგმვის პროცესი გვევლინება როგორც სახალხო მეურნეობის გაძღოლის ცენტრალური ნაწილი. სოციალიზმის დროს გვემუშო ხელმძღვანელობას ექვემდებარება არამარტო მისი ეკონომიკის ყველა სფერო და ყველა რგოლი, არამედ საზოგადოების სოციალური განვითარებაც. ე. ი. გამოდის, რომ სოციალიზმის დროს დაგეგმვას აქვს ყოვლისმომცველი ხასიათი.

სოციალისტური სამეურნეო მექანიზმის ერთ-ერთ მნიშვნელოვან და განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს წარმოების ისეთი ეკონომიკური სტიმულირების სისტემა, რომელიც ეყრდნობა სამეურნეო ანგარიშობას. მართლაც, სპეციალურ ლიტერატურაში ხშირად გვხვდება აზრი იმის შესახებ, რომ რაც უფრო უკეთესად არის უზრუნველყოფილი ეკონომიკური ზემოქმედების სისტემაში მშრომითი კოლექტივებისა და ცალკეულ თანამშრომელთა ინიციატივის, უფლებებისა და დამოუკიდებლობის შესაძლებლობათა გაფართოება, მით უფრო მაღალია წარმოების ეფექტიანობა და მუშაობის ხარისხი.

სოციალისტური სამეურნეო მექანიზმის უმნიშვნელოვანეს ნაწილს წარმოადგენს მართვის ორგანიზაციული სტრუქტურა. ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარების თანამედროვე ეტაპზე განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მისი მართვის გაუმჯობესებას. ამჟამად ეკონომიკის მართვის სრულყოფის ძირითად გზებს წარმოადგენს გეგმების მეცნიერული დასაბუთებულობისა და დაბალანსებადობის დონის ამაღლება; ეკონომიკური ბერკეტებისა და სტიმულების უფრო სრული გამოყენება ეკონომიკის რეზერვების მობილიზაციის მიზნით; წარმოების კონცენტრაციის შემდგომი განხორციელება; საწარმოთა გამსხვილების გზით საწარმოო გაერთიანებათა (კომბინატების) შექმნა; მართვის ორგანოების სტრუქტურის სრულყოფა; ადმინისტრაციულ-მმართველობითი აპარატის სტრუქტურის ოპტიმიზაცია; თანამედროვე ორგანიზაციული, ელექტრონულ-გამოთვლითი ტექნიკისა და მართვის ავტომატიზებული სისტემების ფართო გამოყენება და ა. შ.

სოციალისტური სამეურნეო მექანიზმის სრულყოფა დიდად არის დამოკიდებული წარმოების მართვის პროცესში მშრომელთა ფართო მასების მონაწილეობასა და სოციალისტური შეჯიბრების სწორ ორგანიზაციაზე.

სოციალისტური სამეურნეო მექანიზმის ერთიანი სისტემის შემადგენელი ნაწილია გარემო ბუნების დაცვის სამეურნეო მექანიზმი.

საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება ბუნებათსარგებლობის პროცესების სრულყოფის პრობლემების გადაჭრას, რომელიც ჩვენ დროს იქცა კაცობრიობის ერთ-ერთი მნიშვნელოვან და გადაუდებელ ამოცანად.

მცენიერებისა და ტექნიკის უკვე არსებული მიღწევების წყალობით დღევანდელი საზოგადოება იძენს ისეთ ძალას, რომელსაც შეუძლია შეცვალოს ბუნება. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბუნებრივი სიმდიდრის მტაცებლური და ცალმხრივი გამოყენება (ასეთი გამოყენების შედეგად მოსალოდნელი უარყოფითი შედეგების აღრიცხვის გარეშე) ყოველად დაუშვებელია. ბუნებისა და მისი სიმდიდრისადმი არარაციონალურ დამოკიდებულებას მივყავართ უარყოფით შედეგებამდე. ამის შესახებ თავის დროზე კარგად გვაფრთხილებდა ფ. ენგელსი, რომელიც წერდა: „მაგრამ ძალიანაც ნუ მოვიტყუებთ თავს ბუნებაზე ჩვენი ადამიანური გამარჯვებებით მოხიბლულნი. ყოველი ასეთი გამარჯვებისათვის ბუნება შურს იძიებს ჩვენზე. მართალია, ყოველ ამ გამარჯვებას პირველ რიგში სწორედ ის შედეგები აქვს, რომელთაც ჩვენ ვითვალისწინებდით, მაგრამ მეორე და მესამე რიგში მას აქვს სრულიად სხვა, გაუთვალისწინებელი შედეგები, რომელნიც ძალიან ხშირად იმ პირველ შედეგებს კვდავ აქარწყლებენ. იმ ადამიანებს, რომელთაც მესოპოტამიაში, საბერძნეთში, მცირე აზიასა და სხვაგან ტყეები ძირფესვიანად ამოაგდეს, რათა ამ გზით სახნავი მიწა ეშოვათ, არც კი დასიზმრებიათ, რომ ამით საფუძველი ჩაუყარეს ამ ქვეყნების ახლანდელ გაუღაბნობასა და ტყეებთან ერთად ამ ქვეყნებს ტენიანობის შეგროვებისა და დაცვის ცენტრები გამოაცალეს“¹.

ფ. ენგელსის აღნიშნული სიტყვები დღესაც ინარჩუნებს თავის დამრიგებლურ მნიშვნელობას. დასამალი არ არის, რომ ამჟამად ადამიანის მიერ მატერიალური დოვლათის წარმოების პროცესი, ყველასათვის ცნობილ სარგებელთან ერთად, ჯერ კიდევ იძლევა მცენარეული, ცხოველური და ცოცხალი ორგანიზმების სამყაროს ნორმალური პირობების გამანადგურებელ შედეგებს. დღევანდელი წარმოება ჯერ კიდევ მთელი სიმწვავეით გვიყენებს ბუნებრივი რესურსების ამოწურვისა და გარემოს გაჭუჭყიანებისაგან თავდაცვის პრობლემებს.

აღნიშნული პრობლემების შესწავლამ და გადაჭრამ ბოლო ხანებში დიდი გაქანება მიიღო ჩვენს ქვეყანაში. ბუნებათსარგებლობის გაუმჯობესების საკითხები ამიერიდან იმყოფება ჩვენი პარტიისა და მთავრობის მუდმივი ყურადღების ცენტრში. ბუნებრივი რესურსების მომჭირნეობითი და მეურნეობრივი გამოყენება, მიწის, ტყის, ჰაერის, წყლის, მცენარეული და ცხოველური სამყაროს რესურსების დაცვაზე ზრუნვა წარმოადგენს საბჭოთა სახელმწიფოს მეტად მნიშვნელოვან ამოცანას, რომელიც განმტკიცებულა სსრ კავშირის კონსტიტუციის და პარტიისა და მთავრობის მრავალი დადგენილებით. ამ დადგენილებებს შორის აღსანიშნავია: საბჭოთა კავშირის კომპარტიისა და მინისტრთა

1 ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, თბ., 1950, გვ. 182.

საბჭოს ერთობლივი დადგენილება „ბუნების დაცვის გაძლიერებისა და ბუნებრივი რესურსების გამოყენების გაუმჯობესების შესახებ“ (1972), წილისეულის დაცვის კანონმდებლობის საფუძვლები (1975), ტყის კანონმდებლობის საფუძვლები (1977), საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცკ-ის დადგენილება „ბუნების დაცვაზე დამატებითი ზომების შესახებ“ (1978), კანონი „ატმოსფერული ჰაერისა და ცხოველური სამყაროს დაცვის“ შესახებ (1980) და სხვა.

ქვეყნის ბუნებრივი პოტენციალის გამოყენებისა და დაცვის ყოველმხრივი გაუმჯობესების ამოცანები იქნა დასმული სკკპ პარტიის XXIV, XXV და XXVI ყრილობების გადაწყვეტილებებში. ამ ამოცანების გადაჭრის პოლიტიკამ შემდგომი განვითარება ჰპოვა სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებებში. მასში ხაზგასმულია, რომ საჭიროა „გავაძლიეროთ გარემოს მდგომარეობისა და გაუჭუჭყიანების წყაროებისადმი სახელმწიფო კონტროლის ქმედითობა, გავუმჯობესოთ ეფექტიანი ავტომატური ხელსაწყოებითა და მოწყობილობით ამ სამსახურის ტექნიკური აღჭურვა. გავაფართოვოთ ამ მუშაობაში საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მოსახლეობის მონაწილეობის ფორმები და მეთოდები“². ამ ამოცანის გადაწყვეტა წარმოადგენს დიდ და მეტად რთულ პრობლემას, რომელიც შედგება სოციალისტური ბუნებათსარგებლობის მრავალი თეორიული და პრაქტიკული ხასიათის ქვეპრობლემისაგან. ყოველი ასეთი ქვეპრობლემის გადაჭრა დაკავშირებულია სხვადასხვა სამეცნიერო და პრაქტიკული სახის ამოცანების გადაწყვეტასთან.

სოციალისტური ბუნებათსარგებლობის განვითარების დღევანდელ ეტაპზე ერთ-ერთი მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს გარემო ბუნების დაცვის სამეურნეო მექანიზმის სრულყოფა. გარემო ბუნების დაცვის სამეურნეო მექანიზმი წარმოადგენს ორგანიზაციულ-ადმინისტრაციული და ეკონომიკური ბერკეტების ისეთ ერთიანობას, რომელიც რეგლამენტირებას უკეთებს წარმოების ზემოქმედებას ბუნებრივ გარემოზე. გარემო ბუნების დაცვის არსებული მექანიზმის ანალიზი გულისხმობს გამოკვლევულ იქნეს თუ როგორ გაითავალისწინება ბუნების დაცვითი მოთხოვნები სამეურნეო მექანიზმის სხვადასხვა ელემენტში და როგორ ურთიერთქმედებენ ისინი ერთმანეთში. აღსანიშნავია, რომ დღეისათვის ჩვენს ქვეყანაში შექმნილია გარემოს დაცვის ადმინისტრაციული რეგულირების საკმაოდ განვითარებული სისტემა, რომელშიც ყველაზე უფრო მეტად სრულყოფილად ითვლება წყლის რესურსებისა და ატმოსფერული ჰაერის დაცვის სამსახური, მაშინ როცა ამ სისტემის ეკონომიკური მხარე ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს.

საბჭოთა კავშირში გარემო ბუნების მდგომარეობაზე საჭირო კონტროლი და ამ სფეროს ფუნქციონირების მართვა დამყარებულია ეკოლოგიური ნორმატივების სისტემაზე. აღნიშნულ ნორმატივებს შორის უპირველეს ყოვლისა იგულისხმება ისეთი, როგორიცაა დასახლებული ადგილების ატმოსფერულ ჰაერში და ბუნებრივ წყალსაცავებში მავნე ნივთიერებების ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციის ამსახველი ნორმატიული მაჩვენებლები. მათი დადგენისას ძირითად ამოსავალ კრიტერიუმად თვლიან მავნე ნივთიერებების კონცენტრაციის ისეთ დონეს, რომელიც არ ახდენს ადამიანზე პირდაპირ ან ირიბ უარყოფით ზემოქმედებას და არ ამცირებს მის შრომისუნარიანობას. კრიტერიუმის ასეთნაირად შერჩევა, ჩვენი აზრით, წარმოადგენს შედარებით უფრო პროგრესულ გზას, ვიდრე სხვა ქვეყნებში მსგავსი მაჩვენებლების დასადგენად გა-

² სკკპ XXVII ყრილობის მასალები. თბ., 1986. გვ. 489.

მოყენებული მოთხოვნები და მათი განხორციელების მიმართულებები (მაგალითად, ზოგიერთ ქვეყანაში გარემო ბუნების უარყოფითი ზემოქმედების ძირითად კრიტერიუმად მიჩნეულია მხოლოდ მოსახლეობის დაავადება). ამიტომ გარემო ბუნებაში მავნე ნივთიერებების ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციის მაჩვენებლები სსრ კავშირში წარმოადგენენ უფრო მეტად მკაცრ სიდიდებს, ვიდრე სხვა ქვეყნებში. ამას ადასტურებს ასეთი მაგალითიც. ჩვენთან გოგირდოვანი საშუალოდ დღელამური კონცენტრაცია ჰაერში არ უნდა აღემატებოდეს 0,05 მგ. მ³-ს, მაშინ როცა აშშ-ში ამ მაჩვენებლის ზღვრულ დონედ დადგენილია 0,26 მგ. მ³, საფრანგეთში — 0,75 მგ. მ³, ხოლო იაპონიაში — 0,1 მგ. მ³.

ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების სასაზღვროდ დასაშვები კონცენტრაციის ამსახველი მაჩვენებელი სსრ კავშირში პირველად შემოღებულ იქნა 1951 წელს. მაშინ აღნიშნული მაჩვენებელი დადგენილ იქნა ჰაერის ყველაზე უფრო გავრცელებული გამჟღეკიანებლის 10 სახეობის მიხედვით. მას შემდეგ ამ მაჩვენებლების სახეობათა რიცხვი გაიზარდა. დღეისათვის ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციის მაჩვენებელი დადგენილია ჰაერის გამჟღეკიანებელი მავნე ნივთიერებების 146-ზე და წყალსაცავების გამჟღეკიანების მავნე ნივთიერებების 500-ზე მეტი სახეობისათვის.

გარემო ბუნების გამჟღეკიანებელი ყოველი სტაციონარული წყაროსათვის (და აგრეთვე გამჟღეკიანების სატრანსპორტო საშუალებების ყოველი მოდელისათვის) მავნე ნივთიერებების ზღვრულად დასაშვები გამონაბოლქვის ნორმატივების დადგენისათვის საჭირო მოთხოვნა სახელმწიფოებრივ კანონში პირველად გათვალისწინებულ იქნა 1980 წელს სახელწოდებით — „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“, რომელიც მიიღო და დაამტკიცა საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიამ აღნიშნული წლის 25 ივლისს. დღეისათვის ამა თუ იმ გამჟღეკიანებელი წყაროსათვის ზღვრულად დასაშვები გამონაბოლქვის მნიშვნელობა განისაზღვრება იმ ვარაუდით, რომ მოცემულ ტერიტორიაზე მოცემულ მომენტში ყველა გამჟღეკიანებელი წყაროსაგან გამონაბოლქვი მავნე ნივთიერებების ერთიანი მასა არ უნდა აღემატებოდეს ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციას.

გარემო ბუნების დაცვითი საქმისადმი ასეთი მიდგომის დროს დღეისათვის ძირითად ნორმატივს წარმოადგენს მავნე ნივთიერებების ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია, ხოლო ზღვრულად დასაშვები გამონაბოლქვის მაჩვენებლის გამოყენება აადვილებს ბუნების დაცვითი საქმიანობების დაგეგმვასა და მართვას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საწარმოო ნარჩენთა ზღვრულად დასაშვები რაოდენობის ამსახველ მაჩვენებელთა სისტემის პრაქტიკულ გამოყენებას, თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ ამ სისტემის გამოყენება წარმოშობს რიგ სიძნელეებს. მათ შორის ყველაზე მთავარია ამ სისტემის გამოყენებისათვის საჭირო სახსრების მოცულობის ამსახველი სიდიდის დღევანდელ პირობებში პრაქტიკულად მიუღებელი ზომა. მაგალითად, ცნობილია, რომ ზემოთ აღნიშნული ზღვრულად დასაშვები სისტემის პრაქტიკული დანერგვა გადინარე წყლის გამწმენდი მოწყობილობების ღირებულებას საშუალოდ ზრდის ობიექტის მთელი ღირებულების 10—15%-ით, ხოლო უმეტეს დარგებში 40-დან 45%-მდე.

3. „მაცნე“, ეკონომიკისა და საპარტის სერია.

გარემო ბუნების დაცვის სამეურნეო მექანიზმის შემადგენელ მასტიმულირებელ ბერკეტებს შორის განსაკუთრებული ადგილი უნდა ეჭიროს ეკონომიკურ ბერკეტებს. ამასთან დაკავშირებით მიზანშეწონილად მიგვაჩნია ნაშრომში ხაზი გავსვას გარემო ბუნების დაცვის ეკონომიკური რეგულირების სისტემის სრულყოფის ზოგიერთი ხელშემშლელი მხარეების ამსახველ ფაქტორებს და მათი დაძლევის მთავარ მიმართულებებს.

გარემო ბუნების დაცვის ეკონომიკური რეგულირების არსებული სისტემის მთავარ ნაკლს, ჩვენი აზრით, წარმოადგენს ის, რომ არ ხდება გარემოს გამჭუჭყიანებელი ობიექტებისა და გაჭუჭყიანებისაგან უშუალოდ დაზიანებული ობიექტების სრული თანმთხვევა, რაც ძალიან ადაბლებს გარემოს დაცვის მასტიმულირებელ ფაქტორს. ასე მაგალითად, ცნობილია, რომ სსრკ-ში ატმოსფეროს გამჭუჭყიანებაში მრეწველობას უჭირავს მაღალი ხვედრითი წილი — 56%, მაშინ როცა ეს დარგი გარემოს გამჭუჭყიანებისაგან ლეზულობს მთელი სახალხო მეურნეობრივი ზარალის 10%-ს. ასეთივე დამოკიდებულება აღინიშნება სხვადასხვა საწარმოებს შორისაც, რაც მკვეთრად ამცირებს საწარმოო და გარემოს გამჭუჭყიანებელი ობიექტების დაინტერესებას ბუნების დაცვაში.

ამ ინტერესს კიდევ უფრო ასუსტებს ბუნების დაცვის დაგეგმვის დღევანდელი ხასიათი. ცნობილია, რომ 1974 წლიდან წლიურ და პერსპექტიულ გეგმებში ასახულია ბუნების დაცვის მაჩვენებლებიც. მართალია, ეს თავის დროზე წარმოადგენდა წინ გადადგმულ ნაბიჯს სახალხო მეურნეობის დაგეგმვის თეორიაში, მაგრამ, ჩვენი აზრით, დღეისათვის ის უკვე ვეღარ პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს. ამ მხრივ სერიოზული წინააღმდეგობა მდგომარეობს იმაში, რომ დღევანდელ გეგმებში არ არის დამყარებული საჭირო კავშირი ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებსა და ბუნების დაცვის გეგმის განხორციელებით მოსალოდნელ შედეგებს შორის. უფრო მეტიც, სამეურნეო მექანიზმის არსებული სისტემის პირობებში, როცა არ წარმოებს გარემოს გამჭუჭყიანებისაგან მოსალოდნელი ეკონომიკური ზარალის აღრიცხვა და ვათვალისწინება, ბუნების დაცვითი საქმიანობა აუარესებს ძირითად საწარმოო მაჩვენებლებს. ამცირებს რენტაბელობის და ფონდუკუებების მაჩვენებლებს (რადგან იზრდება ძირითადი ფონდების საერთო მოცულობა), ამცირებს შრომის ნაყოფიერებას, ადიდებს დასაქმებულთა რაოდენობას და პროდუქციის თვითღირებულებას. ე. ი. გამოდის, რომ ბუნების დაცვითი ღონისძიებების გატარება ყოველი საწარმოსათვის, გამჭუჭყიანებისაგან გამოწვეული სახალხო მეურნეობრივი ზარალის აღრიცხვის გარეშე, წარმოადგენს მისი ძირითადი საქმიანობის „მძიმე ტვირთს“. მთავარ სიმძიმეს წარმოადგენს ბუნების დაცვითი კომპლექსის ძირითადი ფონდები, რომელთა ღირებულების სიდიდე ჩვეულებრივ შეადგენს მთელი ძირითადი საწარმოო ფონდების 16,5%-ს.

აქვე ხაზი უნდა გავუსვათ იმ გარემოებასაც, რომ დღეისათვის საწარმოებში არსებული გამწმენდი მოწყობილობების კომპლექსის ფუნქციონირება ვერ არის უზრუნველყოფილი ეკონომიკური სტიმულირების საჭირო ბერკეტებით. მართალია დღევანდელი უფლებებით ყოველი საწარმო თავისუფლდება ფონდების გადასახდელისაგან გამწმენდი მოწყობილობებზე, მაგრამ ეს, ჩვენი აზრით, არ არის საკმარისი, რადგან იგი არ თავისუფლდება მსგავსი გადასახდებისაგან გაწმენდის პროცესის მომსახურე ბუნების დაცვითი კომპლექსის ყველა ძირითად ფონდზე (მაგ. შენობაზე, წყალსაქაჩებზე, მილგამტარებზე და სხვა). გარდა ამისა, ხშირად გამწმენდი მოწყობილობების ღირებულება წარ-

მოადგენს მთელი კომპლექსის ღირებულების მხოლოდ 45%-ს. ამორტიზაციის პროცენტის მაჩვენებელი გამწვანდი მოწყობილობისათვის უდრის 4%-ს, მაშინ როცა ის მთელი მოწყობილობებისათვის ტოლია 7%-ის. ეს კი ანელებს ძირითადი ფონდების განახლების ტემპს.

ყოველივე აღნიშნულიდან ცხადია, რომ გარემო ბუნების დაცვის სამეურნეო მექანიზმის ღრევეანდელი სისტემა მოითხოვს სრულყოფას. ჩვენი აზრით, ასეთი სრულყოფის მთავარ მიმართულებებს უნდა წარმოადგენდეს შემდეგი:

1. დაგეგმვის სფეროში უნდა გადაიჭრას ისეთი მნიშვნელოვანი ამოცანა, როგორცაა თვით ბუნებისდაცვითი ღონისძიებების დაგეგმვიდან მათი შედეგის დაგეგმვაზე გადასვლა;

2. მართვის სფეროში საჭიროა გარემოს სისუფთავის ხარისხის კონტროლის სისტემის სრულყოფა;

3. ფინანსირების სფეროში საჭიროა დადგენილ იქნეს ბუნების დაცვითი სახსრების გამოყოფის მიზნობრივი ხასიათი.

4. სტიმულირების სფეროში საჭიროა ბუნებისდაცვითი კომპლექსის მუშაკების ხელფასის სისტემის სრულყოფა და მათი სწორი პრემირებისათვის საჭირო კრიტერიუმების დამუშავება.

და ბოლოს ხაზი უნდა გავუსვათ იმ გარემოებასაც, რომ ბუნებათსარგებლობის სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მომენტს წარმოადგენს ბუნებათსარგებლობის სფეროში გადასახადების სისტემის შემოტანა. ასე მაგალითად, გარემო ბუნების გაქუჭყუიანებაზე გადასახადების დაწესება. იძლევა საშუალებას მავნე ნივთიერებებისაგან გამოწვეული ზარალის ურთიერთობის სამეურნეო ანგარიშიანობის სისტემაში ჩართვისათვის. მისი საშუალებით შეიძლება დაკავშირებულ იქნას ბუნების დაცვითი ღონისძიებების სახალხომურნეობრივი ეფექტი სამეურნეო ანგარიშიანობის ეფექტიანობის კრიტერიუმთან.

Г. Ш. ЦЕРТЕЛИ

ОСНОВНЫЕ НАПРАВЛЕНИЯ ДАЛЬНЕЙШЕГО СОВЕРШЕНСТВОВАНИЯ ХОЗЯЙСТВЕННОГО МЕХАНИЗМА ОХРАНЫ ОКРУЖАЮЩЕЙ ПРИРОДНОЙ СРЕДЫ

Резюме

На современном этапе развития социалистического природопользования большое значение придается изучению и решению проблем совершенствования хозяйственного механизма охраны окружающей среды. Исходя из этого, в работе поставлены современные проблемы совершенствования хозяйственного механизма охраны окружающей среды и намечены некоторые пути для их решения.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის ეკონომიკურ პრობლემათა პრობლემურმა ლაბორატორიამ.

მიხეილ ალიშვილი

სისტემური მიდგომა რაიონის აბრუსაპირველ კომპლექსის
დაზღვევაში

აგროსამრეწველო კომპლექსის ორგანიზაციულ-სამმართველო სტრუქტურის ჩამოყალიბებამ, ორგანიზაციული მექანიზმის გაუმჯობესებამ მართვის არაერთი მნიშვნელოვანი პრობლემა გადაჭრა. სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის ახლანდელ ეტაპზე აქცენტი გადატანილია მართვის ისეთ ბერკეტებზე როგორცაა: დაგეგმვა, სამეურნეო ანგარიში, კრედიტი, შრომის სტიმულირება და სხვ. ეს ბუნებრივია, რადგან მართვა არაეფექტური იქნება, თუ ორგანიზაციულთან ერთად არ ფუნქციონირებს ქმედითი ეკონომიკური მექანიზმი.

ამ მიმართულებით ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის პირველადი რგოლის — რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების დაგეგმვის ერთიანი სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც საბოლოო მიზნებისაკენ წარმართავს კომპლექსის ცალკეულ სფეროსა და დარგს; ხელს შეუწყობს ერთიანი საწარმო-ტექნიკური პოლიტიკის განხორციელების და დარგთაშორის ეკონომიკურ ურთიერთობათა სრულყოფილი სისტემის შექმნას, რაც საერთო მეთოდოლოგიურ პრინციპებს უნდა ეფუძნებოდეს; უზრუნველყოფს თვითოეული საწარმოს გაფართოებულ კვლავწარმოებას თვითანაზღაურებისა და თვითდაფინანსების საფუძველზე და ა. შ.

მართვაში სისტემური მიდგომის ძირითადი პრინციპების გათვალისწინებით უნდა გადაწყდეს აგროსამრეწველო კომპლექსის ერთიანი, კომპლექსური დაგეგმვის საკითხები. ვფიქრობთ, მიზანშეწონილი იქნება როგორც რესპუბლიკის, ასევე რაიონის აგროსამრეწველო კომპლექსი იგეგმებოდეს როგორც მთლიანად კომპლექსის, ასევე მიზნობრივი (დარგთაშორისი სასურსათო) ქვეკომპლექსების მიხედვით. ეს გამართლებულია ჯერ ერთი მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, მეორეც თანამედროვე პირობებში გაერთიანების (საერთო ინტერესების) არსებობისას, უკვე იქმნება რეალური შესაძლებლობა ერთობლივად იგეგმებოდეს გადამამუშავებელი საწარმოებისა და მეურნეობათა საქმიანობა, რომლებიც ნედლეულის მთავარი მიმწოდებელი არიან. ასეთი მიდგომა ამავე დროს უზრუნველყოფს დაგეგმვისა და ორგანიზაციულ სამმართველოს სტრუქტურის შესაბამისობას. დავეძნოთ რომ გაერთიანებათა სამმართველო აპარატში ამჟამად უკვე არსებობს სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის წარმოებისა და გადამამუშავების განყოფილებები, ხოლო მეურნეობებში სპეციალიზებული ქვედანაყოფები (ბრიგადები).

რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების კომპლექსური დაგეგმვა მოითხოვს წინასაგებმო გამოთვლითი და ანალიზური სამუშაოების მოცულობის მკვეთრ გადიდებას. ამ ამოცანის წარმატებით გადასაწყვეტად აუცილებ-

ლია საგეგმო განაგრძობდათა მეთოდისა და ტექნოლოგიის მნიშვნელოვანი გარდაქმნა, რაც შეუძლებელია ხარისხიანად განხორციელდეს მხოლოდ ტრადიციულ მეთოდებზე დაყრდნობით. დაგეგმვის ზემოთმოყვანილი სტრუქტურა საფუძვლად უდევს ჩვენს მიერ შემუშავებულ ეკონომიკურ-მათემატიკურ მოდელთა სისტემის სქემას, რომელიც აგებულია გარკვეული პრინციპებისა და თვალსაზრისების საფუძველზე და წარმოადგენს გაერთიანების დაგეგმვაში სისტემურ-კომპლექსური მიდგომის რეალიზაციის ერთ-ერთ ინსტრუმენტს¹. მოდელთა სისტემაში ცენტრალური ადგილი უჭირავს რაიონის აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარებისა და განლაგების ოპტიმიზაციურ მოდელს (ცენტრის ამოცანა) და მიზნობრივ ქვეკომპლექსთა განვითარების მოდელებს². სისტემა მოიცავს აგრეთვე სხვადასხვა ფუნქციის მქონე განსხვავებული დროითი ინტერვალისა და იერარქიის მეთოდოლოგიურად, ინფორმაციულად, და ალგორითმულად ურთიერთდაკავშირებულ მოდელებს, რომლებიც ასახავენ კვლავწარმოების ეკონომიკურ, ორგანიზაციულ და ტექნოლოგიურ მხარებსა და პროცესებს მათ ობიექტურად არსებულ ერთობლიობაში. იგი მიზნად ისახავს საკმაოდ ღრმად და ადეკვატურად აღწეროს სამართავი ობიექტი და საბოლოოდ მიღებულ იქნას დასაბუთებული საგეგმო, ორგანიზაციული და ოპერატიული გადაწყვეტილებები.

ზილბოსტნეულის სასურსათო მიზნობრივი ქვეკომპლექსის განვითარების ზოგადი მოდელი ადაპტირებულია გარდაბნის რაიონის აგროსამრეწველო კომპლექსის შესაბამის ობიექტზე. ექსპერიმენტული გათვლები ჩატარდა EC-ის ტიპის ეგმ-ზე. შემდგომში გათვალისწინებულია ამ ამოცანის ავტომატიზირება (დიალოგურ რეჟიმში) CM-ის ტიპის მინი ეგმ-ზე, რომელიც უკვე დამონტაჟებულია გარდაბნის რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანების აპარატის მართვის ცენტრში.

საწარმოო საქმიანობის მიხედვით გარდაბნის რაიონი შედის ქვემო ქართლის დაბლობის საგარეუბნო ზონაში. რაიონის მეურნეობა დასპეციალებულია თბილისის და რუსთავის მოსახლეობის მალფუჭებადი პროდუქტით — ბოსტნეულით, რძით, ხილით, სუფრის ყურძნით უზრუნველყოფის გათვალისწინებით. რაიონი ყოველწლიურად აბარებს სახელმწიფოს 100 ათას ტონამდე ბოსტნეულს, 14 ათას ტ. ხორცს, 16 ათას ტონა რძეს, 20 მლნ ცალ კვერცხს და ა. შ.

მეზობსტნეობისა და მეხილეობის განვითარებას საქართველოში მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს, რომელიც ანტიკურ ეპოქაში მიდის³. აგროსამრეწველო ინტეგრაციის პროცესმა გამოიწვია მიწათმოქმედების ამ უძველესი დარგის ინდუსტრიალიზაცია და მისი ჩართვა ურთიერთდაკავშირებულ დარგთა კომპლექსში, რომელიც ორიენტირებულია საბოლოო მომხმარებელზე.

გარდაბნის რაიონის სოფლის მეურნეობის ძირითად სასაქონლო პროდუქციაში 1981—85 წლებში ბოსტნეულის ზვედრითი წილი შეადგენდა 44,7%,

1 შესაბამის მოდელთა პრაქტიკული რეალიზაცია უნდა განხორციელდეს რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების მართვის ავტომატიზებული სისტემის დაგეგმვის ქვესისტემაში.

2 ტერტორიული, დარგობრივი და პროგრამულ მიზნობრივი დაგეგმვის პრინციპების შესაბამისად.

3 გ. რ. სტეფანიოვილი, მეზობსტნეობის განვითარება საბჭოთადად საქართველოში, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეურნალი „მაცნე“. № 2. 1985 წ. ეკონომიკისა და სამართლის სერია, გვ. 57—65.



ხილის — 2,3% (1973 წლის შესადარისი ფასების მიხედვით). დღეისათვის რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანებაში მებოსტნეობის მიმართულების 13 მეურნეობა ფუნქციონირებს. 1985 წელს ბოსტნეულის მწარმოებელი ცხრაშობი მეურნეობიდან რვაზე მოდიოდა ბოსტნეულის მთლიანი წარმოების 83%. მოყვანილი მაჩვენებლები ამ დარგის სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის მაღალ დონეზე მიუთითებენ. აგროსამრეწველო ინტეგრაციის განვითარების დონეზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ქვეკომპლექსის სასაქონლო პროდუქციის სტრუქტურაში 50—55% მოდის კონსერვებზე (ხილბოსტნეულის წარმოების 27—32% გადასამუშავებლად მიეწოდება ქარხნებს). ხილბოსტნეულის გადამუშავებას რაიონის 3 საკონსერვო ქარხანა ეწევა, რომლებმაც 1985 წელს გამოუშვეს 58832 ათასი პირობითი ქილა (აპქ) კონსერვი.

დღემდე ხილბოსტნეულის ქვეკომპლექსის დაგეგმვის ერთ-ერთ ძირითად ნაკლს წარმოადგენდა ის, რომ იგი არ განიხილებოდა, როგორც ერთიანი სამართავი ობიექტი. მართალია სპეციალიზებული მებოსტნეობის მეურნეობები და გადამამუშავებელი საწარმოები შედიოდნენ ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროში, მაგრამ ისინი მინც სხვადასხვა უწყებას ექვემდებარებოდნენ — მეურნეობები აგროსამრეწველო-სავაჭრო გაერთიანებას, კონსერვის ქარხნები კი — გაერთიანება „საქკონსერვმრეწვს“. ეს უწყებები თავიანთ საწარმოებს აძლევდნენ საგეგმო დავალებებს ერთმანეთთან შეუთანხმებლად, მეურნეობები და ქარხნები ნაკლებად ითვალისწინებდნენ ურთიერთინტერესებს და მოთხოვნებს, რაც იწვევდა დისპროპორციულობას ხილბოსტნეულის წარმოებასა და გადამამუშავებაში (სიმძლავრეების დაუტვირთაობა, ნედლეულის მიწოდების ვადების, ხარისხისა და ასორტიმენტის დარღვევა და ა. შ.)

წარმოებისა და გადამამუშავების კომპლექსური დაგეგმვა ხელს შეუწყობს აღნიშნული ნაკლოვანებების გამოსწორებას, გამოავლენს იმ დამატებით ეკონომიკურ ეფექტს, რომელიც მიიღწევა მოცემულ ტერიტორიაზე წარმოების კომპლექსურობისა და პროპორციულობის, დარგთა და წარმოებათა ოპტიმალური შეთანწყობის ხარჯზე. გარდა ამისა არსებობს რეზერვები უფრო ეფექტურად განაწილდეს საწარმოო დავალებები და ცალკეული კულტურის წარმოებისათვის ხელსაყრელი ბუნებრივ-კლიმატური და ეკონომიკური პირობების გათვალისწინებით ე. ი. რაციონალურად იქნას გამოყენებული აგროეკონომიკური პოტენციალი (იხ. ცხრილი № 1).

ც ხ რ ი ლ ი 1

ბოსტნეული კულტურების ეფექტურად განლაგების რეზერვები (1984 წლის მონაცემები)

საბჭოთა მეურნეობები	კულტურები					
	კომბოსტო			ქარხალი		
	ფართობი, ჰა	მოსავლიანობა, ც/ჰა	თვითლირებულება, მან.	ფართობი, ჰა	მოსავლიანობა, ც/ჰა	თვითლირებულება, მან.
ვარდაბნის მე-ბოსტნეობის	156	357	6.48	5	390	5,92
სართიქალის მებოსტნეობა-მევენახეობის	107	438,9	6	39	260	15,9

ამ ორი მეურნეობისა და ორი კულტურის მაგალითი ნათლად ადასტურებს აღნიშნულ ფაქტს.

ანალოგიური სურათია საკონსერვო წარმოებაშიც — არაოპტიმალურად იგეგმება პროდუქციის ასორტიმენტული შემადგენლობა, არაეფექტურად გამოიყენება ქვეკომპლექსის სხვადასხვა სახის მატერიალური და შრომითი რესურსები.

ხილბოსტნეულის აგროსამრეწველო ქვეკომპლექსის წარმოების სტრუქტურის, რესურსების და შინაგანი რეზერვების გამოყენების კომპლექსურად დაგეგმვის მიზნით შემუშავებულ იქნა ოპტიმიზაციური ეკონომიკურ-მათემატიკური წრფივი მოდელი. წრფივი პროგრამირების აპარატის გამოყენების ობიექტურ საფუძველს, როგორც ვნახეთ, იძლევა რაიონის მეურნეობების განსხვავებული ბუნებრივ-ეკონომიკური პირობები და საკონსერვო მრეწველობის სპეციფიკა, რომლისთვისაც დამახასიათებელია ფართო სამრეწველო ურთიერთშემცვლელიობა.

ხილბოსტნეულის ქვეკომპლექსის განვითარების ოპტიმიზაციური მოდელის ძირითადი „შემავალი“ პარამეტრებია:

— დავალებები ხილბოსტნეულის ქვეკომპლექსის პროდუქტების წარმოებაზე („ქვემო საზღვრები“); კაპიტალური დაბანდების ლიმიტები; პროდუქციის სარეალიზაციო ფასები; მიწისა და შრომითი რესურსების მოცულობები; სხვა მატერიალური რესურსების ლიმიტები; ტექნოლოგიური ხაზების სიმძლავრეები; სხვადასხვა ნორმები და ნორმატივები; მოსავლიანობა, თვითღირებულება და სხვა მაჩვენებლები.

ოპტიმიზაციური განაგარიშებების შედეგად მიიღება ქვეკომპლექსის განვითარების ვარიანტები საეგემო პერიოდისათვის, რაც საშუალებას გვაძლევს განისაზღვროს: ხილბოსტნეულის კულტურების ოპტიმალური განლაგება მეურნეობების მიხედვით (თესლბრუნვების გათვალისწინებით); მოთხოვნილებები მონერალურ და ორგანულ სასუქებზე, შრომით რესურსებზე; საკონსერვო ნაწარმის საუკეთესო ასორტიმენტული შემადგენლობა სახეობების, დაფასობისა და ხარისხის მიხედვით; ხილბოსტნეულის წარმოების მოცულობები დაფასობისა და ხარისხის მიხედვით; ხილბოსტნეულის წარმოების მოცულობები საკონსერვო ქარხნების ნედლეულზე მოთხოვნილებისა და გადაუმუშავებლად რეალიზაციის გათვალისწინებით; შემოზიდული ნედლეულის საჭირო მოცულობები; კაპიტალური დაბანდების განაწილება, რომელიც მოიცავს სხვადასხვა ძირითადი ფონდებისა და მათ შორის მრავალწლიანი ნარგავების ფართობების გაფართობას, მიწების ტრანსფორმაციას, გადამმუშავებელი წარმოების და ხილბოსტნეულის შესანახი ბაზების, სიმძლავრეების გაზრდას და სხვ. გაიანგარიშება აგრეთვე სხვადასხვა ფინანსურ-ეკონომიკური მაჩვენებლები.

მოდელი საშუალებას იძლევა გათვლები ჩატარდეს ოპტიმალობის სხვადასხვა კრიტერიუმის გამოყენებით, რის შედეგადაც შესაძლებელია მივიღოთ გეგმის პროექტის რამდენიმე ვარიანტი. მათ საფუძველზე კი უნდა მოხდეს საბოლოო საეგემო გადაწყვეტილების მიღება.

ამოცანის დასმა მოგების მაქსიმუმზე მიზანშეწონილია იმ შემთხვევაში, როცა საბოლოო პროდუქციის ასორტიმენტული შემადგენლობა და მოცულობები არ არის თავიდან განსაზღვრული. ეს კრიტერიუმი ყველაზე მეტად შეესაბამება სამეურნეო ანგარიშზე (თვითდაფინანსებაზე) ჰყოფი საწარმოების ეკონომიკურ ინტერესებს (გაფართოებული კელაგწარმოება, ეკონომიკური სტი-

მულირება და ა. შ.). ამასთან, აუცილებელია აღინიშნოს, რომ ამოცანის გადაწყვეტა ამ შემთხვევაში დიდადაა დამოკიდებული პროდუქციის სარეალიზაციო ფასების სრულყოფილებაზე, რაც ხშირად ირღვევა სამეურნეო პრაქტიკაში. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ფასების რყევა დამოკიდებულია ხარისხზე, გაყიდვის ვადებზე, რეალიზაციის ფორმებზე, ყოველივე ეს ქმნის გარკვეულ სიძნელებებს საგეგმო გაანგარიშების პროცესში. აღნიშნული ნაკლოვანებებისაგან რამდენადმე თავისუფალია ოპტიმალობის ისეთი კრიტერიუმები, როგორებიცაა მთლიანი პროდუქციის მაქსიმუმი, წარმოების სრული დანახარჯების მინიმუმი, აგრეთვე ამოცანის დასმა მოგების კრიტერიუმზე საბოლოო პროდუქციის ნაწილობრივი განსაზღვრით.

მოდელირების ყველაზე უფრო შრომატევადი და საპასუხისმგებლო ეტაპია შემავალი ინფორმაციის მოზადება, რაც გულისხმობს პირველადი ინფორმაციის მოძიებას და მის გადამუშავებას. ბუნებრივია, ამოცანის ამოხსნის ხარისხი დიდადაა დამოკიდებული ინფორმაციის სიზუსტეზე.

ჩვენი მოდელის ინფორმაციული უზრუნველყოფის ძირითად ნაწილს შეადგენენ: საბჭოთა მეურნეობებისა და საკონსერვო ქარხნების წლიური ანგარიშები, გაერთიანების კრებისითი წლიური ანგარიშები; რაიონის გეგმები და გეგმის პროექტები; ტექნოლოგიური რუკები; სხვადასხვა ნორმატივები, ცნობარები, ღირებულებები; ექსპერტული ინფორმაცია და სხვ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რაიონისა და საწარმოების დონეზე დაგეგმვის ერთიანი ნორმატიული ბაზის შექმნა მნიშვნელოვნად გააადვილებდა და გააუმჯობესებდა ეკონომიკურ-მათემატიკურ მოდელირებასა და საგეგმო გაანგარიშებებს.

პირველადი მონაცემების შემავალ ინფორმაციად გარდაქმნა მოხდა სხვადასხვა გზით — მაგალითად, მოსავლიანობისა და თვითღირებულების პროგნოზირებისას გამოყენებულ იქნა მათემატიკური სტატისტიკის მეთოდები (გაანგარიშებები ჩატარდა მიკროკომპიუტერ ИСКРА 220-ზე), ვისარგებლეთ ექსპერტული შეფასებებით და სხვ.

ეგმ-ზე გათვლების ჩატარების შედეგად მიღებულ იქნა ოპტიმალური პერსპექტიული (1990 წლისათვის) გეგმის ოთხი ვარიანტი, რომელთა ძირითადი მაჩვენებლები მოცემულია № 2 ცხრილში.

ცხრილი 2

ოპტიმალური გეგმის ვარიანტების ძირითადი მაჩვენებლები

ოპტიმალური გეგმის ვარიანტი (კრიტერიუმის მიხედვით)	მ ა რ ვ ე ნ ე ბ ლ ე ბ ი							
	პროდუქტ. წარმოება		მოგება (ათას. მან.)		თვითღირ. (ათას. მ.)		რენტაბ. %	
	ბოსტნეული ტ.	კონსერვები აპკ	სულ	მ. შ. ბოსტნეული	სულ	მ. შ. ბოსტნეული	სულ	მ. შ. ბოსტნეული
I. მთლიანი პროდუქციის მაქსიმუმი	111728,3	63310	19754	16609,7	38184,4	16852,6	51,7	98,6
II. მოგების მაქსიმუმი	115930,1	63310	20904,5	17291	369635	16782,7	56,5	103
III. მოგების მაქსიმუმი (შეზღუდვებით)	114736,3	59343	18440,1	15044,8	34903,4	15849,1	52,8	94,9
IV. თვითღირებულების მინიმუმი	108000	51000	14426,5	12512	28245,1	13633,2	51	91,7

გეგმის I ვარიანტში (იხ. ცხრილი) მიიღება მთლიანი პროდუქციის მაქსიმალური მოცულობა. ამ შემთხვევაში მართალია სხვა ვარიანტებთან შედარებით ყველაზე მეტი პროდუქცია იწარმოება (მანეთებში), მაგრამ მისი ასორტიმენტული შედგენილობა ვერ იქნება მთლიანად დამაკმაყოფილებელი. გეგმა არ ითვალისწინებს მაგალითად ისეთი მნიშვნელოვანი ბოსტნეული კულტურების წარმოებას, როგორცაა — ბადრიჯანი, ჯარჯალი და სტაფილო, ხოლო კომბოსტოს რეალიზაციის გეგმა 1985 წელს ფაქტიურ რეალიზაციასთან შედარებით შემცირდება 60%-ით, ჰამიდვრის კი გაიზრდება 2,2-ჯერ. დიდი ცვლილებებია აგრეთვე საკონსერვო ნაწარმის სტრუქტურაშიც. იგივე ნაკლოვანებები ახასიათებს გეგმის II ვარიანტს, რომელიც მივიღეთ ამოცანის მოგების მაქსიმუმზე ამოხსნის შედეგად ასორტიმენტული შეზღუდვების გარეშე. ასორტიმენტის მკვეთრი დისპროპორციულობა აიხსნება იმით, რომ პირველ შემთხვევაში მოდელმა უპირატესობა მიანიჭა მაღალი შესაღარი ფასის, ხოლო მეორეში — დიდი რენტაბელობის მქონე პროდუქტებს.

საინტერესოა თვითღირებულების მინიმუმის კრიტერიუმით დასმული ამოცანის შედეგები (იხ. ცხრ. № 2. IV ვარიანტი). ამ შემთხვევაში პროდუქციის წარმოების პროგრამა (დავალებები საბოლოო პროდუქციაზე განსაზღვრულია რაიონში არსებული ტენდენციის გათვალისწინებით) სრულდება მინიმალური დანახარჯებით. ამასთან, რეზერვებში რჩება 450 ჰა და გადამამუშავებელი სიმძლავრეების 19,5%. ამ რეზერვების გამოყენებით შესაძლებელია მნიშვნელოვნად გაიზარდოს საწარმოო პროგრამა, მაგრამ უნდა ითქვას რომ მოცემული ვარიანტისათვის მოგებისა და რენტაბელობის დონე შედარებით დაბალია.

გეგმის მიღებული ვარიანტების საწარმო-ეკონომიკური შეფასება და აკარგეანობის დადგენა უნდა მოხდეს დეტალური ანალიზისა და ექსპერტული შეფასებების საფუძველზე (გეოგრაფიების მეშვეობით სპეციალისტების მიერ), რომლის შედეგადაც უნდა ამოირჩეს საუკეთესო ან მიღებულ იქნეს კომბინირებული ვარიანტი.

ჩვენ შედარებით დაწვრილებით განვიხილავთ III ვარიანტს. იგი შეესაბამება მოგების მაქსიმუმის კრიტერიუმს, ასორტიმენტზე და მოცულობაზე ნაწილობრივი შეზღუდვებით, რომელიც ყველაზე რეალურად გვესახება.

ოპტიმალური გეგმის ეს ვარიანტი ითვალისწინებს 1990 წლისათვის ბოსტნეულის წარმოების გაზრდას 52%-ით 1985 წელთან შედარებით, ამასთან მოსავლიანობა და საერთო ფართობი გაიზრდება შესაბამისად 30 და 16%-ით. რაც იმაზე მეტყველებს, რომ მოსავლის ზრდა ძირითადად ინტენსიური გზით უნდა მოხდეს. მთლიანი პროდუქციის საშუალო წლიურმა ზრდის ტემპმა წინა ხუთწლეუდთან შედარებით უნდა შეადგინოს 6,9%.

ოპტიმალური გეგმის მიხედვით მნიშვნელოვნად იცვლება ბოსტნეულის ნათესი ფართობების სტრუქტურა. მაგალითად: ფართობის 42,5% უნდა დაი-

4 ნორმატიული დაგეგმვის პირობებში, მოდელში უნდა ჩაერთოს რესურსული პოტენციალის საფუძველზე განვარჩეული ბოსტნეულის ნორმატიული შესყიდვის (ფულად გამოსახულებაში) ამსახველი შეზღუდვები. მთლიანი შესყიდვის შემდგომი გადაყვანა ნატურალურ მანქანებში მოხდება უკვე მოდელის რეალიზაციის გზით.

5 საბოლოო განვარჩევებით, მთლიანად მოსავლისათვის სავირო იქნება 236,6 ტონა აზოტთან, 274,5 ტ. ფოსფორთან, 192,4 ტ. კალიუმთან, 233 ტ. ორგანული სასუქები (მოქმედ ნივთიერებებში), შრომის დანახარჯები კი მცირდება 25%-ით და შეადგენს 6,5 კაც/სთ-ს 8,2-ის ნაცვლად 1985 წ.

კავოს პამიდორმა 31,4%-ის ნაცვლად 1985 წელს (წარმოება გაიზარდა 1,8-ჯერ), ხოლო კომბოსტოს ფართობი 31%-დან 19,5%-მდე შემცირდება (წარმოება გაიზარდა 13%-ით) სტაფილოს ფართობი შემცირდება 2,1%-დან 0,1%-მდე. ამასთან მისი წარმოების ხვედრითი წილი გაიზარდა 0,2%-დან 0,3%-მდე. ბოსტნეულის გეგმა ითვალისწინებს ცალკეული კულტურის მწარმოებელ მეურნეობათა რიცხვის შემცირებას. ასე მაგალითად, თუ 1985 წელს კომბოსტოს ძირითად ნაწილს აწარმოებდა 10 მეურნეობა გეგმით გათვალისწინებულია მათი 6-მდე დაყვანა, ჭარხლისა — 8-დან 2-მდე და ა. შ., — ესე იგი იზრდება სპეციალიზაცია და კონცენტრაცია.

განსაკუთრებით საინტერესოა ოპტიმალური გეგმის ფინანსური მაჩვენებლები. თუ მას 1985 წლის ბოსტნეულის 14 ძირითადი მწარმოებელი მეურნეობის (მთლიანი წარმოების 91%) შესაბამის მაჩვენებლებს შევადარებთ, ასეთი სურათი გვექნება — რეალიზაციის ზრდა 1,6-ჯერ, თვითღირებულების მთლიანი ზრდა — 1,5-ჯერ, ამონაგების ზრდა 2,2-ჯერ, მოგებისა — 3,9-ჯერ, ამასთან 1 ც ბოსტნეულის თვითღირებულება 14,5 მან-დან 13,1 მან-მდე მცირდება; ხოლო მოგება 1,7-ჯერ იზრდება და აღწევს 12,4 მან. მთლიანად რაიონში ბოსტნეულის რენტაბელობამ შეადგინა 94,0%. ფინანსური მაჩვენებლების და განსაკუთრებით საერთო მოგების ასეთი ზრდა ბუნებრივია გაპირობებულია არა მარტო სტრუქტურული ცვლილებებით, არამედ ექსტენსიური ფაქტორებით⁶ და პროდუქციის ხარისხისა⁷ და შესაბამისად სარეალიზაციო ფასების მოსალოდნელი გაზრდითაც. გაანგარიშებით მივიღეთ, რომ მოგების მთლიან ზრდაში ოპტიმიზაციის (სტრუქტურული ცვლილებების) ხვედრითმა წილმა შეადგინა 15,1%, ანუ 2001 ათასი მან., რასაც შეიძლება დეარქვათ ოპტიმიზაციის ეფექტი.

უმჯობესდება ცალკეული მეურნეობის ეკონომიკური ეფექტიანობის მაჩვენებლებიც, მაგალითად, გარდაბნის მეზობსტნეობის საბჭოთა მეურნეობაში ბოსტნეულის რეალიზაციის შედეგად შესაძლებელია მოგების 1235,7-დან 2519,8 ათას მანეთამდე გაზრდა, ხოლო რენტაბელობისა 119%-დან 172%-მდე. გაჩიანის მერქვევობა-მეზობსტნეობის საბჭოთა მეურნეობაში რენტაბელობა შესაძლებელია გაიზარდოს 69%-დან 100%-მდე და ა. შ.

გარკვეული ცვლილებები უნდა მოხდეს გადამამუშავებელ წარმოებაშიც (გარდაბნის საკონსერვო ქარხანა). საკონსერვო პროდუქციის მთლიანი მოცულობა 28%-ით გაიზარდება და შეადგენს 59343 აპქ-ს, რაც ძირითადად საწარმოო სიმძლავრეების უკეთ დატვირთვით მიიღწევა. ამასთან, ტომატის კონსერვების წარმოება უნდა გაიზარდოს 23,4%-ით, სიმძლავრეების 90,3%-ით დატვირთვით ძირითადად საკუთარი ნედლეულის ბაზაზე (91,8%). ტომატისა და ბოსტნეულის კონსერვების ხვედრითმა წილმა მთლიან პროდუქციაში უნდა შეადგინოს 82,8%, რაც სავსებით შეესაბამება ქარხნის სპეციალიზაციას. უნდა შეიცვალოს კონსერვების გამოშვების სტრუქტურაც პროდუქციის სახეობებისა და დაფასოებების მიხედვითაც. მაგალითად, ტომატის და ბოსტნეულის კონსერვების 15 სახეობიდან მოგების თვალსაზრისით ყველაზე ხელსაყრელია იწარმოებოდეს 8 სახეობა. უმაღლესი ხარისხის 30%-იანი 1—80—1000 დაფასოების ტომატ პასტის გამოშვება გაიზარდოს 1827,1 აპქ-დან 19233,7 აპქ-მდე. 1-82-3000 დაფასოებისა კი შემცირდეს 58%-ით და ა. შ.

⁶ ამოცანის დასმის თვალსაზრისით.

⁷ აქამდე წარმოებული ბოსტნეულის დიდი ნაწილი არასტანდარტულია, რაც გავლენას ახდენს რეალიზებული პროდუქციის ამონაგებზე.

გათვლები გვიჩვენებს, რომ ნელელულის გადამუშავების შედეგად მიღებული ნარჩენების უტილიზაციით ქარხანას შეუძლია აწარმოოს 540 ტ. სხვადასხვა სახის მეორადი პროდუქტი.

წარმოების ზრდისა და სტრუქტურული ცვლილებების შედეგად უნდა გაუმჯობესდეს ქარხნის ეკონომიკური ეფექტიანობის მაჩვენებლები. ასე მაგალითად, დანახარები 1 მან სასაქონლო პროდუქციაზე 1,13 მანეთიდან შემცირდება 0,84 მან-მდე. მოგება შეადგენს 3,3 მლნ მანეთს, ხოლო რენტაბელობა გაიზრდება მინუს 9-დან 17%-მდე. ოპტიმიზაციის შედეგად საერთო მოგების ზრდამ შეადგინა თითქმის 19%, რაც შეესაბამება 645,1 ათას მანეთს.

ოპტიმალურ გეგმას ანალიზი ჩაუტარდა ე. წ. ორადული შეფასებების აპარატის გამოყენებით. იგი ამავ დროს საშუალებას იძლევა მიღებულ იქნეს საგეგმო გადაწყვეტილებები ხილბოსტნეულის წარმოებისა და გადამუშავების არასტაბილურობის პირობებში. როგორც ცნობილია ორადული მაჩვენებლების სისტემა აფასებს პროდუქტის ან რესურსის ყოველ ერთეულზე მიზნის ფუნქციის (ამ შემთხვევაში მოგების) დამოკიდებულების ხარისხს. ამასთან, შეფასებები გვიჩვენებს თუ როგორ შეიცვლება მიზნის ფუნქცია რესურსების ან პროდუქციის გამოშვების გეგმის განსაზღვრული ცვლილების შემთხვევაში.

ჩვენი ამოცანის სოფლის მეურნეობის ბლოკში ძირითად საგეგმო მაჩვენებლებად გვევლინება ბოსტნეულის ცალკეული კულტურების ნათესი ფართობები. მათი ორადული შეფასებები გვიჩვენებს თუ რამდენად არახელსაყრელია (უარყოფითი შეფასება) ან ხელსაყრელია (არაუარყოფითი შეფასება) ამა თუ იმ კულტურის მოცემულ მეურნეობაში მოყვანა. შეფასებები კომპლექსურ ხასიათს ატარებენ, რაც იმას ნიშნავს, რომ მიწის ყოველი ნაკვეთი ფასდება არა იზოლირებულად, ამ მეურნეობისათვის, არამედ საერთო ოპტიმუმის თვალსაზრისით, პირობათა მთელი კომპლექსის გათვალისწინებით. მაგალითად, მიუხედავად იმისა რომ გაჩიანის მეურნეობაში ჭარხლის ნათესის 1 ჰა-ზე 1990 წლისათვის გათვალისწინებული იყო 1000 მან. მოგება, მისმა ორადულმა შეფასებამ შეადგინა მინუს 1280 მან, რაც იმას გვიჩვენებს, რომ ამ კულტურის მოყვანის შემთხვევაში მთლიანი მოგება შემცირდებოდა აღნიშნული თანხით ყოველ ჰა-ზე. ამ მეურნეობაში უფრო ხელსაყრელია იწარმოებოდეს სხვა ბოსტნეული — მაგალითად, ხახვი, კომბოსტო, პამიდორი. პამიდორის ნაკვეთის შეფასებამ აქ შეადგინა 2443 მან., მაგრამ მისი გაზრდა შეუძლებელია საერთო ფართობის შეზღუდულობისა და თესლბრუნვებზე მოთხოვნის გამო. თუ პროდუქციას უარყოფითი შეფასება აქვს და მაინც იწარმოება, ეს გამოწვეულია საერთო-საგეგმო შეზღუდვებით.

ორადული შეფასებების საფუძველზე შესაძლებელია შევადგინოთ იმ კულტურების ჩამონათვალი, რომელთა მოყვანაც ხელსაყრელია (არახელსაყრელია) მოცემულ მეურნეობაში მომგებიანობის (დანაკლისიანობის) ზრდის (კლების) მიხედვით, ან შევადგინოთ იმ მეურნეობების ჩამონათვალი სადაც ხელსაყრელია (არახელსაყრელია) მოცემული კულტურის წარმოება მომგებიანობის (დანაკლისიანობის) ზრდის (კლების) მიხედვით.

სოფლის მეურნეობის ბლოკში ძირითადი შეზღუდული რესურსები საბოსტნე ფართობებია. რაიონში ყველაზე დიდი შეფასება მიიღო ვარდბანის მეურნეობის ფართობმა (7400) ხოლო ყველაზე ნაკლები კრწანისის მეურნეობამ (1812). ამ შეფასებების საფუძველზე შესაძლებელია ვიმსჯელოთ საბოს-

ტენ ფართობების ურთიერთშემცვლელობის შესახებ, შეეფასათ ფართობის მცირე ნაზრდების ეფექტი და ეფექტიანობა, რის საფუძველზედაც უნდა მივიღოთ გადაწყვეტილება ფართობების გასაღიდეზღად სახსრების გამოყოფის შესახებ.

ანალოგიურად გაანალიზდა მრეწველობის ბლოკი, სადაც მთავარი საგეგმო მაჩვენებლები სხვადასხვა სახეობის კონსერვებია, ხოლო ძირითად შეზღუდულ რესურსებად გამოდიან საწარმოო სიმძლავრეები და ნედლეული. ორალულ შეფასებებს იძენს აგრეთვე შეზღუდვები საგეგმო დავალებებზე, მაგალითად ნულოვანი შეფასებები მიიღეს პამიდორისა და „სხვადასხვა ბოსტნეულის“ საგეგმო დავალებებმა, რომლებიც ოპტიმალური გეგმის მიხედვით შესაბამისად 5445 ტ. და 1242 ტ-ით მეტი უნდა დამზადდეს, ვიდრე წინასწარ („ქვემო საზღვრებით“) იყო განსაზღვრული. ყველაზე არახელსაყრელი კი აღმოჩნდა ბალჩეულის წარმოება, რომლის საგეგმო დავალების 1 ტ-ით გადიდება გამოიწვევდა მთლიანი მოგების 800 მან-ით შემცირებას. წამგებიანია ასევე საწებელასა და მანდარინის კონცენტრატის წარმოების გაზრდაც, რომლის 1 აპქ-ით გადიდება გამოიწვევდა საერთო მოგების შემცირებას შესაბამისად 232 და 87 მან-ით.

ამგვარად, რაიონული აგროსამრეწველო კომპლექსის ორგანიზაციულ-სამართველო სტრუქტურის ჩამოყალიბება საშუალებას იძლევა დაგეგმვაში განხორციელდეს სისტემური მიდგომის ძირითადი პრინციპები. სასურსათო დარგთაშორისი ქვეკომპლექსის განვითარების ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელის გამოყენებით შესაძლებელია მნიშვნელოვნად გაუმჯობესდეს სოფლის მეურნეობის შესაბამისი დარგისა და გადამამუშავებელი წარმოების დაგეგმვის პრაქტიკა, უფრო სრულად და ხარისხიანად იქნეს გამოყენებული არსებული საწარმოო ეკონომიკური პოტენციალი, უკეთ გამოვლინდეს ინტეგრაციის ეფექტი.

М. Л. АДЕИШВИЛИ

СИСТЕМНЫЙ ПОДХОД В ПЛАНИРОВАНИИ АПК РАЙОНА

Резюме

В работе рассмотрены некоторые вопросы совершенствования планирования районного агропромышленного комплекса. В качестве методического инструмента реализации комплексного планирования предлагается система экономико-математических моделей. На примере разработанной оптимизационной модели плодоовощного агропромышленного подкомплекса показываются возможности значительного улучшения системы планирования соответствующей отрасли сельского хозяйства и перерабатывающей промышленности, пути повышения эффективности использования существующего производственно-экономического потенциала. Дается анализ результатов, полученных реализацией модели конкретного объекта на ЭВМ.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის აგროსამრეწველო კომპლექსის ეკონომიკური პრობლემების განყოფილებამ

მზია ენაბა

ციკლური რხევები სასოფლო-სამეურნეო
კულტურების მოსავლიანობის დინამიკაში

სოფლის მეურნეობის უპირატესად ინტენსიური განვითარების პირობებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის და პირუტყვის პროდუქტიულობის ზრდას.

ამიტომ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის ტენდენციების შესწავლისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს მოსავლიანობის დინამიკის ანალიზს, პროგნოზებს და რაციონალური გადაწყვეტილების მიღებას.

მოსავლიანობის მაჩვენებლის დინამიკა გამოისახება დროითი მწკრივით¹, რომლის სტრუქტურაში გამოყოფენ ორ ნაწილს: დეტერმინირებულს და შემთხვევითს. აქედან პირველი ასახავს განვითარების ძირითად ტენდენციას (ტრენდს), ხოლო მეორე — მოსავლიანობის რხევას ძირითადი ტენდენციის ირგვლივ (როგორცაა ციკლური და შემთხვევითი რხევები).

დროითი მწკრივის მოსწორება საშუალებას გვაძლევს, შემთხვევით ფაქტორთა მოქმედების გამორიცხვით, გამოვყოთ დეტერმინირებული ტენდენცია, ხოლო მიზეზ-შედეგობრივი ანალიზით შევისწავლოთ კანონზომიერებანი და შევქმნათ პირობები მოსავლიანობის პროგნოზების მისაღებად. ამ მიზნით 1966—1984 წწ. პერიოდში გავანალიზეთ აფხაზეთის ასსრ კოლმეურნეობებში ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურების (ჩაი, ციტრუსები, თამბაქო) მოსავლიანობის დინამიკური მწკრივები.

დროის აღნიშნულ შუალედში ჩაის კულტურის მოსავლიანობის ანალიზისათვის გამოვიყენეთ შემდეგი ფუნქციები:

$$y = 28,414 + 4,416t, \quad y = 36,14 \cdot 1,066^t,$$

სადაც t — აღნიშნავს დროს (1966 წლისათვის $t = 1$);

y — ჩაის მოსავლიანობა მოცემული რეგიონის კოლმეურნეობებში ც.პ.

ტრენდის წრფივი მოდელისათვის კორელაციის კოეფიციენტის მნიშვნელობამ შეადგინა 0,989, ხოლო არაწრფივისათვის კორელაციის ინდექსის მნიშვნელობა ტოლია 0,984-ის.


ტრენდით სხვადასხვა მოდელის მიხედვით ჩატარებული გამოთვლები გვიჩვენებს, რომ მათემატიკის თვალსაზრისით ორივე ფუნქცია თითქმის ერთნაირად კარგად აღწერს ძირითად ტენდენციას ჩაის კულტურის მოსავლიანობის დინამიკურ მწკრივში. რაშიც, ასევე, ნათლად დავრწმუნდებით, თუ ავაგებთ შესაბამის გრაფიკულ გამოსახულებებს (იხ. ნახ. 1).

უნდა აღვნიშნოთ, რომ მეორე ფუნქცია იძლევა შედარებით კარგ მიანლობას მოსავლიანობის ფაქტორ დონესთან (1966—1977 წწ. ხოლო პირვე-

¹ Грайгберг А. Г. Динамические модели народного хозяйства. М., «Экономика», 1985, с. 17—30.

ლი — 1977—1984 წწ. განსაკუთრებით კი 1981—1984 წწ. როდესაც ფაქტიური მნიშვნელობების გადახრამ გამოთვლილისაგან შეადგინა 0,6—1,4%.

ზემოთ ნათქვამიდან გამომდინარე, ჩაის მოსავლიანობის პროგნოზირებისათვის უკეთესია გამოვიყენოთ წრფივი ფუნქცია, რომლის თანახმად ჩაის მო-



ნახ. 1. ჩაის მოსავლიანობის დინამიკა აფხაზეთის ასარ კოლმეურნეობებში 1966—1984 წწ.-ში;

1 — ფაქტიური, 2 — მოსწორებული წრფივი ფუნქციით, 3 — მოსწორებული მაჩვენებლიანი ფუნქციით.

სალოდნელმა მოსავლიანობამ დასახელებული რეგიონის კოლმეურნეობებისათვის 1990 წელს უნდა შეადგინოს 138,81 ცენტნერი, ხოლო 2000 წლისათვის — 182,97 ცენტნერი. ფაქტიური დონის გადახრა გამოთვლილისაგან შეიძლება ტოლი აღმოჩნდეს 0—4%-ის.

როგორც ვნახეთ, ჩაის მოსავლიანობის დინამიკის ფაქტიური მნიშვნელობების გადახრა ტრენდისაგან უმნიშვნელოა (ბუნების „კაპრიზების“ მოქმედებანაკლებ გავლენას ახდენს ჩაის მოსავლიანობაზე). რაც არ შეიძლება ვთქვათ ისეთ კულტურებზე, როგორცაა ციტრუსები და თამბაქო. მათ შემთხვევაში ტრენდის ირგვლივ ადგილი აქვს მნიშვნელოვან რხევებს.

ბოლო წლებში, სამეცნიერო ლიტერატურაში², ფაქტიური მოსავლიანობის გადახრას ტრენდისაგან უკავშირებენ სწორ ციკლებს, რომლებიც შეესაბამებიან მზის აქტივობის ციკლურ რხევებს (8—11 წელი) ან მზის მაგნიტური პოლუსების ცვლილების ციკლს (22—24 წელი). უკანაენლი ვარაუდის შე-

² Крастий О. П., Слока Б. Э. Некоторые тенденции и закономерности в зерноводстве Латвийской ССР. Математические методы в экономике, выпуск 19, Рига, «Знание», 1983, с. 37—38; Борука А. Я. Прогнозирование урожайности сельскохозяйственных культур. Там же, с. 59—61.

მოწმება ვერ ხერხდება, ვინაიდან დასაბუთებისათვის საჭიროა ფაქტიური მონაცემები ხუთი სრული ციკლისთვის მაინც. მიუხედავად ამისა, იგი ინტერესს მოკლებული არ არის, რადგან ციტრუსოვან კულტურათა მოსავლიანობაზეც არ შეიძლება გავლენას არ ახდენდნენ კოსმოსური წარმოშობის ფაქტორები.

არაკეთილსასურველი კლიმატური პირობები მეტ-ნაკლებად ამცირებენ ცალკეული სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობას. აფხაზეთის ასსრ სოფლის მეურნეობისათვის ასეთ არასასურველ კლიმატურ პირობად უნდა ჩაითვალოს ამ ზონისათვის შედარებით მკაცრი ზამთარი (ყინვები — 6^ლ-ზე მაღლა) და ძლიერი წვიმები. განსაკუთრებით არასასურველია ყინვები, ვინაიდან ისინი არა მხოლოდ აზიანებენ ციტრუსოვან კულტურებს, არამედ, კრიტიკული წერტილის ზემოთ, მათ შეუძლიათ მთლიანად მოსპონ ეს მრავალწლიანი ნარგავები.

1966—1984 წწ. ციტრუსოვანი კულტურების მოსავლიანობის დინამიკური მწკრივის ანალიზი გვიჩვენებს, რომ 4—5 წელიწადში ერთხელ შეიმჩნევა მოსავლიანობის მკვეთრი შემცირება (1967, 1971, 1975, 1979—1980 წწ.). ასეთ განმეორებადობის გათვალისწინებით მოსავლიანობის შემდეგი შემცირება მოსალოდნელი იყო 1985 წელს. აღნიშნული წლები ემთხვევა ზამთარში არასასურველ პირობებს.

1966—1984 წწ. ციტრუსების მოსავლიანობის დინამიკური მწკრივის ტრენდის მოდელის აგება შეუძლებელი აღმოჩნდა, ხოლო 1971—1984 წწ-თვის კი ავაგეთ ფუნქცია (იხ. ნახ. 2):

$$y = 69,976 + 0,1676[(t-8)^3 - 2(t-1)^2],$$

სადაც t —აღნიშნავს დროს (1971 წელს შეესაბამება $t=1$)

y —ციტრუსების მოსავლიანობა აფხაზეთის ასსრ კოლმეურნეობებში ც-პა.

ეს მოდელი აღწერს ფაქტიურ დინამიკურ მწკრივს კორელაციის ინდექსით $y=0,815$. კორელაციის ინდექსის საკმაოდ მაღალი მნიშვნელობის მიუხედავად ციტრუსების მოსავლიანობის პროგნოზირებისათვის ამ ფორმულის გამოყენება არ არის მიზანშეწონილი, რადგან ცალკეულ წლებში ფაქტიური მოსავლიანობის გადახრა ტრენდისაგან დიდია.

ციტრუსების მოსალოდნელი მოსავლიანობის პროგნოზირებისათვის შეიძლება გამოვიყენოთ ფორმულა:³

$$\bar{y}_{m+1} = \bar{y} - \frac{m}{n} (\bar{y}_{n-m} - \bar{y}_m), \quad (1)$$


სადაც \bar{y} —სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის საშუალო ემპირიული დონე;

m —ანალიზირებად პერიოდში არაკეთილსასურველი ბუნებრივი პირობების მქონე წლების რიცხვია;

n —ანალიზირებად პერიოდში წლების საერთო რიცხვია;

\bar{y}_{n-m} —მოსავლიანობისთვის კეთილსასურველ წლებში სასოფლო-სამეურნეო კულტურების საშუალო მოსავლიანობა;

³ Сартания Т. Ш. Анализ стохастических экономических процессов. Тбилиси. ТГУ, 1982, с. 205.



ნახ. 2. ციტრუსების მოსავლიანობის დინამიკა, აფხაზეთის ასსრ კოლმეურნეობებში 1966-1984 წწ.

1 — ფაქტიური, 2 — მოსწორებული პოლინომით.

\bar{y}_m — საშუალო მოსავლიანობაა მოუსავლიან წლებში;

$\bar{y}_{\text{მოს.}}$ — მოსალოდნელი საშუალო მოსავლიანობაა.

ფორმულა (1)-ს (როცა $m=1$ -ს) წარმოვადგენთ შემდეგი სახით:

$$y = \left[\bar{y} - \frac{1}{n} (\bar{y}_{n-1} - y_1) \right] 0,72 + 0,463, \quad (2)$$

სადაც y_1 აღნიშნავს კულტურის მოსავლიანობას ბუნებრივი ფაქტორის მხრივ არაკეთილსასურველ წელს.


შეგვიძლია ვაჩვენოთ, რომ (2) კარგად აღწერს ციტრუსების მოსავლიანობას მისი შემცირების წლებში იმ პირობით, რომ ამ წლებისათვის უნდა გამოვყოთ დროის წინა პერიოდის ისეთი შუალედი, სადაც მოსავლიანობა მოსალოდნელზე დაბალი იყო მხოლოდ ერთჯერ. ამასთან ერთად, დროის ასეთი შუალედის შერჩევის დროს საჭიროა გავითვალისწინოთ, რომ ის არ უნდა შეიცავდეს სამზე ნაკლებ წელს. ასე მაგალითად, თუ გავაანალიზებთ ციტრუსების მოსავლიანობას 1966—1984 წწ. განმავლობაში, მაშინ 1971 წლისათვის გამოიყოფა 1966—1970 წწ. შუალედი, 1979 წლისათვის — 1972—1978 წწ., 1980 წლისათვის — 1971—1979 წწ., 1981 წლისათვის კი — 1972—1980 წწ. შუალედი.

გამოთვლებმა გვიჩვენეს, რომ 1971, 1979, 1980 და 1981 წლებისათვის ფაქტიური მოსავლიანობის გადახრამ გამოთვლილისაგან შეადგინა მხოლოდ 0,8—3,5%.

თუ გავითვალისწინებთ 1985 წლის მკაცრი ზამთრის შედეგებს (ხანგრძლივი ყინვების გამო აფხაზეთში დაიღუპა ციტრუსოვანი ნარგავების 12% და საშუალო და ძლიერი ხარისხით დაზიანდა 38%, მაშინ ციტრუსების მოსალოდ-

ნელი მოსავლიანობის დასადგენად უნდა გამოვიყენოთ 1971—1984 წწ. მონაცემები. (2) ფორმულის გამოყენებით ვლებულობთ, რომ 1985 წელს ციტრუსების მოსავლიანობა აფხაზეთის ასსრ კოლმეურნეობებში შეადგენს 32,38 ცენტნერს.

საკვლევი რეგიონის კოლმეურნეობაში თამბაქოს მოსავლიანობის დინამიკურ მწკრივში (1966—1984 წწ.)* ძირითადი ტენდენციის აღწერის მიზნით გამოვიყენოთ ფუნქცია (იხ. ნახ. 3):



ნახ. 3. თამბაქოს მოსავლიანობის დინამიკა აფხაზეთის ასსრ კოლმეურნეობებში 1966-1984 წწ.

1 — ფაქტიური, 2 — მოსწორებული პოლინომით.

$$y = 12,22 + 0,007[(t-11)^3 - 3(t-3)^2], \quad (3)$$

სადაც t —აღნიშნავს დროს (1966 წლისათვის $t=1$ -ს);

y —თამბაქოს მოსავლიანობა, ც—ჰა.

კორელაციის ინდექსის მნიშვნელობამ ამ ტრენდის მოდელისათვის შეადგინა 0,874.

როგორც ციტრუსების მოსავლიანობის დინამიკური მწკრივის ანალიზის დროს, თამბაქოს მოსავლიანობის ანალიზის დროსაც შეიმჩნევა გარკვეული ციკლურობა მოსავლიანობის რხევებში და შეიძლება ვთქვათ, რომ ციკლის განუმეორადობა შეადგენს 3—4 წელს.

თამბაქოს მოსავლიანობის დინამიკაში ციკლური რხევების განვითარების ტენდენციების ანალიზიდან გამომდინარეობს, რომ ციკლის საწყისი და ბოლო წერტილები დაკავშირებულია მოსავლიანობის ზრდიდან შემცირებაზე შედარებით მკვეთრ გადასვლასთან (1969, 1973, 1977, 1981, 1984 წწ.).

(3) საკმაოდ კარგად აღწერს ციკლებს შორის პერიოდების მოსავლიანო-

* შენიშვნა. მოსწორებიდან ამოღებულია 1983 წ., როდესაც თამბაქოს მოსავლიანობა მკვეთრად გაიზარდა, რაც შეიძლება აფხაზეთის ბუნებრივი ფაქტორების მოქმედების გამოვლინებად: ამ წელს თამბაქოს კულტურისათვის განსაკუთრებით ხელსაყრელი კლიმატური პირობებით.

4. „მაცნე“, ეკონომიკისა და სამართლის სერია.

ბას, იძლევა რა ფაქტიური მნიშვნელობების გამოთვლისაგან 0—10% გადახრას,* ხოლო 1981—1984 წწ. გადახრამ შეადგინა მხოლოდ 0,4—1,2%.

ვინაიდან ციკლური რხევების განვითარების გათვალისწინებით, 1985—1986 წლებში მოსალოდნელი არ არის თამბაქოს მოსავლიანობის მკვეთრი შემცირება, ამიტომ ტრენდის მოდელის გათვალისწინებით 1985 წელს თამბაქოს მოსავლიანობამ მოსალოდნელია შეადგინოს 11,25 ცენტნერი, ხოლო 1986 წელს — 12,42 ცენტნერი.

როგორც ვხედავთ, ზოგიერთი სასოფლო სამეურნეო კულტურის (ციტრუსები, თამბაქო) მოსავლიანობისათვის დამახასიათებელია ციკლობა. ციკლები დაუვუკავშირეთ არაკეთილსასურველი კლიმატური პირობების გავლენას. შესაძლებელია, აგრეთვე, გამოვყოთ სასოფლო-სამეურნეო კულტურებისათვის ბუნებრივი ფაქტორის მიხედვით განსაკუთრებით ხელსაყრელი წლები და დროის უფრო დიდი მონაკვეთის შუალედში გავაანალიზოთ მათი განმეორებადობა.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, სასოფლო-სამეურნეო წარმოების დაგეგმვის დროს, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის პროგნოზირება უნდა გაწარმოთ არა მხოლოდ საშუალო წლებისათვის, არამედ ბუნებრივი ფაქტორის მიხედვით ხელსაყრელი ან არახელსაყრელი წლებისათვისაც.

ცალკეული სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის ციკლობა აძნელებს მათთვის ტრენდის ისეთი მოდელის აგებას, რომელიც მოგვცემდა საიმედო პროგნოზებს. მოსავლიანობის პროგნოზებისათვის შედარებით საიმედო შედეგები შეიძლება მოგვცეს კორელაციური და რეგრესიული ანალიზის გამოყენებამ, რისთვისაც მოსავლიანობა, როგორც შედეგობრივი მაჩვენებელი, უნდა დაუვუკავშიროთ ისეთ ფაქტორებს, როგორცაა: ფართობის ერთეულზე შრომითი დანახარჯების სიდიდე, გამოყენებული მინერალური და ორგანული სასუქების რაოდენობა და ძირითადი საწარმოო ფონდების მოცულობა (ამორტიზაცია). ამასთან დასახელებულ ფაქტორებს დაემატება ბუნებრივი ფაქტორის გავლენის შეფასება სამი გრადაციით: არაკეთილსასურველი, საშუალო და კეთილსასურველი.

М. В. ЭСЕБУА

ЦИКЛИЧЕСКИЕ КОЛЕБАНИЯ В ДИНАМИКЕ УРОЖАЙНОСТИ СЕЛЬСКОХОЗЯЙСТВЕННЫХ КУЛЬТУР

Резюме

Для колхозов Абхазской АССР построена динамика урожайности сельскохозяйственных культур (чай, цитрусы, табак). Изучены циклические колебания их урожайности и с учетом влияния климатического фактора выделены циклические периоды. Получены прогнозы урожайности для отдельных лет.

С помощью корреляционно-регрессивного анализа получена формула для прогнозирования резкого снижения урожайности цитрусовых культур.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის აგროსამრეწველო კომპლექსის ეკონომიკურ პრობლემათა განყოფილებამ

* შენიშვნა: 1980 და 1983 წლების გამოკლებით.

ვლადიმერ ხანდაშვილი

ბანაწილების წინააღმდეგობის დაძლევა, როგორც სოფლად ბანაწილებითი ურთიერთობის სრულყოფის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი

თანამედროვე ეტაპზე სოციალიზმის განაწილებითი ურთიერთობა სისტემატურ განვითარებას და სრულყოფას განიცდის. ეს განვითარება ყოველთვის აღმავლობითა და სწორხაზოვნებით როდი ხასიათდება. განვითარებას თან ახლავს მრავალი წინააღმდეგობის გადალახვა, შეუსაბამობისა და განსხვავებულობის დაძლევა. წინააღმდეგობათა ერთ ნაწილს თვით წარმოებით ურთიერთობათა სისტემა წარმოშობს, იგივე სისტემა ძლევს ამ წინააღმდეგობებს და ერთი წინააღმდეგობის დაძლევის პროცესში სხვა წინააღმდეგობათა წარმოშობის წყარო ხდება. ეს წინააღმდეგობანი ერთის მხრივ საზოგადოებრივი წარმოების, განაწილებისა და გაცვლის განვითარების მამოძრავებელ ძალას წარმოადგენენ, მეორეს მხრივ (სხვა პირობებში) წარმოების შემფერხებლის როლში გვევლინებიან. წინააღმდეგობათა მეორე ნაწილი განაწილების ფაზაში წარმოიშობა და თავის დაძლევის პროცესში ხელს უწყობს წარმოების ფაზის განვითარებას და სრულყოფას, მეორე მხრივ — თვით განაწილების ურთიერთობათა სრულყოფას.

კ. მარქსი აღნიშნავდა, რომ „ორ დაპირისპირებულ მხარეთა თანაარსებობა, მათი ბრძოლა და შერწყმა ერთ კატეგორიაში წარმოადგენს დიალექტიკური მოძრაობის შინაარსს“¹. ჰეგელის აზრით წინააღმდეგობის ძირითადი ნიშანია საყოველთაობა და ობიექტურობა. იგი წინააღმდეგობას იხილავს როგორც სიცოცხლისა და ყოველგვარი მოძრაობის საფუძველს.

ვ. ი. ლენინს წინააღმდეგობათა ერთიანობა მიაჩნდა დიალექტიკის განმსაზღვრელად².

სკკპ XXVII ყრილობაზე გაკეთებულ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ ანგარიშში აშხ. მ. ს. გორბაჩოვმა თანამედროვე მსოფლიო დაახასიათა, როგორც საშიშროებებით და წინააღმდეგობებით აღსავსე. ამასთან ეს წინააღმდეგობები ახსნა ობიექტური ფაქტორებით.

წინააღმდეგობათა თაობაზე მრავალრიცხოვანი მოსაზრებებიდან, რომლებიც საკმაოდ ფართოდაა მოცემული ეკონომიკურ ლიტერატურაში, ჩვენ მიზნად დავისახეთ განვიხილოთ მხოლოდ ეკონომიკური წინააღმდეგობანი, უფრო ზუსტად, წინააღმდეგობანი განაწილების აგარულ ურთიერთობაში, ეკონომიკურ წინააღმდეგობათა გარკვევა ჩვენ დაგვიჭირდა იმისათვის, რომ გვეპოვა წინააღ-

¹ Маркс К., Энгельс Ф. Соч. т. 4. с. 136.

² Ленин В. И. Полн. собр. соч. 5 изд. т. 29, с. 203.

მდევობათა სისტემა და მოგვეძებნა განაწილების აგრარულ ურთიერთობაში მოქმედ წინააღმდეგობათა ადგილი ამ სისტემაში.

მარქსისტული დიალექტიკური მეთოდის შესაბამისად, ეკონომიკური წინააღმდეგობა საფუძვლად ედება ეკონომიკურ ურთიერთობათა განვითარებას. კ. მარქსის ეკონომიკურ ნაშრომებს („კაპიტალი“, „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“ და სხვა) წითელ ზოლად გასდევს ეკონომიკურ კატეგორიათა წინააღმდეგობრივი ბუნება. საქონელი, კ. მარქსის განმარტებით, არის სახმარი ღირებულება, მაგრამ როგორც საქონელი, იგი არ არის სახმარი ღირებულება. მფლობელისათვის საქონელი მხოლოდ საცვლელი ღირებულებაა, ხოლო მყიდველისათვის იგი სახმარ ღირებულებად იქცევა. იმისათვის, რომ საქონელი განხორციელდეს როგორც სახმარი ღირებულება, იგი უნდა განხორციელდეს როგორც საცვლელი ღირებულება.

წინააღმდეგობა, რომელიც მოცემულია აბსტრაქტულ ფორმაში მჭიდროდ უკავშირდება პრაქტიკულ ცხოვრებას. „ეკონომიკური ფორმების ანალიზის დროს, — შენიშნავდა კ. მარქსი, — არ შეიძლება არც მიკროსკოპის, არც ქიმიური რეაქტორის გამოყენება. ორივეს მოვალეობა უნდა გასწიოს აბსტრაქციის ძალამ“³. სწორედ ამიტომ ეკონომიკის წინააღმდეგობათა შესწავლისა და მათი განვითარების ტენდენციების გარკვევისათვის შევეცადეთ ფართოდ გამოვვეყენებინა აბსტრაქტული მეთოდი.

წინააღმდეგობათა შესწავლა მხოლოდ ამ მეთოდის გამოყენებით არ ხერხდება. წინააღმდეგობა იძლევა განვითარების შინაგან იმპულსს. მოვლენათა კვლევის ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ ძირეულად იქნას შესწავლილი მოვლენების მოპირდაპირე მხარეთა თვისებები, აღმოაჩინოს მათში შინაგანი კავშირი და დაადგინოს განვითარების ძირითადი ტენდენციები წინააღმდეგობის ისტორიული პროცესის გარკვევის საფუძველზე. ამიტომ ეკონომიკურ წინააღმდეგობათა შესწავლისას ჩვენ ფართოდ გამოვიყენეთ ლოგიკურისა და ისტორიულის ერთიანობის დიალექტიკური მატერიალიზმის მეთოდი.

საკითხის პოლიტეკონომიკური გაგება გულისხმობს ადამიანთა ურთიერთობის ახსნას დაპირისპირებულთა ერთიანობისა და წინააღმდეგობის პირობებში, ადამიანის სულის ყველაზე წვრილმან და ყველაზე გაბატონებული გრძნობების დაპირისპირებულობას. ადამიანთა ურთიერთობის წინააღმდეგობათა ახსნა თავისთავად ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების პრაქტიკული ცხოვრების ახსნამდე დაიყვანება. ამიტომ წარმოებით ურთიერთობათა წინააღმდეგობების კვლევისას აუცილებელი არაა, გავარკვიოთ მათი ლოგიკური განვითარება, ანდა მოვექცეთ წმინდა აბსტრაქტულ სფეროში. პირიქით, ამ კვლევისათვის რომ უფრო დამაჯერებლობა მიგვეცა შევეცადეთ ფართოდ გამოვვეყენებინა სამეურნეო ისტორიული ილუსტრაციები, სინამდვილესთან გვექონდა მუდმივი კონტაქტები. თუ როგორ ხორციელდება წარმოებით ურთიერთობათა შესწავლა ამ მეთოდის გამოყენებით, ამის შესახებ სრულყოფილ განმარტებას იძლევა ფ. ენგელსის თავის შრომაში კ. მარქსი „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“. ფ. ენგელსი აღნიშნავდა, რომ წარმოებითი ურთიერთობა თავის თავში გულისხმობს ორ მოპირდაპირე მხარეთა ურთიერთობას. ურთიერთობათა შესწავლისათვის ჩვენ ამ ორ მხარეს განცალკევებულად განვიხილავთ, რის საფუძველზეც ვადგენთ მათი ურთიერთდამოკიდებულების ხასიათს, ურთიერთმოქმედების შინაარსს. ჩვენს გონებაში განცალკევებულ მო-

3 კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, თბ., 1954, გვ. 4.

ვლენათა ურთიერთობას მიეყავართ წინააღმდეგობის ახსნამდე. ამ წინააღმდეგობას ფ. ენგელსი იხილავს აზროვნების არა აბსტრაქტული პროცესის პირობებში, რაც მხოლოდ ადამიანის თავში აისახება, არამედ როგორც ნამდვილ პროცესს, რომელიც ეკონომიკურ ცხოვრებაში მიმდინარეობს, ან მომავალში შესრულდება, მაშასადამე, ეს წინააღმდეგობა ხორციელდება პაქტიკაში. ამ წინააღმდეგობათა გადაწყვეტა საფუძვლად ედება წამოებით უთიეთობათა სისტემის ჩამოყალიბებას⁴.

ეკონომიკურ წინააღმდეგობას ზოგჯერ მხოლოდ დამაბრკოლებელ, შემაფერხებელ ფაქტორად სახავენ. ეს ასე რომ იყოს, მაშინ ეკონომიკურ წინააღმდეგობათა განუწყვეტელი არსებობა საზოგადოებრივი წარმოების განვითარებას არ გამოიწვევდა. ეკონომიკურ წინააღმდეგობას მართლაც აკისრია განვითარების მუხრუჭის როლი, მაგრამ ამ მუხრუჭის დაძლევისათვის ადამიანთა საქმიანობა, და ამ წინააღმდეგობის გადაჭრის ღონისძიებანი იწვევენ განვითარების შემაფერხებელი ფაქტორების შესუსტებას (თვითგანვითარებას). ასეთ შემთხვევაში წინააღმდეგობა მუხრუჭის როლიდან ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების განმავითარებელი იმპულსის როლში გვევლინება. „რა თქმა უნდა, ახალი წარმოებითი ურთიერთობანი, — აღნიშნავდა ი. სტალინი, — არ შეიძლება დარჩნენ და არც რჩებიან მუდამ ახალ წარმოებით ურთიერთობად, ისინი იწყებენ დაძველებას და საწარმოო ძალთა შემდგომი განვითარებისადმი წინააღმდეგობაში ჩაყარნას, ისინი იწყებენ საწარმოო ძალთა მთავარი მამოძრავებელი როლის დაკარგვას და იქცევიან მათ მუხრუჭებად. მაშინ ასეთ მოძველებულ წარმოებით ურთიერთობათა ადგილზე ჩნდებიან ახალი წარმოებითი ურთიერთობანი, რომელთა როლი იმაში მდგომარეობს რომ იყვნენ საწარმოო ძალთა შემდგომი განვითარების მთავარი მამოძრავებელი“⁵.

ზოგჯერ ეკონომიკური წინააღმდეგობანი განიხილება, როგორც მოპირდაპირე მხარეთა ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების განვითარების დონეთა სხვაობიდან გამომდინარე წინააღმდეგობა. მაგ. საწარმოო ძალების განვითარების შეფერხებას ზოგჯერ მიაწერენ მხოლოდ წარმოებით ურთიერთობათა ხასიათის საწარმოო ძალების განვითარების ღონისაღმი შეუსაბამობას. ვამოდის, რომ ძველი წარმოებითი ურთიერთობის ახლით შეცვლის პირობებში უნდა განხორციელდეს შეუნელებელი განვითარება. მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ თვით საწარმოო ძალებში და წარმოებით ურთიერთობებში მიმდინარეობს წინააღმდეგობათა წარმოშობისა და დაძლევის პროცესი.

ეკონომიკური ურთიერთობა ეკონომიკური წინააღმდეგობის მოქმედების ობიექტია. აქედან გამომდინარე, ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემა მყარ საფუძვლეს ქმნის ეკონომიკურ წინააღმდეგობათა სისტემის არსებობისათვის. აღნიშნულიდან გამომდინარე, ეკონომიკური წინააღმდეგობანი შეიძლება განვიხილოთ წარმოებით ურთიერთობათა განვითარების ფაზების მიხედვით.

კვლავწარმოების საბოლოო ფაზაა მოხმარება. წარმოების, განაწილებისა და გაცვლის შედეგად წარმოებული პროდუქტი მოხმარებაში გადადის და აქ სრულდება საბოლოო აქტი. მოხმარების პროცესი გულისხმობს როგორც წარმოების საშუალებათა მოხმარებას, ისე პირადი მოხმარების საგნების მოხმარებას. წარმოების საშუალებათა მოხმარება ძირითადად ტექნოლოგიურ მხარეს

4 კ. მარქსი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, თბ., 1954, გვ. 4.

5 ა. სტალინი, სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში, თბ., 1952,

განეკუთვნება, ხოლო ამ პროცესთან დაკავშირებული ადამიანთა ურთიერთობა მიმდინარეობს საკუთრივ წარმოების პროცესში. წინააღმდეგობა, რომელიც წარმოების საშუალებების გამოყენებას ახლავს თან, უშუალოდ წარმოების სფეროში გამოვლინდება. რაც შეეხება მოხმარების საგნების მოხმარებას, რომელიც როგორც წესი ადამიანის სამუშაო ძალის კვლავწარმოებას ემსახურება, იგი არ გულისხმობს ადამიანთა ურთიერთობას. აქედან გამომდინარე, ამ სფეროში წარმოშობილი წინააღმდეგობა ეკონომიკის სფეროს არ გენეკუთვნება.

ასრიადად, წარმოებით ურთიერთობათა სისტემის წინააღმდეგობა გულისხმობს ერთიანობას და ერთიანობიდან გამოცალკეებულობას. ამ შემთხვევაში წინააღმდეგობანი საკუთრივ წარმოების, განაწილებისა და გაცვლის ფაზებში ქმნიან ერთიან წინააღმდეგობათა ჯაჭვს, რომელთა რგოლებსაც თითოეული ფაზის წინააღმდეგობა წარმოადგენს. იბადება კითხვა: თუ წინააღმდეგობა სისტემის სახით არის საზოგადოებაში მოცემული, მაშინ წარმოებით ურთიერთობათა დარად წინააღმდეგობებიც უნდა დალაგდეს სუბორდინაციის პრინციპების შესაბამისად და გამოკვეთოს ძირითადი და დაქვემდებარებული წინააღმდეგობები.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ იმის შესახებ, რომ წარმოების სფეროს წინააღმდეგობანი განსაზღვრავენ განაწილებისა და გაცვლის სფეროთა წინააღმდეგობებს. რადგან ეს ასეა, განმსაზღვრელი, ძირითადი წინააღმდეგობა საკუთრივ წარმოებით ურთიერთობათა სფეროში უნდა ვეძიოთ. ცნობილია, რომ საკუთრივ წარმოების სფეროში არსებული ურთიერთობა საკუთრებით ურთიერთობამდე დაიყვანება. კაპიტალიზმის პირობებში მართლაც წარმოიშობა წარმოების წესის მთავარი წინააღმდეგობა — წინააღმდეგობა წარმოების საზოგადოებრივ ხასიათსა და მითვისების კერძო კაპიტალისტურ ფორმას შორის. ეს წინააღმდეგობა საბოლოო შემთხვევაში დაიყვანება წინააღმდეგობაზე წარმოებისა და მითვისებას შორის. მითვისება კი საკუთრების განსაზღვრული ფორმაა. ასე არ ითქმის სოციალიზმის ძირითად წინააღმდეგობათა შესახებ. სოციალიზმის დროს იზრდება წარმოების საზოგადოებრივი ხასიათი. უფრო მეტიც, წარმოება სოციალიზმის დროს უშუალო საზოგადოებრივი ხასიათის მატარებელია და მას სრულად შეესაბამება (თუმცა გარკვეული წინააღმდეგობის პირობებში) მითვისების საზოგადოებრივი ფორმა. ამდენად ეს წინააღმდეგობა არ შეიძლება მივიჩნიოთ ძირითად წინააღმდეგობად.

სოციალიზმის მიზანია, უზრუნველყოს მთელი საზოგადოების მუდმივად მზარდი მატერიალური და კულტურული მოთხოვნილების უფრო სრული დაკმაყოფილება უმაღლესი ტექნიკის ბაზაზე წარმოების განუწყვეტელი ზრდისა და სრულყოფის გზით. ძირითად წინააღმდეგობათა არსი მიწოდებასა და მოთხოვნაში კი არ უნდა ვეძიოთ როგორც ამას აკეთებს ბულგარელი ეკონომისტი ვაკ არიოვ⁶, არამედ წარმოების განუხრელი ზრდისათვის საწარმოო ძალების განვითარების დონესა და წარმოებით ურთიერთობათა ხასიათს შორის დაპირისპირებულობაში.

ეკონომისტთა ერთი ნაწილი დიდი ხნის განმავლობაში მიიჩნევდა, რომ სოციალიზმის დროს არ არსებობს რაიმე წინააღმდეგობა საწარმოო ძალებსა და წარმოებით ურთიერთობას შორის. ახლა უკვე ცხადია, რომ ეს წინააღმდეგობა არსებობს და მომავალშიც იარსებებს.

⁶ Жак Арио. Экономические противоречия при социализме. М., 1984, с. 52.

კ. მარქსის აზრით, — „ცნობიერება უნდა აეხსნათ მატერიალური ცხოვრების წინააღმდეგობების, საზოგადოებრივ საწარმოო ძალებსა და წარმოებით ურთიერთობათა შორის არსებული კონფლიქტით“⁷.

ძირითადი ეკონომიკური წინააღმდეგობების თაობაზე თავიანთი მოსაზრება გამოთქევს ვ. ადამიანმა⁸, გ. კოვალევსკიმ⁹, ვ. მალცევიმა¹⁰, ვ. გორბაჩმა¹¹, ი. ბრონიმა¹², გერმანელმა ეკონომისტებმა ერნარდ დერშელმა¹³, ვოლფგანგ ნიხრინმა, ოტტომარა კრატჩმა და სხვებმა. ეკონომისტთა ერთი ნაწილი, მაგ. უკ აროლი ძირითადი ეკონომიკური წინააღმდეგობის ამოსავალ ურთიერთობად ძირითად ეკონომიკურ კანონს მიიჩნევს, მაგრამ აქედან გამომდინარე ძირითადი წინააღმდეგობა გადააქვს განაწილების სფეროში.

ი. ბრონის მიხედვით, რომ სოციალიზმის ძირითადი წინააღმდეგობა ეს არის წინააღმდეგობა, შრომისა „თავისთვის“ და შრომის „საზოგადოებისათვის“ შორის.

ვ. ბადერის აზრით ძირითადი წინააღმდეგობა არის წინააღმდეგობა უშუალო საზოგადოებრივ და სოციალისტური შრომის სასაქონლო ხასიათს შორის¹⁴. წინააღმდეგობა წარმოებასა და განაწილებას შორის, წარმოებასა და გაცვლას შორის, განაწილებასა და გაცვლას შორის არა მარტო არ გამოირიცხავს, არამედ გულისხმობს წინააღმდეგობათა ქვესისტემას განაწილებისა და გაცვლის ურთიერთობათა შიგნით. ამიტომ მთელი ეკონომიკური სისტემის დარად განაწილებითი ეკონომიკურ ურთიერთობათა ქვესისტემა გულისხმობს წინააღმდეგობათა მთელ ქვესისტემას. ამ ქვესისტემაში, ჩვენი აზრით, წამყვანი ადგილი უნდა დაიკავოს, წინააღმდეგობამ ერთის მხრივ წარმოების საშუალებათა საზოგადოებრივი საკუთრებიდან გამომდინარე მშრომელთა მოთხოვნების ერთნაირად დაკმაყოფილებასა და მშრომელთა შესაძლებლობიდან გამომდინარე, შეტანილი წვლილის შესაბამისად, განაწილების განსხვავებულობას შორის.

როცა ლაბარაკია განაწილებით ურთიერთობათა წინააღმდეგობის ქვესისტემაზე, უპირველეს ყოვლისა მხედველობაშია მიღებული სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონის, შრომის მიხედვით განაწილებისა და საზოგადოებრივი ფონდებიდან განაწილების ეკონომიკური კანონების მოთხოვნა. თუ სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონი მოთხოვს მთელი მოსახლეობის მზარდი მოთხოვნების უფრო სრულ დაკმაყოფილებას, სოციალისტური საზოგადოების წევრთა შემოსავლის თანასწორობას, შრომის მიხედვით განაწილების კანონი ითვალისწინებს აუცილებელი პროდუქტის განაწილებას შრომის რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით. ამრიგად, თვით შრომის მიხედვით განაწილების ეკონომიკური კანონი აყენებს მოთხოვნას გათანაბრების საწინააღ-

7 ვ. ი. ლენინი, მარქსი ენგელსი, მარქსიზმი, თბ. 1948, გვ. 17.

8 Адамян В. Богатства содержания и формы проявления общественной собственности. Экономические науки, 1979, № 6, 0.22.

9 Ковалевский Г. Т. Некоторые вопросы методологии политической экономии социализма, Минск, 1963, с. 28.

10 Мальцев В. И. О противоречиях социалистической экономики. Философские науки, 1966, № 2, с. 90.

11 Горбач В. И. Проблемы диалектических противоречий. М., 1972, с. 325.

12 Экономические науки, 1986, № 2, с. 16—21.

13 Социалистические производственные отношения особенности проявления в ГДР, М., 1982.

14 Бадер В. А. Социалистический продукт. М., 1967, с. 51—52.

მდეგოდ და მისი განხორციელება იწვევს შემოსავლის უთანაბრობას. რაც შეეხება საზოგადოებრივი ფონდებიდან პროდუქტების განაწილებას, აქ ჩვენ საქმე გვაქვს როგორც შრომის მიხედვით განაწილებასთან (პენსიები, პრემიები და სხვ.), ისე შრომითი წვლილით გათვალისწინებულ განაწილებასთან (განათლების, ჯანმრთელობის, კულტურის ხაზით გაწეული ხარჯები, ბავშვების აღზრდისათვის შეღავათები და სხვ.). ამრიგად, ეს კანონი თავის თავში შეიცავს როგორც ძირითადი ეკონომიკური კანონის, ისე შრომის მიხედვით განაწილების კანონის წინააღმდეგობებს.

თავისებურებით ხასიათდებიან წინააღმდეგობანი აგრარულ ურთიერთობაში. განაწილების სისტემა აგრარულ სექტორში მჭიდროდ უკავშირდება ამ დარგის ეკონომიკის განვითარებას. განაწილების ხასიათს განსაზღვრავს წინააღმდეგობა წარმოებასა და მოხმარებას შორის, მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას შორის დავროვებასა და მოხმარებას შორის, ერთის მხრივ ბუნებრივი და ეკონომიკური პირობების სხვადასხვაობასა და მეორე მხრივ მშრომელთა შემოსავლების გათანაბრების ტენდენციას შორის და ა. შ.

ისევე, როგორც განაწილებით ურთიერთობათა ქვესისტემა, განაწილების აგრარული ურთიერთობაც საერთო ეკონომიკურ კანონზომიერებას ექვემდებარება. განაწილებითი ურთიერთობა სოფლად განპირობებულია წარმოების საშუალებებზე საკუთრების ორი ფორმის — საერთო-სახალხო და კოოპერაციულ-საკოლმეურნეო საკუთრების ფორმით. აგრარულ ურთიერთობათა სისტემაში საკუთრების ორი ფორმის არსებობა თავისებურ დაღს ასვამს განაწილების ხასიათს. აქედან გამომდინარეობს წინააღმდეგობათა ხასიათიც.

აგრარულ ურთიერთობათა განვითარება გარკვეულ წინააღმდეგობებთან არის დაკავშირებული. ჩვენი ღრმა რწმენით, მთავარი წინააღმდეგობა წარმოიშობა თვით წარმოების სფეროში. საწარმოო ძალების განვითარების ჯერ კიდევ არასაკმაო დონე, შეფერხებები წარმოებით ურთიერთობათა სრულყოფაში საჭირო პირობებს არ ქმნიან არსებული შრომითი, ფინანსური, მატერიალური რესურსების, ბუნებრივი პირობების სრულყოფილად გამოყენებისათვის. ამან თავისი გამოხატულება ჰპოვა წინააღმდეგობაში სურსათის წარმოებასა და ამ სურსათზე მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას შორის. „წინსვლა იგრძნობა, — აღნიშნა ამხ. გორბაჩოვმა სკკპ XXVII ყრილობაზე, — მაგრამ სოფლის მეურნეობის ჩამორჩენის დაძლევა მაინც ყოვნდება. აგრარულ სექტორში გვეჭირდება მკაცრი გარდატეხა, რათა უკვე მეთორმეტე ხუთწლედში შესამჩნევად გავაუმჯობესოთ სურსათით მომარაგება“¹⁵.

სკკპ XXVII ყრილობამ დასახა ღონისძიებები ამ წინააღმდეგობათა გადაჭრისათვის: ესენია: 1. აგროსამრეწველო კომპლექსში საწარმოო პოტენციალის გამოყენების ეფექტიანობის ზრდა; 2. მიწდარებისა და ფერმების დანაკარგების შემცირება მოსავლის აღების, ტრანსპორტირების, შენახვისა და გადამუშავების დროს; 3. ადამიანთა ფაქტორის გააქტიურება, მათი დაინტერესების უზრუნველყოფა; 4. სოფლის მეურნეობის მართვის სრულყოფა; 5. სოფლად სასაქონლო ფულადი ურთიერთობის სრულყოფა.

განაწილების აგრარულ ურთიერთობათა წინააღმდეგობის კლასიფიკაცია შეიძლება მოვახდინოთ ორი ძირითადი პირობის გათვალისწინებით: 1. წინააღმდეგობათა დაყოფა წარმოების საშუალებებზე საკუთრების ფორმებიდან გა-

¹⁵ მ. ს. გორბაჩოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ანგარიში სკკპ XXVIII ყრილობას, თბ., 1986.

მომდინარე; 2. ბუნებრივი და ეკონომიკური პირობებიდან გამომდინარე. პირველი ჯგუფის წინააღმდეგობებს მიეკუთვნება წინააღმდეგობა საკოლმეურნეო-კოოპერაციული საკუთრების აგრარულ ურთიერთობაში; წინააღმდეგობა საერთო-სახალხო საკუთრების აგრარულ ურთიერთობაში; წინააღმდეგობა ავოსამრეწველო გაერთიანების საკუთრების ფარგლებში. წინააღმდეგობა ხელფასსა და შრომის ანაზღაურებას შორის; წინააღმდეგობა საზოგადოებრივი ფონდებიდან კოლმეურნისა და მუშის დაკმაყოფილების დონეთა შორის; წინააღმდეგობა ნატურალურ და ფულად ანაზღაურებას შორის.

ბუნებრივ-ეკონომიკური პირობებიდან გამომდინარე აგრარულ ურთიერთობათა სისტემაში თავს იჩენს ისეთი სახის წინააღმდეგობანი, როგორცაა: წინააღმდეგობა კოლმეურნეობებში შრომის ანაზღაურების დონეთა განსხვავებულობასთან დაკავშირებით ბუნებრივ-ეკონომიკური პირობების არათანაბარი სარგებლობიდან გამომდინარე; წინააღმდეგობა სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა კოლექტივების შემოსავლებსა და მიწის დიფერენციულ რენტას შორის და ა. შ.

წარმოებითი ურთიერთობათა სისტემის სრულყოფის ძირითადი მიმართულებაა წარმოების საშუალებებზე სოციალისტური საკუთრების სრულყოფა. ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ საკოლმეურნეო-კოოპერაციული საკუთრება ავიყვანოთ საერთო-სახალხო საკუთრების დონემდე. ეს იმას არ ნიშნავს, რომ საერთო-სახალხო საკუთრება გამოირიცხავს წინააღმდეგობათა არსებობას. საერთო-სახალხო საკუთრების საწარმოებში პროდუქტების განაწილება მთელი წინააღმდეგობებთანაა დაკავშირებული. მთავარი წინააღმდეგობა მდგომარეობს იმაში, რომ სამრეწველო საწარმოებში და საბჭოთა მეურნეობებში შრომის მიხედვით განაწილება ერთნაირად არ ხორციელდება. ამის შედეგად საბჭოთა მეურნეობის მუშის შრომის ანაზღაურება ჯერ კიდევ მნიშვნელოვნად ჩამორჩება სამრეწველო საწარმოთა მუშების შრომის ანაზღაურებას. ეს წინააღმდეგობა ერთის მხრივ იწვევს სოფლის მეურნეობაში განაწილების ახალი ფორმების ძიების საჭიროებას და მეორეს მხრივ წარმოების შემადგერხებლის (მოსახლეობის მიგრაცია, ნაკლები დაინტერესება პროდუქციის წარმოების გაზრდისათვის და სხვა) როლში გვევლინება. 1970 წელს მრეწველობის მუშაკთა საშუალო თვიური ხელფასი სჭარბობდა საბჭოთა მეურნეობის მუშაკთა საშუალო თვიურ ხელფასს 32,2 მანეთით, 1975 წელს — 34,9, 1980 წელს — 35,3, 1981 წელს — 36,3, 1982 წელს — 29, 1984 წ—26 მანეთით. უფრო დიდი სხვაობა ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მუშაკებთან შედარებით, ცალკეული რესპუბლიკისა და ეკონომიკური რაიონის მიხედვით¹⁶.

თუ მოვლენებისათვის დამახასიათებელია დაპირისპირებულობა, მაშინ ეს მოვლენები თავიანთ თავთან წინააღმდეგობაში იმყოფებიან. ამ ზოგადი ფილოსოფიური თეზისიდან გამომდინარე ვარეგან წინააღმდეგობასთან ერთად განაწილებითი ურთიერთობა საერთო-სახალხო საკუთრების სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში შეიცავს შინაგან წინააღმდეგობას, რომელთა გადაჭრა მჭიდროდ უკავშირდება წარმოების გადიდებას, მშრომელთა მზარდი მოთხოვნის უფრო სრულად დაკმაყოფილებას. შინაგანი წინააღმდეგობებიდან დამახასიათებელია წინააღმდეგობა საწარმოში განლაგებული დარგების მუშაკთა შრომის ანაზღაურების დონეთა შორის, მძიმე ფიზიკურ და გონებრივ შრომაში

¹⁶ Народное хозяйство СССР в 1984 году, Статистический ежегодник. М., 1985, с. 417.

დასაქმებულ მუშაკთა შრომის ანაზღაურებას შორის; კარგი და ცუდი მიწებით მოსარგებლე ბრიგადების, უბნების, რგოლების მუშაკთა კოლექტივების შრომის ანაზღაურებას შორის, ბუნებრივი პირობების სრულყოფილად გამოყენების გაუთვალისწინებლობის გამო და ა. შ.

საერთო-სახალხო საწარმოთა კოლექტივებში განაწილებით ურთიერთობათა სრულყოფა გულისხმობს არსებულ წინააღმდეგობათა შეცნობას და მისი გადაჭრისათვის საჭირო ღონისძიებათა შემუშავებას. ამასთან ამ წინააღმდეგობათა გადაჭრა არ გულისხმობს წინააღმდეგობათა საერთოდ მოსპობას. განაწილების შექმნისში ერთი წინააღმდეგობის გადაჭრის პროცესშივე საფუძველს უყრის სხვა ახალ წინააღმდეგობას, რომლის გადაჭრაც ახალ მიდგომას მოითხოვს.

მნიშვნელოვანი წინააღმდეგობები შეინიშნება განაწილებით ურთიერთობაში საკოლმეურნეო-კოოპერაციულ სექტორში. საკოლმეურნეო-კოოპერაციული საკუთრების მომწიფების დაბალი დონე საერთო-სახალხო საკუთრებასთან შედარებით წარმოშობს წინააღმდეგობებს განაწილების სფეროში. ჯერ კიდევ დიდია განსხვავება საბჭოთა მეურნეობის მუშისა და კოლმეურნის შრომის ანაზღაურების დონეთა შორის, სხვადასხვა კოლმეურნეობის მშრომელთა შრომის ანაზღაურების დონეთა შორის, კოლმეურნეობების შიგნით სხვადასხვა დარგში მომუშავეთა ანაზღაურების დონეთა შორის, ერთსა და იგივე დარგში მომუშავე მუშაკთა შრომის ანაზღაურების დონეთა შორის, კოლმეურნეებს შორის დახარჯული შრომის ერთნაირი რაოდენობის პირობებში შრომის ანაზღაურების სხვადასხვა დონეთა შორის.

განაწილების სრულყოფას ბოჭავს ბუნებრივი და ეკონომიკური პირობების ყველა კოლმეურნეობაში თანაბარი განაწილების შეზღუდულობა, მექანიზაციის, ქიმიზაციის, მელიორაციის შედარებით დაბალი დონე, საბჭოთა მეურნეობებთან შედარებით პირად დამხმარე მეურნეობის მაღალი ზვედრითი წილი, კოლმეურნეთა შემოსავლების განაწილების შეზღუდულობა და ა. შ.

კოლმეურნეობებში განაწილების ეკონომიკური წინააღმდეგობა მნიშვნელოვნადაა განპირობებული საკოლმეურნეო-კოოპერაციული საკუთრების შედარებით დაბალი დონით. ამ წინააღმდეგობათა დაძლევა მჭიდროდაა დაკავშირებული საკოლმეურნეო-კოოპერატიული საკუთრების სრულყოფასთან.

საკოლმეურნეო სექტორში მიწათსარგებლობის უთანაბრობა ქმნის გარკვეულ წინააღმდეგობას ერთის მხრივ წარმოების საშუალებებზე სოციალისტური საკუთრების პირობებში მიწით და ბუნებრივ-ეკონომიკური პირობებით თანაბარი სარგებლობის უფლებიდან გამომდინარე შემოსავლების თანაბარ განაწილებასა და ამ პირობებით უთანაბრო სარგებლობის შედეგად დახარჯული შრომის მიხედვით უთანაბრო განაწილებას შორის. ამ წინააღმდეგობათა დაძლევა ხორციელდება როგორც რენტითი ურთიერთობის სრულყოფით, ისე განაწილებითი ურთიერთობის სრულყოფის საფუძველზე.

ანაზღაურების ამ ორ ფორმას შორის წინააღმდეგობის საფუძველი ყოველთვის არ შეიძლება ვეძიოთ ანაზღაურების ჩამორჩენაში. რესპუბლიკაში ეს სიდიდეები ჯერ გაუთანაბრდნენ, ხოლო შემდეგ ერთმანეთს ასცილდა საწინააღმდეგო მიმართულებით. ერთი სახის წინააღმდეგობა გადაიზარდა მეორე სახის წინააღმდეგობაში. მაგრამ წინააღმდეგობათა არსი მაინც სიდიდეში, გასწრება-ჩამორჩენაში არ უნდა ვეძიოთ. მთავარი წინააღმდეგობა მდგომარეობს იმაში, რომ ხელფასის ფორმირების წყარო მთელი საზოგადოებაა ხოლო კოლმეურნის შრომის ანაზღაურებისა — კოლმეურნეობა, და რომ პირველის მოწესრიგები-

სათვის ზრუნვა უმთავრესად მთელ საზოგადოებას ეკისრება, მეორის მოწესრიგებისათვის კი — ცალკეულ ჯგუფს (და არა საკოლმეურნეო სისტემას).

ხელფასსა და შრომის ანაზღაურებას შორის წინააღმდეგობა გადაიჭრება წარმოების საშუალებებზე საკოლმეურნეო-კოოპერაციული საკუთრების საერთო-სახალხო საკუთრების დონემდე აყვანის პირობებში.

თეზისის ქეშმარიტებას ადასტურებს აგროსამრეწველო კომპლექსში შრომის ანაზღაურების მაჩვენებლები. ეს უფრო საყურადღებოა თუნდაც იმიტომ, რომ საკოლმეურნეო საკუთრების საერთო-სახალხო საკუთრების დონემდე აყვანის გზად მიჩნეულია აგროსამრეწველო გაერთიანება. აგროსამრეწველო გაერთიანება თავისი შინაარსით წარმოადგენს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის იმ ორგანიზაციულ სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც ითვალისწინებს სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გასაღივებლად და დანახარჯების შესამცივებლად მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის საწარმოთა ძალების თავმოყრას, წარმოების ეფექტიანობის გადიდებას. როგორც ჩანს წარმოების მიზანი და მიღწევის საშუალება ყველა სასოფლო-სამეურნეო საწარმოში ერთნაირია, მაგრამ მათში წარმოშობილი წინააღმდეგობები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. განაწილება საკოლმეურნეობათშორის და აგროსამრეწველო გაერთიანებაში ატარებს სახელმწიფო და საკოლმეურნეო-კოოპერაციულ საწარმოთა წინააღმდეგობის ნიშნებს. ამ წინააღმდეგობის საფუძველია აგროსამრეწველო საწარმოთა საკუთრების განსაკუთრებული ხასიათი. იგი, ერთის მხრივ, საკოლმეურნეო-კოოპერაციული საკუთრებაა, მეორე მხრივ — სახელმწიფო (საერთო-სახალხო) საკუთრება. ამასთან იგი არცერთი არ არის. ამ ტიპის საწარმოთა განაწილების ფონდი იქმნება არა ცენტრალიზებული წესით, როგორც საბჭოთა მეურნეობებშია, არა კოლმეურნეობის საერთო კრების დადგენილებით, როგორც კოლმეურნეობებშია, არამედ სრულიად განსხვავებულ ფორმაში. აგროსამრეწველო საწარმოთა საკუთრების განსაკუთრებული ფორმა ნაწილობრივ ხელს უშლის წარმოების გაფართოებისათვის საჭირო სახსრების გამოყოფას, წინააღმდეგობრივია პროდუქციის განაწილება და გაცევა, გარკვეული შეფერხებებია მართვის სფეროში. ეს წინააღმდეგობა არაარსებითი ხასიათისაა, მისი გადაჭრა თვით ამ ტიპის საწარმოთა ძალებით ხორციელდება.

განაწილებითი ურთიერთობა გულისხმობს მრავალმხრივ ურთიერთობას არა მარტო წარმოებით ურთიერთობათა სისტემაში, არამედ თვით განაწილებით ურთიერთობათა შიგნით. ეხებოდა რა სოციალიზმის განაწილების თავისებურებებს კ. მარქსი მიუთითებდა აუცილებელი პროდუქტის ფორმირების თავისებურებებზე. მას მიაჩნდა, რომ ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტი შრომის მიხედვით განაწილებამდე გაივლის რამოდენიმე სტადიას. მათ შორისაა ისეთი ფონდების შექმნა, რომელსაც შემდეგ საზოგადოება ანაწილებს ხალხის კეთილდღეობის ამაღლების ინტერესების მიხედვით. გამოდის, რომ აუცილებელი პროდუქტი საზოგადოების წევრებზე ორი სახით ნაწილდება: 1. შრომის რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით და 2. მოხმარების საზოგადოებრივი ფონდებიდან საზოგადოებრივ პროდუქტში შეტანილი წვლილის მიხედვით. მოხმარების საზოგადოებრივი ფონდებიდან განაწილება ორ ძირითად მიზანს ემსახურება: 1. პროდუქტების შრომის მიხედვით განაწილებით საზოგადოებრივი ფონდების გადიდებასათვის ხალხის დაინტერესების ამაღლებას და 2. მშრომელთა ცხოვრების თანაბარი პირობების შექმნას.

საზოგადოებრივი მოხმარების ფონდებიდან განაწილების წინაღმდეგობანი წყდება არა რომელიმე ფონდის შემცირების პირობებში (რადგან ორივე ობიექტურია, ორივე იწვევს საზოგადოებრივი წარმოების გადიდებას და რაც მთავარია, სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონის მოთხოვნილებათა დამკვეთობას) არამედ მათ დონეთა შორის ობტიმალური პროპორციების დამყარებით. თუმცა წინააღმდეგობა ამით არ გადაიჭრება მთლიანად. ახალი წინააღმდეგობა, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა კვლავ ახლებურ გადაწყვეტას მოითხოვს.

წინააღმდეგობის ობიექტური ხასიათი სრულიადაც არ გულისხმობს მათი გადაჭრისათვის სუბიექტურ ფაქტორთა როლის შესუსტებას. სუბიექტი (სახელმწიფო, საწარმოო კოლექტივი, პიროვნება) წარმოებით ურთიერთობათა მთელი სისტემის და აქედან გამომდინარე, წინააღმდეგობათა მთელი სისტემის სრულყოფილად შეცნობის პირობებში ქმნის მოქმედების მექანიზმს (დაგეგმვისა და მართვის სრულყოფა, ეკონომიკური სტიმულირების ფორმების სრულყოფა და აქედან გამომდინარე, მთელი ეკონომიკური მექანიზმის სრულყოფა), რომელთა გამოყენება ეკონომიკური კანონების მოთხოვნათა შესაბამისად, შესაძლებლობას მისცემს საზოგადოებას, დამამუხრუჭებლის როლიდან წინააღმდეგობა გადაზარდოს წინწამწევი განმავითარებლის როლში, რაც საზოგადოების საწარმოო ძალების განუხრეგლ განვითარებას გამოიწვევს.

В. С. КАНДАШВИЛИ

ПРЕОДОЛЕНИЕ ПРОТИВОРЕЧИЯ РАСПРЕДЕЛЕНИЯ, КАК ВАЖНЕЙШИЙ ФАКТОР СОВЕРШЕНСТВОВАНИЯ РАСПРЕДЕЛИТЕЛЬНЫХ ОТНОШЕНИЙ НА СЕЛЕ

Резюме

Развитие социалистических производственных отношений не всегда характеризуется беспрепятственным восхождением. Развитие подразумевает преодоление противоречий.

К. Маркс и В. И. Ленин считали, что сосуществование двух взаимно противоречивых сторон составляет сущность диалектического движения, так же как и в других сферах противоречия являются побудительным источником совершенствования экономических отношений.

Противоречие распределительных отношений можно рассматривать в целых подсистемах, в которых ведущее место занимает противоречие между, с одной стороны, равным удовлетворением потребностей трудящихся, вытекающим из общественной собственности на средства производства и с другой стороны — разницей в уровне распределения, соответствующей внесенному вкладу, и вытекающей из неравнозначности способностей к труду.

Совершенствование распределительных отношений в коллективах подразумевает познание противоречий и разработку мероприятий их разрешения. Однако разрешения одних противоречий распределительного механизма создают основу для других, которые требуют нового подхода.

წარმოდგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის აგროსამრეწველო კომპლექსის ეკონომიკური პრობლემების განყოფილებამ

რამაზ აბასაძე

პროდუქციის მასალატევადობა და მისი შემცირების გზები
საქართველოს სსრ ელექტროენერგეტიკაში

სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986—1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებებში აღნიშნულია: „გადავაქციოთ რესურსდამზოგველობა სახალხო მეურნეობის მზარდ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების გადამწყვეტ წყაროდ. მივადწიოთ, რომ სათბობზე, ენერჯიაზე, ნედლეულსა და მასალებზე არსებული მოთხოვნილების მატება 75—80 %-ით კმაყოფილდებოდეს მათი ეკონომიის ვზით“¹. 12-ე ხუთწლედში დავემილია ეროვნული შემოსავლის მასალატევადობა შემცირდეს 4—5 %-ით, ენერგოტევადობა — 7—9%-ით და ლითონტევადობა — 13—15%-ით.

მასალატევადობის შემცირების როლი ძლიერ დიდია, რადგანაც იგი უზრუნველყოფს წარმოებისა და ეროვნული შემოსავლის ზრდის ტემპების დაჩქარებას, ხელს უწყობს ძირითადი ფონდების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლებას, ამცირებს ცოცხალი შრომის დანახარჯებს. მასალატევადობის შემცირება აღიდეგს შრომის ნაყოფიერებას ჯერ ერთი იმით, რომ პროდუქციის მოცულობის ზრდა ხდება მომუშავეთა ერთი და იგივე რიცხოვნობის პირობებში და მეორეც იმით, რომ მასალატევადობის შემცირება იწვევს ცოცხალი შრომის დანახარჯთა შემცირებას. მასალატევადობის შემცირება შესაძლებლობას იძლევა დაზოვილი მასალებიდან მივიღოთ დამატებითი მზა პროდუქცია. ეს უზრუნველყოფს ფონდუკუგების ზრდას და პროდუქციის შრომატევადობის შემცირებას ძირითადი წარმოებრივი ფონდების უცვლელი მოცულობის პირობებში. მაშასადამე, მასალატევადობის შემცირება საბოლოო ანგარიშით იწვევს პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას, რის შედეგადაც იზრდება სამეურნეო საქმიანობის ისეთი სინთეზური მაჩვენებლები, როგორც არის მოგება და რენტაბელობა, ე. ი. მასალატევადობა პირდაპირ დამოკიდებულებაში იმყოფება პროდუქტის თვითღირებულებასთან, ხოლო მოგებასა და რენტაბელობასთან კი, უკუკავშირში.

მატერიალური დანახარჯები მოიცავს ნედლეულის და ძირითად მასალებს, შესყიდულ მაკომპლექტებელ ნაკეთობებს, დამზარე მასალებს, სათბობს და ენერჯიას. ელექტროენერგეტიკაში, დარგის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, დანახარჯები ნედლეულზე და ძირითად მასალებზე არა გვაქვს, ამიტომ თუ მთელი მრეწველობის მატერიალურ ხარჯებში უდიდესი ხვედრითი წილი ნედლეულს და ძირითად მასალებს უჭირავს (83,6%), ელექტროენერგეტიკის მა-

¹ სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986—1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებანი, „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1986, გვ. 16.

ტერიალურ დანახარებებში უდიდესი ხვედრითი წილი სათბობზე მოდის (87,5%), მეორე ადგილზეა დანახარებები მასალებზე, ხოლო შემდეგ კი, დანახარებები შესყიდულ მაკომპლექტებელ ნაკეთობებზე და ნახევარფაბრიკატებზე (ცხრილი I). მატერიალურ დანახარება სტრუქტურაში იზრდება დანახარებების ხვედრითი წილი დამხმარე მასალებზე, ხოლო სათბობზე კი მცირდება.

ცხრილი 1

მატერიალურ დანახარება სტრუქტურა საქართველოს სსრ მრეწველობაში
და ელექტროენერგეტიკაში (%-ში)*

	1970 წ.		1985 წ.	
	მთელი მრეწველობა	ელექტრო-ენერგეტიკა	მთელი მრეწველობა	ელექტრო-ენერგეტიკა
ნედლეული და ძირითადი მასალები	85,7	—	83,6	—
შესყიდული მაკომპლექტებელი ნაკეთობანი, ნახევარფაბრიკატები და საწარმოო ხასიათის მომსახურება	4,2	—	7,6	2,4
დამხმარე მასალები	4,1	6,0	3,8	9,9
სათბობი	3,5	94,0	2,9	87,5
ენერჯია	2,5	—	2,0	0,2

დამხმარე მასალებში ელექტროენერგეტიკაში შედის შემცველი მასალები, რომლებიც იხარჯება საწარმოო საჭიროებისათვის. მაგალითად, წყალი, ბენზინი და უმთავრესად სათადარიგო ნაწილები, მიმდინარე და კაპიტალური რემონტისათვის და სხვა აუცილებელი საჭიროებისათვის. შესყიდულ ნაკეთობებში, ნახევარფაბრიკატებში და საწარმოო ხასიათის მომსახურებაში შედის მომსახურების ხარჯები მიმდინარე რემონტზე, ავტოტრანსპორტზე, წყალმომარაგებაზე და კანალიზაციაზე, რკინიგზის ტრანსპორტზე, გასაწყობ-გასაშვებ სამუშაოებზე, მოწყობილობის გამოცდაზე და სხვა. 1985 წელს საქართველოს სსრ ელექტროენერგეტიკაში აღნიშნულ დარგებში ხარჯებმა შესყიდულ ნაკეთობაზე და ნახევარფაბრიკატებზე, მხოლოდ 1,6% შეადგინა, დანარჩენი, კი საწარმოო ხასიათის მომსახურებაზე მოდიოდა.

ელექტროენერგეტიკაში მატერიალურ დანახარება სტრუქტურაში ხარჯებს ენერჯიაზე ძლიერ მცირე ხვედრითი წილი უჭირავთ. აღნიშნულ დანახარებებში შედის შესყიდული ენერჯია (ელექტროენერჯია, ორთქლის, წყლის, შეკუმშული ჰაერის ენერჯია და სხვ.), რომელიც გამოიყენება ტექნოლოგიური და სამეურნეო მიზნებისათვის.

მრეწველობის მატერიალურ დანახარება დარგობრივ სტრუქტურაში საქართველოს სსრ ელექტროენერგეტიკას ყველაზე მცირე ხვედრითი წილი უჭირავს და თანაც მას შემცირების ტენდენცია აქვს (ცხრილი 2). ელექტროენერგეტიკის ყველაზე მცირე ხვედრითი წილი მრეწველობის მატერიალურ დანახარება დარგობრივ სტრუქტურაში გამოწვეულია იმითაც, რომ მოცემული დარგის წარმოების დანახარება სტრუქტურაში მატერიალურ დანახარებებს გაცილებით ნაკლები ხვედრითი წილი უჭირავს, ვიდრე მთელი მრეწველობის და მისი ცალკეული დარგების წარმოების დანახარება სტრუქტურაში. მაგალითად 1985 წელს მატერიალურ დანახარება ხვედრითი წილი წარმოების ხარჯებში

* მოცემული ცხრილი და ცხრილები 2,3 განგარიშებულია საქ. ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მონაცემების საფუძველზე.

მრეწველობაში ტოლი იყო 82,5 პროცენტის, შავ მეტალურგიაში — 72,1, მანქანათმშენებლობაში და ლითონდამუშავებაში — 64,3, ქიმიურ და ნავთობქიმიურ მრეწველობაში — 71,2, მსუბუქ მრეწველობაში — 88,6, პროცენტის, ხოლო ელექტროენერგეტიკაში კი — 52,5 პროცენტის.

ცხრილი 2

მატერიალურ დანახარჯთა დარგობრივი სტრუქტურა საქართველოს სსრ მრეწველობაში (%-ობით)

	1970 წ.	1985 წ.
ელექტროენერგეტიკა	1,4	1,2
შავი მეტალურგია	6,1	4,4
ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობა	4,3	3,2
მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება	9,4	9,8
მსუბუქი მრეწველობა	18,6	20,4
კვების მრეწველობა	46,5	47,4

კიდევ უფრო მცირეა მატერიალურ დანახარჯთა ხვედრითი წილი ჰიდროელექტროსადგურების საწარმოო ხარჯებში (8,3%), რადგანაც აქ არ გამოიყენება სათბობი. მატერიალურ დანახარჯთა სტრუქტურაში ჰიდროელექტროსადგურებში გვაქვს მხოლოდ ორი ელემენტი შესყიდული ნაკეთობანი, ნახევარფაბრიკატები და საწარმოო ხასიათის მომსახურებანი და დამხმარე მასალები. აქედან დიდი ხვედრითი წილით (72,8%) გამოირჩევა დანახარჯები დამხმარე მასალებზე. თბოელექტროსადგურებში ყველაზე დიდი ხვედრითი წილი უჭირავს დანახარჯებს სათბობზე (94,1%).

პროდუქციის მასალატევადობის განმზოგადოებელ მაჩვენებელს წარმოადგენს მატერიალურ დანახარჯთა ფარდობა სასაქონლო პროდუქციის მოცულობასთან, ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ მატერიალურ დანახარჯთა რაოდენობა სასაქონლო პროდუქციის ერთმანეთზე გამოსახული კაპიკებში.

ცხრილი 3

პროდუქციის მასალატევადობა საქართველოს სსრ მრეწველობაში და ელექტროენერგეტიკაში 1970—1985 წწ.

	1970	1975	1980	1985
მრეწველობა კაბ.	72,0	71,0	75,0	72,0
%-ში	100	98,6	104,2	100
ელექტროენერგეტიკა კაბ.	29,0	32,0	26,0	30,0
%-ში	100	110,3	89,7	103,4

3-ე ცხრილიდან ირკვევა, რომ პროდუქციის მასალატევადობა გაცილებით ნაკლებია საქართველოს სსრ ელექტროენერგეტიკაში, ვიდრე მთელ მრეწველობაში, მაგალითად 1985 წელს მასალატევადობის მაჩვენებელმა ელექტროენერგეტიკაში მთელი მრეწველობის მაჩვენებლის მხოლოდ 41,7% შეადგინა. მასალატევადობის მაჩვენებელს, როგორც მრეწველობაში ისე ელექტროენერგეტიკაში არასტაბილური ხასიათი აქვს. 1970—1975 წლებში პროდუქციის მა-

სალატევადობის მაჩვენებელი საქართველოს სსრ ელექტროენერგეტიკაში იზრდება, 1975—1980 წლებში კლებულობს, ხოლო 1980—1985 წლებში ისევ იზრდება. აღნიშნული ცვლილება გამოწვეული იყო, როგორც სტრუქტურული ცვლილებებით ელექტროენერჯის წარმოებაში, ისე ფასების ცვლილებით სათბობზე. მაგალითად, 1970—1975 წლებში ელექტროენერჯის გამომუშავებაში იზრდება თბოელექტროსადგურთა ხვედრითი წილი, რაც ზრდის მასალატევადობის მაჩვენებელს. 1975—1980 წლებში კი ელექტროენერჯის გამომუშავების ზრდა ძირითადად ჰიდროელექტროსადგურთა ხარჯზე მიმდინარეობს, ამიტომ პროდუქციის მასალატევადობა მცირდება. 1980—1985 წლებში მართალია ელექტროენერჯის გამომუშავებაში კვლავ ჰიდროელექტროსადგურთა ხვედრითი წილი მატულობს, მაგრამ მასალატევადობა მაინც 1980 წლის დონეზე მაღალია. ეს გამოწვეულია ძირითადად ფასების მომატებით სათბობზე. ასე მაგალითად 1 ტ. პირობითი ქვანახშირის ფასი 1982 წელს 37,2%-ით მაშუთის — 63,8%-ით, ხოლო გაზის — 44,2%-ით გაიზარდა.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ მასალატევადობის მაჩვენებლის არასტაბილური ტენდენცია კლებისაკენ გამოწვეულია ელექტროენერჯის წარმოების დაბალი ტექნიკური დონით საქართველოს სსრ თბოელექტროსადგურებში.

როგორც ანალიზმა გვიჩვენა, ელექტროენერგეტიკაში მასალატევადობის მაჩვენებელი ძირითადად სათბობზე დანახარჯებით განისაზღვრება, ამიტომ მასალატევადობის ფაქტიურ მაჩვენებლად მოცემულ დარგში შესაძლებელია გამოვიყენოთ I კვტ/სთ ელექტროენერჯიაზე პირობითი სათბობის ხვედრი გასავლის მაჩვენებელი, რომელიც ამავე დროს წარმოადგენს დარგის ერთ-ერთ ძირითად ტექნიკურ - ეკონომიკურ მაჩვენებელს.

საქართველოს სსრ ელექტროენერგეტიკაში სათბობის სახით გამოყენება გაზი, მაშუთი და ქვანახშირი.

საქართველოს სსრ ელექტროენერგეტიკაში გამოყენებული სათბობის სტრუქტურაში ყველაზე დიდი ხვედრითი წილი უჭირავს მაშუთს (77,8%), შემდეგ გაზს (18,7%) და ქვანახშირს (3,5%). ქვანახშირის ხვედრითი წილი აღნიშნულ სტრუქტურაში თანდათან მცირდება, ხოლო გაზის ხვედრითი წილი მატულობს (ცხრილი 4).

ცხრილი 4

ელექტროენერჯის მისაღებად გამოყენებული სათბობის სტრუქტურა საქართველოს სსრ ელექტროენერგეტიკაში (1970—1985 წწ. %-ში)*

	1970	1975	1985
ქვანახშირი	12,6	6,4	3,5
გაზი	7,1	22,6	18,7
მაშუთი	80,3	71,0	77,8

სათბობის ბალანსში გაზისა და მაშუთის ხვედრითი წონის ზრდა დადებითი მოვლენაა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მოთხოვნებს შეესაბამება. მაგრამ, მაშუთის ხვედრითი წონა ძლიერ დიდია. უმჯობესი იყო მაშუთის

* მოცემული ცხრილი და ცხრილი 5 განავარიშებულია „საქმთავარენერგოს“ მონაცემთა საფუძველზე.

ნაცვლად გაზის გამოყენება, რადგანაც ორივე ამ საწვავის შემოტანა გარედან ზდება და გაზი მაშუთზე უფრო იაფია. 1984 წელს I ტ პირობითი სათბობის ფასი ტოლი იყო: ქვანახშირის 36,07 მანეთის, მაშუთის — 29,12 მანეთის, ხოლო გაზის — 27,72 მანეთის. როგორც ვხედავთ გაზით ქვანახშირისა და მაშუთის შეცვლა მნიშვნელოვან ეკონომიურ ეფექტს მოგვცემდა. მაგალითად 1985 წელს მაშუთის ნაცვლად გაზი რომ გამოგვეყენებინა, საჭირო იქნებოდა დაახლოებით 3045840 მანეთით ნაკლები პირობითი სათბობი, ხოლო თუ ქვანახშირსაც გაზით შევცვლიდით დამატებით კიდევ 828320 მანეთით ნაკლები პირობითი სათბობი იქნებოდა საჭირო. გარდა ამისა, ქვანახშირის კალორიულობა (განსაკუთრებით ტყიბულის ქვანახშირის) გაცილებით უფრო ნაკლებია, ვიდრე გაზის (თითქმის 3-ჯერ). სათბობის კალორიულობის ნაკლებობა, რა თქმა უნდა I კვტ/სთ გამომუშავებულ ელექტროენერგიაზე პირობითი სათბობის დანახარჯებს აღიძებს და მაშასადამე პროდუქციის თვითღირებულებასაც ზრდის. მაგალითად, ტყვარჩელის სახელმწიფო რაიონულ ელექტროსადგურში, სადაც წარმოების ტექნიკური დონე უფრო მაღალია, ვიდრე თბილისის თეც-ში I კვტ/სთ ელექტროენერგიაზე მეტი პირობითი სათბობია საჭირო (55,28 გ-ით მეტი 1985 წელს). ეს იმიტომ, რომ პირველში სათბობად გამოიყენება ქვანახშირი, ხოლო მეორეში კი მაშუთი და გაზი.

ცხრილი 5

პირობითი სათბობის ხვედრი გასავალი I კვტ/სთ ელექტროენერგიაზე საქართველოს სსრ ელექტროენერგეტიკაში 1970—1985 წლებში (გრამებში)

	1970	1975	1980	1985
თბილისის სრეს	370,8	365,8	367,29	379,51
ტყვარჩელის სრეს	545,9	575,4	418,78	463,28
თბილისის თეც	484,3	425,5	398,74	408,0
სულ	389,8	377,1	372,24	384,61

5-ე ცხრილის მონაცემებიდან ჩანს, რომ 1970—1980 წლებში საქართველოს სსრ ენერგოსისტემაში I კვტ/სთ ელექტროენერგიაზე სათბობის გასავალი გაცილებით ნაკლებია იქ, სადაც წარმოების ტექნიკური დონე უფრო მაღალია. მაგალითად, თბილისის სახელმწიფო რაიონულ ელექტროსადგურში 1985 წელს საჭირო იყო 83,77 გრამით ნაკლები პირობითი სათბობი, ვიდრე ტყვარჩელის სახელმწიფო რაიონულ ელექტროსადგურში.

თბილისის სახელმწიფო რაიონულ ელექტროსადგურში პირობითი სათბობის ხვედრი გასავალი I კვტ/სთ ელექტროენერგიაზე 1975 წლამდე მცირდება, ხოლო შემდეგ კი ზრდის ტენდენცია აქვს. განსაკუთრებით სწრაფად იზრდება აღნიშნული მაჩვენებელი 1985 წელს. ეს მდგომარეობა გამოწვეულია მოცემულ სადგურში თბოაგრეგატების ცუდ ტექნიკურ მდგომარეობაში ყოფნით. განსაკუთრებით გაცვეთილია პირველი რიგის აგრეგატები, რომელთაც უკვე გაუვიდა სამორტიზაციო ვადა. აღნიშნულის გამო ხშირია ავარიული გაჩერებები, რაც იწვევს სათბობის გადახარჯვას.

ტყვარჩელის სახელმწიფო რაიონულ ელექტროსადგურში 1982 წელს დამთავრდა რეკონსტრუქცია, სადაც ახალი ტუმბოაგრეგატები მუშაობენ. ამან, 5. „მაინე“, ეკონომიკისა და საპართლის სერია.

რა თქმა უნდა, შესაბამისად შეამცირა სათბობის ხვედრი გასავლის მოცულობა (156,62 გრამით 1980 წელს 1975 წელთან შედარებით). მაგრამ სადგურის არასწორი ექსპლოატაციის და ქარხანა-მომწოდებლის მიერ დაშვებული წუნის გამო აღნიშნულ სადგურში ხშირია ავარიული გაჩერებები და მასხადამე პირობითი სათბობის ხვედრი გასავალიც დიდია. არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა აგრეთვე თბილისის თბოელექტროცენტრალშიც, სადაც ძლიერ მცირე სიმძლავრის თბოტუმბოები მუშაობს და ვერ პასუხობს თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მოთხოვნებს ელექტროენერგეტიკაში.

მთელ ენერგოსისტემაში I კვტ-სთ ელექტროენერგიის წარმოებაზე პირობითი სათბობის ხვედრი გასავალი 1980 წლამდე კლებულობს, ხოლო 1985 წელს ეს მაჩვენებელი ისევ მნიშვნელოვნად იზრდება.

საერთოდ I კვტ/სთ ელექტროენერგიაზე პირობითი სათბობის ხვედრი გასავალი საქართველოს სსრ ელექტროენერგეტიკაში ტოლი იყო 327 გ., უკრაინაში — 344,4, ბელორუსიაში — 299,0, ყაზახეთში — 353,0, ლატვიაში — 262,0, აზერბაიჯანში — 365,0, სომხეთში — 349,7. მაღალია ასევე საქართველოს სსრ ელექტროენერგეტიკაში I გ/კალ. სითბოს გამოსამუშავებლად საჭირო პირობითი სათბობის ხვედრი გასავალი. მაგალითად, 1984 წელს I გ/კალ სითბოს გამოსამუშავებლად საჭირო პირობითი სათბობის ხვედრი გასავალი საქართველოს სსრ ელექტროენერგეტიკაში ტოლი იყო 176,45 გრამის, ხოლო სსრკ ელექტროენერგეტიკაში — 173,0 გრამის. ყოველივე ამის მიზეზი მდგომარეობს საქართველოს სსრ ელექტროენერგეტიკის თბოელექტროსადგურებში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაბალ დონეში.

პროდუქციის მასალატევადობის შემცირების გზებიდან აღსანიშნავია მოქმედ სადგურთა რეკონსტრუქცია-გადაიარაღება; საწარმოო სიმძლავრეთა გამოყენების გაუმჯობესება; შრომის ორგანიზაციის სრულყოფა სარემონტო წარმოებაში; ელექტროსადგურთა და ელექტროქსელების ექსპლოატაციის ხარისხის გაუმჯობესება მომსახურებ პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების და ქარხანა-მომწოდებლის მიერ ტექნიკური დეფექტების აღმოფხვრის საფუძველზე.

საქართველოს სსრ ელექტროენერგეტიკის ელექტროსადგურთა უმრავლესობა (გარდა ექსპლოატაციაში ახლად შესული სადგურებისა) მოძველებული ტექნიკის ბაზაზე მუშაობს. ტექნიკურ გადაიარაღებას ან მოდერნიზაციას (კონსტრუქციის საბაზისო ელემენტების ძირეულ შეცვლას) საჭიროებენ ისეთი სადგურები, როგორცაა რუსთავის მეტალურგიული, ქუთაისის საავტომობილო და ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნების, აგარის შაქრის და ენგურის ქალაქის კომბინატების თბოელექტროსადგურები. ასევე ისეთი მსხვილი ჰიდროელექტროსადგურები, როგორცაა რიონის, ზემო ავჭალის, გუმათის -I, ხრამის I, შაორის, ტყიბულის, ჩითახევის, აჭარის წყლის ჰიდროელექტროსადგურები. მოძველებული ტექნიკით მუშაობს და შეცვლას საჭიროებს საქართველოს სსრ ენერგოსისტემაში მომუშავე 30 მცირე ჰიდროელექტროსადგური. ყველაზე ცუდ მდგომარეობაშია რიწის, პსხუს, რიწა-II, აჭარის, შატილის, ხერთვისის, რიწეულის, კინკიშის ჰიდროელექტროსადგურები.

ელექტროენერგიის მასალატევადობის შემცირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გზაა საქართველოს ენერგოსისტემის ელექტროქსელის სრულყოფა — მისი რეკონსტრუქციისა და შემდგომი განვითარების მიმართულებით. განსაკუთრებით განუვითარებელია 220—500 კვტ სიმძლავრის მაგისტრალური ხაზები და საყრდენი ქვესადგურები. საჭიროა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართვე-

ლოს შორის დამაკავშირებელი კიდევ ერთი მძლავრი ელექტროგადამცემი ხაზი — 750 კვოლტი ძაბვით. შეცვლას საჭიროებენ ფიზიკურად ძლიერ გაცივებით 35—10 კვოლტი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზები.

ელექტროსისტემის ქვესადგურებში შესაცვლელია 110-ზე მეტი გამომრთველი, რომლებიც მოძველებულია, ასევე განსახორციელებელია ქვესადგურების აღჭურვა თანამედროვე რელეური დაცვის საშუალებებით. სასწრაფო აღდგენას საჭიროებენ გამანაწილებელი ქსელები, რომელთა უდიდესი ნაწილი ავარიულ მდგომარეობაში იმყოფება, განსაკუთრებით სოფლად.

პროდუქციის მასალატევალობის შემცირებაზე დიდ გავლენას ახდენს ახალი მოწყობილობების წრაფი ათვისება. ახალი სიმძლავრეების ათვისების პერიოდი დაკავშირებულია იმასთან, რომ წარმოების პროცესში როგორი სრულყოფილი კონსტრუქციის მანქანაც არ უნდა შევიდეს წარმოების პროცესში, მისი გამოყენების დროს აღმოჩნდება ნაკლოვანებები, რომელიც საჭიროა გამოსწორებული იქნას დამატებითი შრომით². ამოცანა კი იმაში მდგომარეობს, რომ მაქსიმალურად შევამციროთ დრო ახალი ობიექტების ექსპლოატაციაში შესვლისა და მის მიერ საპროექტო სიმძლავრით მუშაობის დაწყებას შორის, რომელიც რესპუბლიკის ჰიდროელექტროსადგურებში ჯერ კიდევ დიდია, მაგალითად ენგურის კასკადის ჰიდროელექტროსადგურები ექსპლოატაციაში 1972 და 1978 წლებში შევიდნენ, მაგრამ საპროექტო სიმძლავრით დღესაც არ მუშაობენ. ენგურის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის დამთავრების დაჩქარებას დიდი სახალხომეურნეობრივი მნიშვნელობა აქვს. ასევე უნდა დაჩქარდეს დღეისათვის მშენებლობის პროცესებში მყოფი ჟინვალის, ნამოხვანის და ვარცხის ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა.

ძირითადი ფონდების გამოყენების ექსტენსიური ფაქტორების გაუმჯობესებას პროდუქციის მასალატევალობის შემცირების საქმეში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საქართველოს სსრ ელექტროენერგეტიკაში, სადაც ჰიდროელექტროსადგურთა ექსტენსიური გამოყენების დონე ძლიერ დაბალია. ექსტენსიური გამოყენების გაუმჯობესება ნიშნავს მოწყობილობის მოცდენების შემცირებას, რომელიც ბევრადაა დამოკიდებული დამხმარე წარმოების მუშაობისაგან. დამხმარე წარმოების მუშაობა თავის მხრივ დამოკიდებულია იქ განხორციელებული საწარმოო პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დონეზე. საქართველოს სსრ ელექტროენერგეტიკაში დამხმარე წარმოებები მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დაბალი დონით ხასიათდებიან. ჯერ კიდევ დიდია იქ ხელით შრომის ხვედრითი წონა, რომელმაც 1985 წელს საქართველოს სსრ ელექტროენერგეტიკაში 62,6% შეადგინა. დამხმარე წარმოების ავტომატიზაციის და მექანიზაციის დაბალი დონე ადიდებს რემონტის ხანგრძლივობას და აუარესებს მის ხარისხს, რაც პირდაპირპროპორციულად ამცირებს მოწყობილობის მუშაობაში ყოფნის დროს და შესაბამისად მათი ექსტენსიური გამოყენების დონეს. მაშასადამე, დამხმარე წარმოების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დონის ამაღლება საქართველოს სსრ ელექტროენერგეტიკაში პროდუქციის მასალატევალობის შემცირების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გზაა.

საწარმოო სიმძლავრეთა ექსტენსიური გამოყენების ხარისხზე დიდ გავლენას ახდენს დატვირთვის გრაფიკის ცვლილება. დატვირთვის გრაფიკის შემჭი-

² Маркс К. и Энгельс Ф. соч. изд. 2, т. 24, с. 196

დროვება გაზრდის ელექტროაგრეგატების მუშაობაში ყოფნის დროს, რაც გამოიწვევს სიმძლავრეთა გამოყენების ამაღლებას. მაგრამ ეს უკანასკნელი მომხმარებლის სტრუქტურაზეა დამოკიდებული. ელექტროენერგეტიკის ძირითადი ფონდების გამოყენების გაუმჯობესების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა მომხმარებელთა ისეთი სტრუქტურის შექმნა, რომელიც სიმძლავრეთა რაც შეიძლება თანაბარი დატვირთვის შესაძლებლობას მოგვცემს. ეს გათვალისწინებული უნდა იქნას პერსპექტივაში ელექტროენერგეტიკის შემდგომი განვითარების დაგეგმვის დროს, რათა სახალხო მეურნეობაში ახალი სიმძლავრეების ექსპლოატაციაში შესვლამ უზრუნველყოს ელექტროენერგეტიკულ სიმძლავრეთა მაქსიმალური გამოყენება. მაგალითად, საქართველოში ჰიდროელექტროენერგეტიკის განვითარების არსებული და მოსალოდნელი დონე პერსპექტივაში შესაძლებლობას იძლევა ელექტროენერჯის მოხმარება გადიდდეს სეზონურ დარგებში (ვთქვათ სოფლის მეურნეობაში), რაც წყალუხვობის დროს ჰიდროელექტროენერგეტიკულ სიმძლავრეთა გამოყენების გაუმჯობესებას უზრუნველყოფს.

საქართველოს სსრ ელექტროენერგეტიკაში სიმძლავრეთა ინტენსიური გამოყენების დონე უნდა ამაღლდეს ენგურის (ვარდნილპესების ჩათვლით), ხრამის, ვარციხის, სიონის, მარტყოფის, აჭარის, ჯიჩხვის, ჰსხუს, ხერთვისის, შატლის, ყაზბეგის, აჭარის ჰიდროელექტროსადგურებში, ტყვარჩელის, თბილისის, რუსთავის მეტალურგიული და ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნების თბოელექტროსადგურებში. მოწყობილობის ექსტენსიური გამოყენება უნდა გაუმჯობესდეს ენგურის (კასკადი მთლიანად), თეთრიხევის, სიონის, ტირიფონის, კახარეთის, კეხვის, ბესლეთის, ხერთვისის ჰიდროელექტროსადგურებში. პირველი ჯგუფის ჰიდროელექტროსადგურებში ტურბინების მუშათვალის რეკონსტრუქციის შემდეგ, მოსალოდნელია მათი ინტენსიური გამოყენების დონე 2—3%-ით ამაღლდეს.

სარემონტო წარმოებაში შრომის ორგანიზაციის სრულყოფა შეამცირებს აქ დასაქმებულ მუშაკთა რაოდენობას და დანახარჯებს მოწყობილობების შენახვასა და ექსპლოატაციაზე. სარემონტო წარმოებაში შრომის ორგანიზაციის სრულყოფის მთავარი მიმართულებებია სარემონტო წარმოების ცენტრალიზაცია და აქ მიმდინარე საწარმოო პროცესების ავტომატიზაცია და მექანიზაცია. საქართველოს სსრ ენერგოსისტემაში სარემონტო წარმოების ცენტრალიზაცია განხორციელებულია, მაგრამ ელექტროენერგეტიკის თავისებურების გამო ყველა ძირითადი სარემონტო სამუშაოები, მაინც ადგილზე მიმდინარეობს, რის გამოც ავტომატიზაციისა და მექანიზაციის შესაძლებლობანი მინიმუმამდეა დაყვანილი. სარემონტო წარმოებაში სამუშაოები ძირითადად ხელით სრულდება. მაშასადამე ელექტროენერგეტიკაში არსებობს ავტომატიზაციის ორი უკიდურესი დონე. ძირითადად წარმოებაში იგი გაცილებით დიდია, ხოლო დამხმარე წარმოებაში გაცილებით მცირე, ვიდრე მრეწველობის სხვა დარგებში. ახლო მომავალში ავტომატიზაციის დონის მკვეთრი ამაღლება ელექტროენერგეტიკის სარემონტო წარმოებაში მოსალოდნელი არაა, ამიტომ აქ დიდი მნიშვნელობა ენიჭება მუშა-მოსამსახურეთა კვალიფიკაციის დონის ამაღლებას.

საქართველოს სსრ ენერგოსისტემაში ხშირია მოწყობილობის ნორმალური ექსპლოატაციის დარღვევის შემთხვევები, გამოწვეული როგორც თვით პერსონალის, ისე ქარხანა-მოწოდებლის მიზეზით. ენერგოაგრეგატების მუშაობის პირობების დარღვევა ორ მხრივ დანაკარგებთანაა დაკავშირებული. ჯერ ერთი,

მცირდება ელექტროენერგიის გამომუშავების მოცემულობა და მეორეც, საჭირო ხდება დამატებითი სახსრების გამოყოფა მიღებული უწყესრიგობის გამოსასწორებლად. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პერსონალის მიზეზით გამოწვეული დარღვევები ხშირად არამართო სუბიექტური ხასიათისაა, რადგანაც მუშები განიცდიან საჭირო რაოდენობის საექსპლოატაციო ინვენტარის ნაკლებობას, ამდენად, მუშათა კვალიფიკაციის და მომთხოვნელობის ამაღლება, ქარხანა-მომწოდებლის პასუხისმგებლობის გაძლიერება და სისტემის უზრუნველყოფა ექსპლოატაციისათვის საჭირო ინვენტარით ელექტროენერგიის მასალატევადობის შემცირების ერთ-ერთი მთავარი გზაა. პროდუქციის მასალატევადობის შემცირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გზაა დანახარჯების შემცირება მოწყობილობების შენახვასა და ექსპლოატაციაზე. ეს კი ძირითადად მიიღწევა სიმძლავრის ერთეულზე კაპიტალდაბანდებათა მაქსიმალური შემცირებით. განსაკუთრებით დიდაა საქართველოს სსრ ელექტროენერგეტიკაში დანახარჯები სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებზე. ჰიდროელექტროსადგურებში, გარდა ამისა, დიდია მშენებლობის ვადები, რაც კიდევ უფრო აღიძვებს აქ გაწეულ კაპიტალდაბანდებათა მოცულობას.

მასალატევადობის შემცირების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გზაა I კვტ/სთ ელექტროენერგიაზე პირობითი სათბობის ხვედრი გასავლის შემცირება. სათბობის ხვედრი გასავლის შემცირება, კი თავისთავად პირდაპირ კავშირშია აგრეგატთა ერთეული სიმძლავრის და ენერგიის მუშაობის პარამეტრთა ამაღლებასთან.

მაგალითად, თბოტურბინის სიმძლავრის გაზრდა 160 ათასი კვტ-დან 8000 ათას კვტ-მდე მყარი სათბობის ხვედრ გასავალს ამცირებს 18 გრამით, 160-დან 1200 ათას კვტ-მდე გაზრდა აირადი და თხევადი სათბობის ხვედრ გასავალს ამცირებს 22 გრამით (ცხრილი 6).

ცხრილი 6

სათბობის ხვედრი გასავალი ელექტროენერგიის 1 კვტ/სთ წარმოებაზე თბოტურბინათა სიმძლავრის მიხედვით³

ენერგობლოკების ტურბინით	ს ა თ ბ ო ბ ი		
	მყარი	აირადი	თხევადი
— 160 — 130	343	335	335
— 210 — 130	338	324	330
— 300 — 240	330	315	320
— 500 — 240	327	—	—
— 800 — 240	325	—	315
— 1200 — 240	—	308	313

მასალატევადობის მნიშვნელოვანი შემცირება საქართველოს სსრ ელექტროენერგეტიკაში შესაძლებელია ასევე სათბობად მაშუთისა და ქვანახშირის ნაცვლად გაზის გამოყენებით.

ელექტროქსელში საჭიროა შიდასაქარხნო და ელექტროქსელების გადაყვანა მაღალ ძაბვაზე. უფრო მაღალ ძაბვაზე გადასვლა ელექტროენერგიის დანაკარგებს ამცირებს ამაღლების შემდეგ და ამაღლებამდე ძაბვებს შორის

³ Прузнер С. Л., Экономика, организация и планирование энергетического производства, М., Энергоатомиздат, 1984, с. 26.

ფარდობის პროპორციულად. საქართველოს ენერგოსისტემების ელექტროქსელში კი, დაბალი ძაბვის მქონე ელექტროგადამცემი ხაზების სიგრძე ძლიერ დიდია.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი რა თქმა უნდა არის ძირითადი საშუალება პროდუქციის მასალატევადობის შემცირების, მაგრამ ყველა მიმართულება არ იწვევს პროდუქციის მასალატევადობის შემცირებას. მაგალითად, საქართველოს სსრ ელექტროენერგეტიკაში საბაზისო ელექტროსადგურების უპირატესი განვითარება გაზრდის ასევე ელექტროენერჯის მასალატევადობასაც მთელ სისტემაში. მაშასადამე მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ენერგოსისტემაში უნდა განხორციელდეს ელექტროენერჯის მასალატევადობის შემცირების მნიშვნელოვანი ღონისძიებანი, იგი მომავალში მაინც გაიზრდება. მაგრამ ჯერ ერთი მასალატევადობის ეს ზრდა დროებითი ხასიათის იქნება და მეორეც, იგი გადაუარსელი იქნება სახალხო მეურნეობის ელექტროენერჯიზზე გაზრდილი მოთხოვნილების დაკმაყოფილების შედეგად მიღებული ეკონომიით.

Р. А. АБЕСАДЗЕ

МАТЕРИАЛОЕМКОСТЬ ПРОДУКЦИИ И ПУТИ ЕЕ СНИЖЕНИЯ В ЭЛЕКТРОЭНЕРГЕТИКЕ ГРУЗИНСКОЙ ССР

Резюме

Показатель материалоемкости в электроэнергетике Грузинской ССР гораздо ниже (приблизительно в 2,4 раза), чем в промышленности республики в целом. Это вызвано как особенностями отрасли, так и тем, что в электроэнергетике большой удельный вес занимают ГЭС. Этот показатель не имеет определенной тенденции к изменению, что вызвано как структурными изменениями в производстве электроэнергии, так и изменениями цен на топливо. В электроэнергетике показатель материалоемкости в основном определяется затратами на топливо. Поэтому вместо показателя материалоемкости в этой отрасли можно использовать удельный вес расхода условного топлива на 1 кВт.ч. производимой электроэнергии. В энергосистеме Грузинской ССР этот показатель все еще остается высоким из-за низкого уровня научно-технического прогресса в электроэнергетике республики. Его ускорение является основным средством снижения материалоемкости в электроэнергетике Грузинской ССР, но не все его направления будут вызывать снижение этого показателя. Например, в связи с преимущественным ростом базисных электростанций в Грузинской ССР показатель материалоемкости во всей энергосистеме может повыситься, но этот рост, во-первых, будет носить временный характер, и, во-вторых, убытки, полученные от этого роста, будут компенсированы в результате экономии, полученной от удовлетворения возрастающих потребностей народного хозяйства в электроэнергии.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ეკონომიკური პრობლემების განყოფილებამ

სამართალი

კარელ ელიაშ

ВОЗМОЖНОСТИ ПРОПАГАНДЫ ПРИ ФОРМИРОВАНИИ СОЦИАЛИСТИЧЕСКОГО ПРАВОСОЗНАНИЯ УЧАЩИХСЯ ПТУ

I. Введение

Формирование социалистического сознания человека весьма сложный и трудный процесс, который протекает как постепенные изменения в психике, личности и социальных отношениях человека. Он является отражением перемен в общественном бытии и сознании социалистического общества, следствием активной, систематической деятельности в социальных группах и коллективах: производственных, общественно-политических, культурных, учебных и т. д. «В социалистическом обществе этот процесс целенаправленно планируется и управляется, он обусловлен систематическим и продуманным воздействием со стороны общества, т. е. воспитанием и всей идеологической работой» [1; 2].

Процесс, в котором отражается бытие, носит общественный характер, особенно важны здесь аспекты социологические и психологические. Сущность этого процесса уже была объяснена в теории отражения В. И. Ленина, но некоторые его стороны необходимо продолжать исследовать, например, конкретные механизмы формирования общественного, группового и индивидуального сознания.

Наиболее важным видом отношений с точки зрения формирования общественного сознания является его отношение к индивидуальному сознанию. Этот вопрос становится в последнее время предметом специальных исследований. При этом выявляются как общие признаки, так и особенности общественного и индивидуального сознания, которые затем влияют друг на друга. Многие вопросы, однако, лишь затронуты, не объяснены. Не изучен, например, в достаточной мере механизм проникновения общественного сознания в индивидуальное, беспрепятственное или затрудненное влияние группового сознания. Между тем решение этих вопросов способствовало бы совершенствованию всей системы воспитания личности. Индивидуальные особенности освоения содержания общественного сознания часто не определяются самим содержанием общественного сознания, его объективным значением, а определяются обстоятельствами жизни данного человека, т. е. местом, которое он занимает в системе общественных отношений, его жизненным опытом, образованием, воспитанием и т. д. Именно жизненные обстоятельства, особенности жизненной судьбы человека обуславливают процесс индивидуализации общественного сознания, процесс перехода содержания этого сознания в сознание данной личности.

Одной из форм общественного сознания является правосознание, вопросы формирования которого будут рассмотрены. При этом мы исходим из того, что на первых фазах жизни каждого индивидуума существует противоречие между сравнительно развитым общественным и групповым сознанием и неразвитым сознанием индивидуальным. Это противоречие решается в процессе развития индивидуума. При этом индивид всегда принадлежит к определенному классу, группе, и его сознание детерминируется материальными условиями и идейной ориентацией этого класса или группы, которую он в разной степени принимает или отвергает.

Прежде всего уточним, что такое правосознание. До сих пор не существует однозначной дефиниции правосознания. Чаще всего при изучении этого понятия выделяется содержание правосознания (отвечающее соответствующему конкретному этапу общественного развития), его структура (элементы когнитивные — знание правовых норм, понимание правовых норм и элементы эмоциональные — правовая оценка социальных фактов, чувство справедливости, ответственности, законности) и функции (познавательная, оценочная, регуляция человеческого поведения) [4; 5], хотя и здесь имеются еще определенные неясности. На это обращает внимание, например, Раб [6], особенно при различении общественного сознания в социалистическом обществе и социалистического общественного сознания.

В значительной мере участвуют в приведенных процессах (напр., представлением положительных примеров, образцов для всего общества) средства массовой информации и пропаганды (СИМП). Их влияние, однако, не следует переоценивать [7], так как эти средства представляют лишь часть из множества факторов, влияющих на сознание, взгляды, позиции и поведение человека. Реципиент является не только объектом воздействия этих средств и участником целой системы воспитательных процессов, но в то же время и субъектом в жизни социалистического общества, который придерживается определенных взглядов, занимает определенные мировоззренческие позиции.

Поэтому для формирования правосознания как внутреннего регулятора деятельности людей недостаточно только приобретение правовых знаний и норм (напр., в вербальном учебном процессе или под воздействием средств массовой информации и пропаганды). Этот процесс должен быть дополнен освоением социалистических межличностных отношений в практической деятельности. В общем можно констатировать, что для формирования социалистического сознания можно использовать уже существующие психологические методы подготовки (тренинга), которыми пользуются главным образом в педагогической и социальной психологии (напр., метод активного социального обучения — АСО). При реализации отдельных методов АСО участникам передается рациональная информация, оценочный и эмоциональный опыт, развиваются их социальные навыки. Хотя по этой проблеме был опубликован целый ряд работ [8], развитие этих методов далеко еще не закончено.

2. Понимание исследования: проблемы, методы, гипотезы

В нашем исследовании (1981—1983 гг.) мы поставили перед собой задачу проверить условия и возможности становления общественного, группового и индивидуального правосознания в зависимости от изменения внешних условий, активной социальной подготовки и личностных детерминант и разработать таким образом теоретические положения

для повышения эффективности идеологического и политического воздействия. Таким образом, цель исследования состояла в установлении того, в каких точно определенных условиях произойдет изменение определенного уровня избранных форм сознания.

При применении методов АСО нельзя ориентироваться на совершенствование только отдельных составных частей деятельности, форм и уровней сознания. Здесь необходим системный диалектический подход, только он может привести к повышению эффективности идеологической работы [9]. Этот комплексный, системный подход направлен на развитие человеческого сознания (правосознание понимается при этом в тесной взаимосвязи с сознанием политическим и нравственным), к формированию качеств и способностей личности в социалистическом обществе. Отсюда вытекает и требование более длительного воздействия на сознание подопытных лиц и контроль этого воздействия при помощи как внутренних, так и внешних критериев. В нашем случае это была средняя общая успеваемость и средняя успеваемость по обществоведению по отношению к эффективности АСО. Эти критерии использовались для наблюдения за повышением уровня правового сознания.

Для контролируемого изменения экспериментальных условий подопытных лиц был использован методический вариант АСО, который основывается на социальных отношениях, коммуникации, интеракции, на принятии решения в конфликтных ситуациях как элементах взаимовлияний людей в процессе обучения в небольшой социальной группе [10].

Сравнительный анализ используемых методов позволил установить, что методы со сложной структурой и комбинированные методы (напр., с психотерапевтическими и консультационными подходами) обладают более высокой эффективностью информационного и воспитательного воздействия. Однако они требуют больше времени и более совершенной подготовки по планированию и организации.

Избранная организация эксперимента основывалась на требованиях так называемого активного исследования, которое содержит как элементы диагностические, так и элементы формативные. Эксперимент охватывал четыре коллектива учащихся ПТУ из области химической промышленности. Средний возраст испытуемых составлял 15,8 года. В отдельных группах методика была различной. Группа А в среднем провела с интервалом в неделю решение 15-ти проблемных общественных и рабочих ситуаций, что можно характеризовать как активную социальную программную подготовку (АСОП). В группе Б была применена АСОП и, кроме того, программная групповая консультация [11]. Для того, чтобы усилить условия для развития и углубления правосознания учащихся, решаемые примеры в группах А и Б дополнялись выбранными сообщениями радио и телевидения, в остальных случаях — информацией из печати. В группе В осуществлялась программная групповая консультация (ПГК). В контрольной группе К не применялся ни один из приведенных методических подходов.

Исследование основывалось на следующих гипотезах.

Мы предполагали, что проявятся тенденции к перемене в группе Б, в которой использовалась более комплексная методика АСОП, усиленная средствами массовой информации и пропаганды. Одновременно в этой группе осуществлялась более интенсивная программная групповая консультация, чем в группе А (АСОП и СМИП). Эти из-

менения должны были проявиться в трех направлениях следующим образом.

1. Мы предполагали, что число оригинальных решений 15-ти проблемных ситуаций конфликтного характера, направленных на выявление уровня правового сознания испытуемых, будет возрастать. При этом, вероятно, будет:

- сокращаться время, необходимое для их решения;
- расти число выступлений в дискуссиях при решении проблем;
- расти число качественных способов решения проблем (как один из индикаторов уровня правового сознания);
- понижаться число некачественных способов решения (или стагнация).

2. Межличностные отношения подопытных лиц обнаружат, вероятно, под воздействием экспериментальной программы тенденции к усилению аспекта ответственности, доброжелательности по сравнению с агрессивностью.

3. Вероятно, проявятся позитивные отношения между некоторыми количественными и качественными параметрами эффективности АСОП и показателями общей успеваемости (внешние критерии).

3. Результаты и заключение

Ввиду условий эксперимента, сравнительно короткого времени проведения и объема выборки, полученные результаты оцениваются с точки зрения тенденции к изменениям.

1. Количественные показатели эффективности АСОП в экспериментальных группах А и Б проявили тенденцию к росту за исключением времени решения в группе А. При этом группа Б в ходе всего эксперимента отличалась более благоприятными эволюционными признаками (дисперсия по отношению к идеальной прямой меньше).

По качественным способам решения проблем (конструктивный, комментирующий) отличалась группа Б, где применялась более комплексная методика (АСОП и ПГК). В некачественных способах решения («не решил», отрицательный) обнаружилась стагнация.

2. В межличностных отношениях, проверяемых социометрически, установлено, что эти отношения в группах испытуемых должны были после окончания экспериментальной программы обнаружить тенденцию к кристаллизации. Как и ожидалось, группа Б снова обнаружила более качественные признаки с точки зрения направленности подготовки. Тогда как в группе А на первом плане находится благожелательность, вытекающая из ответственности и авторитета (при этом, что удивительно, и симпатия к решительному, вплоть до агрессивного, поведению), в группе Б в центре находится нравственно-правовой аспект (ответственность) и дистанцирование от авторитарического лидера.

3. С точки зрения внешнего критерия (школьной успеваемости) улучшилась средняя успеваемость по обществоведению в зависимости от роста количества комментирующих и конструктивных способов решения проблемных ситуаций. Результаты свидетельствуют о том, что долговременное воздействие экспериментальной подготовительной программы положительно влияет на глубину понимания общественных взаимосвязей.

Нельзя, однако, решать проблемы надстройки, куда, бесспорно, относится вопрос формирования правосознания, лишь с использовани-

ем «инструментов» надстройки, не принимая во внимание характер базиса, например, уровень экономики. Поэтому необходимо стремиться к более комплексному управлению социальными процессами (включающими в себя и процессы информационные), где динамика правового сознания отдельных индивидов и целых групп реально влияет друг на друга. Это обстоятельство должно связываться с проблемой эффективности управления, тщательно и конкретно исследоваться.

Литература

1. Кодым М. Психологичке прнштупы к вызкму в утвержени социалистич. ведоми. Творба, 1982, № 46, с. 1—8.
2. Социализм и личность (сборник). Прага, 1981.
3. Кодым М., Ман Ф., Седлак И. Проблемы овливновани сложек инд. ведоми, Чехосл. психол. 1982, № 6, с. 507—512.
4. Сафаров Р. Б. Структура правосознания и его измерение. Правник, 1976, № 11, с. 1026—1034.
5. Шавгулидзе Т. Г. Обществено мнение, правосознание и учащаяся молодежь. Тбилиси, «Сабчота Сакартвело», 1981.
6. Раб В. Теоретичке а практичке проблемы вызкмуку мравниго, правниго а браннего ведоми. Материалы для заседания совета задания VIII-6, Прага, 1983.
7. Уледов А. К. и др. Обществено мнение и пропаганда. М., «Мысль», 1980.
8. Элиаш К. Утваржени соц. правниго ведоми с выужитим психол. выц. метод а протрждку масове информаце а пропаганды. Прага, Психол. ин-т ЧСАН, автореферат канд. диссертации, 1983.
9. Лингарт Й. Вывой ведоми човека а сполечност. Прага, Академия, 1984.
10. Методика АСОП неоднократно публиковалась в журнале «Чехословацкая психология» (1976—1984 гг.). Новейшая работа в этом направлении — Седлак И. Вопросы социального обучения. Брно, 1985.
11. Велеминска П. Утваржени мравниго ведоми методоу прогр. скупин. пораденстви. Прага. Психол. ин-т ЧСАН, автореферат канд. диссерт., 1983.

Представлена отделом криминологии и уголовного права
Института экономики и права АН СССР

ლია ჟანაშვილი

ფსიქიკის გართვის სისტემა ქცევაში (მათ შორის არასრულწლოვანთა დანაშაულებრივ ქცევაში)

როგორც ცნობილია, დ. უზნაძე განწყობის თეორიაში განიხილავს: ცნობიერების მოქმედების ორ პლანს — იმპულსურსა და გაშუალებულს, რომელსაც ობიექტივაციის პლანსაც უწოდებს¹; ფსიქიკის ცხოვრების ორ დონეს — განწყობისას და ობიექტივაციისას² და, ამას გარდა, კიდევ ადამიანის ქცევის იმპულსურსა და ნებელობით მხარეს³.

ვინაიდან განწყობისეული დონე აქტუალური იმპულსის სარეალიზაციო ქცევის გამოხატველია, ამიტომ სამივე შემთხვევაში გვაქვს საქმე, ერთის მხრივ, აქტუალური მოთხოვნების იმპულსთან და მის შესაბამის ქცევასთან; მეორეს მხრივ კი შესაძლოა ისეთი შთაბეჭდილება დარჩეს, რომ ქცევის განსაზღვრულ დონეზე ობიექტივირებული ანუ თეორიული დონე სხვა არაფერია თუ არა ნებელობითი ქცევის ასპექტი. მაგრამ, რომ ჩაუკვირდეთ ამ საკითხს, ეს ასე არ არის. ექვს არ უნდა იწვევდეს ის გარემოება, რომ ცნობიერების მოქმედების იმპულსური პლანი, ფსიქიკის ცხოვრების განწყობისეული დონე და, თავისთავად, იმპულსური ქცევაც ერთისა და იგივე მნიშვნელობის მატარებელია არაობიექტივირებული დონისა და არანებელობითი ქცევის თვალსაზრისით. მაგრამ ობიექტივირებულია ანუ თეორიული და ნებელობითი ქცევა საფუძველშივე განსხვავდებიან ერთიმეორისაგან.

თვით ობიექტივაცია, როგორც გამოირკვა, ორი ფუნქციის მატარებელია. მათ შორის ერთია ს ა კ ო ნ ტ რ ო ლ ო, მეორე კი — გ ნ ო ს ტ ი კ უ რ - შ ი ნ ა ა რ - ს ო ბ რ ი ე ი⁴. მართლაც, ობიექტივაციის აქტი ხორციელდება გარკვეული შეფერხებით გამოწვეული მოქმედების შეჩერებისას, რაშიც გამოხატულებას პოვებს მისი საკონტროლო ფუნქცია; მეორეს მხრივ, სწორედ ობიექტივაციის დროს ხდება იმის ანალიზი, თუ სახელდობრ რამ გამოიწვია შეფერხება. ობიექტივაციის ამ მეორე ფუნქციაში შედარდება მისი გნოსტიკურ-შინაარსობრივი დანიშნულება და ამ ფუნქციის მეშვეობით ასრულებს იგი აზროვნების პროცესის წინასაფხურის როლს — ეს არის საპრობლემო სიტუაციის შესახებ ინფორმაციის შეკრების გარკვეული ეტაპი. ამ ინფორმაციის საფუძველზე უნდა გაიშალოს შემდგომ თვით აზროვნების პროცესი. იმპულსური ქცევის დროს აზროვნების პროცესი, როგორც ასეთი, არა გვაქვს — ამ დროს შეინიშნება

1 დ. უზნაძე, შრომები, ტ. 6, თბ., 1977, გვ. 133—140.

2 იქვე, გვ. 140—142.

3 დ. უზნაძე, შრომები, ტ. 3—4, 1964, გვ. 174.

4 ბ. პუშკინი, ლ. ყანჩაველი, დიქსირებული განწყობისა და ობიექტივაციის ურთიერთდამოკიდებულება აზროვნების პროცესის დროს, თბ., 1982, № 3, გვ. 67—75, აქ: გვ. 72.

5 ნ. ელიავა, განწყობის პრობლემა აზროვნების ფსიქოლოგიაში, თბ., 1964.

მხოლოდ გარკვეული ავტომატიზმების რეალიზაცია შესაბამისი ფიქსირებული განწყობების შინაარსების გაშლის სახით:

ობიექტივაციას არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება დაეკისროს ნებელობის ფუნქცია, თუმცა იგი მის ერთ-ერთ, კერძოდ კი, პირველ ეტაპს განეკუთვნება. ნებელობის ეს ეტაპი ერთგვარი ინტელექტუალური ქცევის, აზროვნების საფუძვლად განეკუთვნება, როდესაც უნდა გადაწყდეს ალბათური სიტუაციით განპირობებული არჩევითი ამოცანა. მაგრამ, როგორც ცნობილია, ნებისყოფის პროცესს კიდევ ორი სხვა ეტაპი გააჩნია — ესენია თვით გადაწყვეტილების მიღებისა და მიღებული გადაწყვეტილების შესრულების ეტაპი⁶. როგორც უზნაძე აღნიშნავს, ინტელექტუალური პროცესი არაა საკმარისი იმისათვის, რომ ნებელობის განხორციელება მოხდეს. ნებელობა ვლინდება მისი სპეციფიკური და ძირითადი მეორე ეტაპის შესრულების აქტის სახით. მაგრამ მეორე ეტაპის შესრულებისათვის საჭიროა კიდევ მოტივაციის მოხმობა, რათა სუბიექტმა თავის მე-ს გარეთ გატანილი ამოცანა გაითავისოს და ისეთი განწყობა შეიქმნას, რომელიც შემდგომ განხორციელება მიზანშეწონილ და სასურველ მოქმედებაში. ამასთან ისიც უნდა აღინიშნოს, რომ, როგორც უზნაძე შენიშნავს, განწყობის შექმნა და გადაწყვეტილება ერთდროულად ხდება და მეორე არის პირველის განცდაში გამოხატულება.

აქედან გამომდინარე, ობიექტივაცია ვერავითარ შემთხვევაში ნებელობის იდენტური ვერ იქნება, ვინაიდან, ჯერ ერთი, ობიექტივაცია უზნაძეს ესახება როგორც ნებელობის შემადგენელი ნაწილი — მას პირველივე ეტაპზე ეკისრება თავისი შესასრულებელი ფუნქციის განხორციელება. თვით ნებელობის გამომხატველ ეტაპად კი სწორედ გადაწყვეტა მიაჩნია, გადაწყვეტა, როგორც ახალი განწყობის შექმნა, რაშიც სუბიექტის გადახალისება უნდა გამომჟღავნდეს. ობიექტივაციას მეორე ეტაპზე საერთოდ ადგილი არა აქვს, ვინაიდან მან პირველსავე ეტაპზე შეასრულა დაკისრებული მასზედ როლი.

როგორც ირკვევა, ობიექტივაცია მარტო აზროვნების კი არა, არამედ ნებელობის წინასაფხურიც არის. ობიექტივაციის საფუძველზე ხდება როგორც საერთოდ ნებელობითი პროცესის აქტუალიზირება, აგრეთვე სათანადო ამოცანის ამოხსნაც (ამ შემთხვევაში — არჩევანი), რაც აგრეთვე პირველ ეტაპს განეკუთვნება. თვით ნებელობითი პროცესის სირთულე იმ წინააღმდეგობებზეა დამოკიდებული, რაც შესაბამისი განწყობის აქტუალიზირებას უშლის ხელს. ნაკლები წინააღმდეგობის შემთხვევაში ქცევა იმპულსურს უნდა უახლოვდებოდეს. ამიტომ იმპულსური და ნებელობითი ქცევების გარჩევისას სიფრთხილე გამართებს.

როგორც ცნობილია, იმპულსური და ნებელობითი ქცევა განსხვავდება განწყობის შექმნის ხერხით მხოლოდ და სხვა განსხვავებას მათ შორის დ. უზნაძე არ ნახულობს. ნებელობის შედეგად კი განწყობის შექმნა არის სუბიექტის გადახალისება. და თუ კი სუბიექტი ცნობიერების დონეზე ჩაერევა თავისი ფსიქიკის სამყაროში იმგვარად, რომ ერთი ქცევის შესაბამისი მზაობა სხვა ქცევისათვის მზაობად შეცვალოს, ეს უკანასკნელი აუცილებლად უნდა მოხდეს შეგნებული თვითმართვის საფუძველზე.

6 ბ. პუ შკინი, ლ. ყანჩაველი. მითითებული შრომა.

7 დ. უზნაძე. შრომები, ტ. 3—4, გვ. 183.

იმპულსური ქცევის სათანადო პირველადი განწყობა წინ უსწრებს მოქმედებას; იმ მოქმედების განხორციელებისათვის კი, რომელიც ნებულობის შედეგად და მის საფუძველზე უნდა წარიმართოს, სასურველი მოქმედება იღეა-ში⁸, რომლისთვის სიტუაცია შეიძლება ჯერ არც არსებობდეს, წინ უსწრებს განწყობის აქტუალიზაციას. ამის შედეგად ირღვევა მიმდევრობა: მოთხოვნილება — სიტუაცია — განწყობა — მოქმედება და იცვლება სხვა მიმდევრობით: მოთხოვნილება — მოქმედება იღეაში — განწყობა — სიტუაცია — განწყობის რეალიზაცია.

საზოგადოდ, ქცევის განხორციელება სხვადასხვა დონეზე ეს არის სხვადასხვა დონის თვითმართვის ასპექტის განხორციელება. მაგრამ ამგვარი მართვა და ქცევის სხვადასხვა დონეზე გადართვა სუბიექტისათვის გაუცნობიერებლად, სპონტანურად ხდება იმ აქტუალური ქცევის შესაბამისად, რომელიც ამჟამად მოეთხოვება სუბიექტს⁹.

ს. რუბინშტეინის სკოლის უკმარისობიდან გამომდინარე, ბ. პუშკინი თავის დროზე აღნიშნავდა, რომ „საჭირო შეიქმნა ფსიქიკური მოქმედების სხვადასხვა დონეების ანდა ბლოკების შემცველი ისეთი სივრცობრივი მოდელის შექმნა, რომელშიც ფსიქიკის სხვადასხვა პროცესების ერთდროული განხორციელებისათვის იქნებოდა შესაძლებელი. დ. უზნაძემ განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაადგა შემეცნებითი მოქმედების არქიტექტონიკის ანალიზში, როგორც თვითმართვის სპეციფიკურ სისტემაში“.

და შემდეგ: „თუ შევადარებთ განწყობის იმ კონცეფციას, რომელიც განვიითარა დ. უზნაძის მიერ შექმნილმა ქართველ ფსიქოლოგთა სკოლამ, ინტენციის კატეგორიას ფსიქოლოგიის ფენომენოლოგიურ სისტემაში, ნათელი გახდება ის პრინციპული სიახლე, რაც უზნაძემ ზოგადი ფსიქოლოგიის სისტემაში შემოიტანა. ფენომორფოლოგიისათვის დამახასიათებელი ერთდონიანი სიბრტყის წარმოდგენა ფსიქიკის შესახებ მის მიერ შეცვლილი იქნა ორდონიანი სტრუქტურით. ამასთან, მარეგულირებელი დონე (განწყობა) სუბიექტის აქტუალურ ცნობიერებაში წარმოდგენილი ფენომენოლოგიური ველის გარეთ აღმოჩნდა. ეს გადასვლა ფენომენოლოგიური ველიდან თვითმართვის ფსიქოლოგიურ სისტემაზე, სადაც სხვადასხვა დონეზე აღმოჩნდა შემეცნების მართვადი და მარეგულირებელი პროცესუალური კომპონენტები, მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ იგი ბევრად ადრე მოხდა იმასთან შედარებით, რაც კიბერნეტიკაში დაიწყო თვითმართვადი სისტემის ცნების ფართო დანერგვა“¹⁰.

ამგვარად, ბ. პუშკინი დ. უზნაძის თეორიის ერთ-ერთ პროგრესულ მხარეს იმაში ხედავს, რომ მან ფსიქოლოგიაში მართვის დონე შემოიტანა, თუმცა იმპლიციტურად.

⁸ მოთხოვნილების მიზანი მიზნად რჩება, ოღონდ ამ მიზნის მისაღწევად სხვა მოქმედების მოთხოვნილება აღმოცენდება. თუ კი მიზანი იცვლება ცნობიერების დონეზე, ესეც ნებულობის შედეგად უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან იმპულსური ქცევის დამუხრუჭებაც თავისთავად განწყობის შეცვლას ნიშნავს.

⁹ ლ. ყანჩაველი. პირველადი განწყობის მართვის დონე საპროვენო ამოცანების ამოხსნისას, თბ., 1983, № 1, გვ. 70—79.

¹⁰ В. Н. П у ш к и н. Психологические основы построения обучающих систем. Сб. Вопр. кибернетики, человеко-машинные обучающие системы М., АН СССР, 1979, стр. 13-14.

მართლაც, რომ დავუკვირდეთ ადამიანის ფსიქიკურ ცხოვრებას, შევა-
ჩნევთ, რომ ესა თუ ის ფსიქიკური პროცესი წარმართება რომელიმე დონე-
ზე შესაბამისი თვითმართვის განხორციელებით. თვით სამართავ შინაარსს კი
წარმოადგენს რაიმე ინფორმაციული ანდა ქცევითი მასალა, რომელიც ექ-
ვემდებარება ამ მართვას. მაგალითად, ობიექტივაცია თვითონ შეიძლება გახ-
დეს კონტროლის ანდა განსტიკურ-შინაარსობრივი ფუნქციის სახით მარეგულ-
ირებელი როლის შემსრულებელი, თუ სუბიექტის ქცევა ობიექტივაციას
შესაბამება. სათანადო შინაარსი კი ის ინფორმაცია იქნება, რითიცაა განსა-
ზღვრული ამ ეტაპზე სუბიექტის აქტივობა. ასევეა ფიქსირებული განწყობაც,
რომელსაც თავისი გარკვეული შინაარსები გააჩნია აბსტრაგირებული მიმარ-
თებების სახით. სწორედ იმპულსური ქცევის დროს ხდება ამ შინაარსების ქცე-
ვაში გაშლა შესაბამისი ადექვატური სიტუაციისდა მიხედვით. ჩვენ ვიცით,
რომ სუბიექტი არაადექვატურად იქცევა ხოლმე ისეთ სიტუაციაში, რომელიც
მისთვის კრიტიკულს წარმოადგენს. ქცევა წყდება შეფერხებით, თუ კი ქცე-
ვის შესაბამობა სუბიექტისათვის შესაძინევი გახდება. ამ შემთხვევაში უნდა
ითქვას, რომ ფიქსირებულ განწყობას არასწორად დაეკისრათ მართვის ფუნ-
ქცია და მას ქცევის ობიექტური კონტროლი აკლია. ამგვარ უკმარის კონ-
ტროლზეა აგებული სუბიექტის ილუზიები კრიტიკულ სიტუაციაში, თუმცა
ჩვენი აზრით ამგვარი ილუზიები უნდა უწყობდეს ხელს განზოგადობას, ვი-
ნაიდან ეს ილუზიები წარმოადგენენ ფიქსირებული განწყობების შინაარსში
შემავალი მიმართებების გადატანას სხვა სიტუაციაში, სადაც ისინი ისევე აქ-
ტიურად ჩაირთვებიან სუბიექტის მოქმედებაში, როგორც მისი ქცევის აქ-
ტუალური ელემენტები. ესე იგი სუბიექტისათვის მიმართება და ელემენტები
ერთი კონკრეტული ქცევის სისტემაში ჩართული. აღინშნული გადატანები, ეტ-
ყობა, გარკვეულ როლს უნდა თამაშობდნენ განწყობის გადართვისას
ნ. ელიავას ექსპერიმენტებში¹¹:

ამგვარად, ფსიქიკის გარკვეულ პროცესებს მართვის ფუნქცია გააჩნიათ
თავისთავად და ერთი მართვის დონიდან მეორეზე გადასვლა სპონტანურად
ხდება, იმის და მიხედვით, თუ რა ქცევას აწარმოებს სუბიექტი.

ამ მხრივ ნებელობა წარმოადგენს ფსიქიკის თვითმართვის სულ სხვა სა-
ხეს. მას ფუნქციად ეკისრება მხოლოდ მართვა როგორც ასეთი. შინაარსი ისე-
თი, რომ მასში გამოიხატებოდეს ნებელობა წმინდა სახით, ესე იგი შინაარსი
მართვის მიზნის, ქცევის ორგანიზაციის გარდა ნებელობას არ გააჩნია. ეს მარ-
თვა იშლება იმ შინაარსებზე, რომელსაც ნებელობას აწვდის ობიექტივაცია,
ცნობიერება, აზროვნება, მოტივაცია. და ამ შინაარსების მიხედვით წარმარ-
თება სუბიექტის ქცევის ნებელობის დონეზე. ეს შინაარსები იცვლება შესაბა-
მისი მოთხოვნილებებისა და სიტუაციის მიხედვით. მაგრამ თუ სუბიექტს არა
აქვს თავის წინაშე დასახული ნებელობითი ამოცანა, თუ მის წინაშე მოქმე-
დების შეცვლის პრობლემა არ წამოიჭრება, მაშინ ვერ ვიტყვით, რომ მისი
ქცევა ნებელობითი პროცესითაა განპირობებული.

სუბიექტი შესაძლოა პრინციპულიც იყოს და, როგორც ამბობენ, მტკი-
ცე ნებისყოფისაც. ეს იმას არ უნდა ნიშნავდეს, რომ ყველა მისი ქცევა ნებე-
ლობის აქტივითაა გამოწვეული. წინააღმდეგ შემთხვევაში იმპულსურ ქცევას და
ჩვევების რეალიზაციას იგი ვერ მოახდენდა უშუალოდ. საქმე ისაა რომ ასეთ

11 ნ. ელიავა. მითითებული შრომა.

სუბიექტს თავის დროზე ნავარჯიშევი ნებისყოფის ანდა სხვა მიზეზის შედეგად (მაგ., აღზრდა) ამგვარი ქცევა გათავისებული აქვს და იგი მისი იმპულსური სამყაროს მკვიდრია. ცხადია, მას ალბათ უფრო ადვილად შეუძლია ნებელობის აქტი განახორციელოს, ვიდრე უპრინციპო და იმპულსურმა სუბიექტმა. მაგრამ მტკიცე ნებისყოფის სუბიექტმაც რომ ნებისყოფას მიმართოს, ამისათვის აუცილებელია მის წინაშე შესაბამისი, ქცევის რეორგანიზაციის პრობლემა წარმოიშვას.

ჩვენ თითქოს პარადოქსალურ შედეგამდე მივედით. კერძოდ, მტკიცე ნებისყოფის ადამიანი უფრო იშვიათად მიმართავს ნებელობის აქტს, ვიდრე სუსტი ნებისყოფის. ეს არც უნდა იყოს გასაკვირი, რადგან პირველს მიზანდასახულობა და პრინციპულობა ძვალსა და რბილში აქვს გამჯდარი და იგი შემთხვევით იმპულსებს არ ემორჩილება, ვინაიდან ისინი მისთვის არ არსებობენ და ამიტომ არც პრობლემა წარმოიშვება იმპულსური ქცევის შესაცვლელად.

მეორე ტიპის სუბიექტი კი უმთავრესად შემთხვევითი და ვიწრო მიზნების მორევში იმყოფება და მას, შესაძლოა, წარმოდგენაც არა ქონდეს სხვაგვარი ქცევის შესახებ. ასეთი სუბიექტის ქცევა ძირითადად წარიმართება შემთხვევითი მიზნებით ანდა იმართება გარედან სხვა სუბიექტის მიერ.

ცხადია, ეს ორი ტიპი პოლარულად განსხვავებულ შემთხვევას წარმოადგენს. ადამიანს, ჩვეულებრივ მეტ-ნაკლებად გააჩნია როგორც ხასიათის სიმტკიცე, აგრეთვე სისუსტეც. შესაძლოა გაურკვეველ სიტუაციაში ქცევა მას უპრინციპობაში ჩამოერთვას და სხვა კი ზედმეტ პრინციპულობას ამქლავებდეს. ეს გააჩნია პიროვნებას და სიტუაციას. თავისთავად ეს საკითხი უფრო დაწვრილებითსა და ფართო კვლევას მოითხოვს, რამაც, უდავოდ, საინტერესო შედეგამდე უნდა მიგვიყვანოს.

ამგვარად, ნებელობა, ანუ ნებისყოფის პროცესი ყველაზე მეტად და თვალსაჩინოდ თავის ფუნქციას განწყობის შეცვლაში და ახალი განწყობის ფორმირებაში ნახულობს. ამ ახალ განწყობაში აისახება სუბიექტისათვის სასურველი ქცევის მზაობა, მისი ორგანიზაცია მთლიან პიროვნულ დონეზე. I ეტაპის შინაარსები ნებელობის აქტს ესაჭიროება იმისათვის, რომ ამ მზაობის ორგანიზაცია მოხდეს და შემდგომ ქცევა მათ მიხედვით იქნეს მოყვანილი სისრულეში.

მაშასადამე, ნებელობა ეს არის უკვე აღმოცენებული განწყობის შეცვლის უნარი, სხვა სასურველი ქცევის განსახორციელებლად, ანუ ეს არის მართვის ფუნქციის განხორციელება ცნობიერების დონეზე. ამიტომ იგი განეკუთვნება ფსიქიკის მართვის უმაღლეს, ცნობიერებით განპირობებულ ინსტანციას. ესე იგი, თუ ობიექტივაცია, ფიქსირებული და პირველადი განწყობა, აზროვნების პროცესი და სხვა სპონტანურად იღებენ თავის თავზე მართვის ფუნქციას ცნობიერების დონეზე მართვის საგანგებო ჩარევის გარეშე იმ ქცევის და მიხედვით, რომელიც ამჯერად სუბიექტის მიერ წარიმართება, ნებელობის პროცესის გამოსაწვევად, პირიქით, მისი მოხმევა აუცილებელია მხოლოდ და მხოლოდ, და განსაკუთრებულად, ცნობიერების დონეზე.

ამიტომ ზედმეტია ლაპარაკი ნებელობის მოშლის შესახებ პათოლოგიის, კერძოდ, აბულის შემთხვევაში. თუ სუბიექტი არ ექვემდებარება გარედან მართვას (ავადმყოფი ვერ ასრულებს ბრძანებას — „მიეკარი ღილი“), იგი მით უმეტეს ვერ დასძლევს თვითმართვას ცნობიერების დონეზე, რომელიც უფრო

გვიანდელი და მაღალი დონის წარმონაქმნს განეკუთვნება. ავტომატიზმების შენარჩუნება კი მიგვანიშნებს მათ შედარებით ადრეულ და სიღრმისეულ ბუნებაზე. ამიტომ ჩვენს წინაშე სავსებით კანონზომიერი იერარქიაა: ავტომატიზმები — მართვა გარედან — თვითმართვა ცნობიერების დონეზე (ნებელობა). ამ ჯაჭვში II რგოლი თუ მოიშალა, ზედმეტია ლაპარაკი III შენარჩუნებაზე, თუმცა III რგოლის მოშლა, რომელიც ზოგჯერ თვალსა და ხელს შუა შეუმჩნეველად გაგვეპარება ხოლმე, ჯერ კიდევ არ მოწმობს წინა რგოლების მოშლას. ამიტომ პათოლოგიის საწყისიც შეუმჩნეველი ხდება, ვინაიდან სუბიექტს შენარჩუნებული აქვს არა მხოლოდ იმპულსური ქცევის მთელი სამყარო, არამედ ბრძანებებისა და გარედან შემოსული მოთხოვნილებების რეალიზაციის უნარი, რითიც ფსიქიკამ, შესაძლოა, „თვალთმაქცობით“ გაართვას თავი პათოლოგიას და მისი ქცევა დარჩეს გარშემომყოფთათვის ნორმის საზღვრებში, მაგრამ II რგოლის მოშლის შემდეგ ასეთი „თვალთმაქცობა“ შეუძლებელი ხდება. ამას ზოგჯერ თვითონ სუბიექტიც ამჩნევს.

სხვათა შორის, დ. უზნაძე სწორედ გარედან შემოსულ მართვაში ხედავს ნებელობის გენეზს — ნებელობის განვითარების ერთ-ერთ აუცილებელ პირობას ადრეულ ასაკში; ნებელობა განვითარებადია როგორც ცნობიერების დონეზე თვითმართვის უნარი.

ჩვენი აზრით, არასრულწლოვანის დანაშაულებრივი ქცევა სწორედ ისეთ ქცევას წარმოადგენს, სადაც შთაგონება და იმპულსი უფრო შეიმჩნევა, ვიდრე ნებელობითი ქცევა. მართლაც, არასრულწლოვანი ხშირად ბოლომდე შეუგნებლად, მხოლოდ აქტივობის რეალიზაციისათვის ჩადის დანაშაულს ხელშემწყობი პირობების და მზა ავტომატიზმების გამო, ანდა იგი ლეზულობს ინიციატორის ბრძანებას და მისი ქცევა იმის მიხედვით წარიმართება. მაგრამ მოზარდი დამნაშავე მაინც მიჯაჭვულია იმპულსური სამყაროსადმი, რაც ვლინდება კიდევ ძირითადად დანაშაულის ჩადენის ერთფეროვნებასა და განმეორებაში.

მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი.

ყაჩაღობა:

1. „მსუბუქი მოდებილო პიროვნება“ თ. ლ. ორი უცხო პირისაგან ლებულობს ბრძანებას გაძარცვოს სწორედ ამ დროს გზად მიმავალი ქალი. თ. ლ. დიდის მონდომებით ასრულებს ბრძანებას, თუმცა თავიდან უარი განაცხადა.

2. სამი მოზარდი შეგზდა ერთმანეთს. ისაძილეს „მუხამბაზში“, საიდანაც მოვრალეები გამოვიდნენ. კომუნარების ბაღში „მოეწყვენ სკამებზე“; გამოძინების შემდეგ გაძარცვეს ერთი ახალგაზრდა — ლაბადა გახადეს, გაყიდეს. ფული რესტორანში დახარჯეს. რამდენიმე დღის შემდეგ გაიმეორეს დანაშაული — ლაბადა გახადეს სამ მოქალაქეს და გაყიდეს.

3. ორი მეცხრეკლასელი წავიდა უფროს ამხანაგთან თოფის სათხოვნელად, რათა გაეძარცვათ მოქალაქეები. ამხანაგმა თოფი არ ათხოვა, მაგრამ დახმარება აღუთქვა და მართლაც დაეხმარა, თუმცა მცდელობა სისრულეში ვერ მოიყვანეს.

რა ნებელობაზე შეიძლება ლაპარაკი, როდესაც დამნაშავეები ახორციელებენ მათთვის ჩვეულ მოთხოვნილებას — ფულის შოვნა შერჩეული ხერხით. პირველ შემთხვევაში კი, თუმცა დამნაშავე დიდ ენერჯიას ხარჯავს, მაინც სხვის ბრძანებას ასრულებს.

6. „მაცნე“, ეკონომიკისა და სამართლის სერია.

მანქანის გატაცება.

1. რ. ლ-მა მთვრალ მდგომარეობაში გაიტაცა სამსახურის მანქანა ისე, რომ სულ არ ახსოვდა ამის შესახებ გამოფხიზლებისას; მოახდინა ავარია და თვითონაც დაშავდა.

2. ბიძამ ჩააბა დისწვილი მანქანისა და მისი ნაწილების გატაცებაში. ა. ი. ჯერ არ ეთანხმებოდა, მერე კი მიიწვია გახდა ბიძამისის სურვილის შემსრულებელი.

3. სამი ყმაწვილი, 16, 15 და 13 წლის შეხვდნენ ერთმანეთს და გადაწყვიტეს მანქანის გატაცება ჯერ გასეირნების და შემდეგ კი სახლებში წასვლის მიზნით.

4. ზ. ი-ს ჰქონდა ნაპოვნი ოთხი ცალი მანქანის გასაღები. შეხვდა ამხანაგს გ. ვ-ს და შესთავაზა მანქანის გატაცება გასეირნების მიზნით. გ. ვ. ჯერ არ დაეთანხმა, მერე კი დახმარებაც გაუწია. ისეირნეს და მანქანა დააყენეს სულ სხვა ადგილას. მეორე დღეს ზ. ი-მ შეუარა მანქანით სხვა ამხანაგს და მასაც შესთავაზა გასეირნება. მანაც ჯერ უარით უპასუხა, მაგრამ შემდეგ მიიღო მისი შეთავაზება და ჩაუჯდა მანქანაში. გზაში ჩაისვეს კიდევ ორი ამხანაგი, რომელთაც სამსახურში აგვიანდებოდათ. მანქანაში ბენზინი გამოიღია და ამ დროს მილიციის მუშაეებმა დააკავეს გამტაცებლები.

5. ა. ა-მ გაიტაცა ნათესავის მანქანა — მასაც ნაპოვნი გასაღები ჰქონდა. — დროებითი გასეირნების მიზნით. გზაში ჩაისვა სამი სხვა ნათესავი. ნათესავებმა მოუწონეს ა. ა-ს ონავრობა. ერთ-ერთ ჯიხურში დალიეს ლიმონათი და უკან დაბრუნებისას ა. ა-მ ავარია მოახდინა, რის შედეგად დაიღუპა 13 წლის ბიჭი. — ცხადია, ავარია რომ არ მომხდარიყო, და არც ბავშვი დაღუპულიყო, ა. ა-ს ეს ონავრობა შერჩებოდა და კარგ, დადებით საქციელშიც ჩათვლებოდა, რომელიც შემდგომში კიდევ უფრო განმტკიცდებოდა.

6. თ. ბ. 01 საათზე მიდიოდა ჩელუსკინელების ხილზე, სადაც შეხვდა ბ. ზ. და გ. ხ-ს, რომელთაც გაეცნო; შემდეგ ყველამ ერთად განაგრძეს გზა. ამოვიდნენ მეტრო „რუსთაველთან“ და ვინაიდან უკვე 04 საათი იყო, გადაწყვიტეს სახლებში წასულიყვნენ. ამ მიზნით მოისურვეს მანქანის გატაცება, რადგან შორს ცხოვრობდნენ. მცდელობა ჩაეშალათ.

7. ს. ს. მთვრალ მდგომარეობაში გამოვიდა მამიდის სახლიდან და ვინაიდან უკვე გვიან იყო, სახლში ტაქსით ისურვა წასვლა; ტაქსის ლოდინში შენიშნა ნაცნობის მანქანა და გაიტაცა; სახლში მიმავალმა ავარია მოახდინა, თორემ, ეტყობა ამასაც შერჩებოდა ამგვარი ონავრობა.

როგორც ვხედავთ აქ არც ერთ შემთხვევაში არ შეიძლება ლაპარაკი ნებისყოფის სიმტკიცეზე და ნებელობაზე. პირიქით, მოზარდები აყოლილნი არიან თითქოს და რომანტიკულ ცდუნებას და სხვებსაც ითრევენ დანაშაულში, რომელთაც აგრეთვე რომანტიკული სამყარო იტაცებს. თავის თავად მანქანით გასეირნების მოთხოვნილება არ არის დანაშაულებრივი შინაარსის. მაგრამ საქმე ისაა, რომ ეს იმპულსი აღიძვრება ან შესაბამისი იარაღის — გასაღების — არსებობიდან გამომდინარე, ანდა რაიმე მიზნის მისაღწევად — სახლში წასასვლელად — არასწორად შეფასებული რეალური სიტუაციის არსებობიდან. მაგრამ რატომ უნდა ინახავდეს ყმაწვილი ნაპოვნი გასაღებს, თუ კი არ არსებობს რეალურად მისი გამოყენების შესაძლებლობა. ცხადია, მანქანის გასაღები ანდა რაიმე სხვა იარაღი შესაბამის ასოციაციებს ქმნის და სათანადო სიტუაცია აღვილად იძენს მპაროვოცირებელ ხასიათს, ვინაიდან იგი სავსებით

უდგება დამნაშავეს შესაძლოა ჯერაც გაუცნობიერებელ ზრახვებს. სხვა შემთხვევაში (სახლში წასასვლელად) მანქანის გატაცება მიზნის მისაღწევად ყველაზე ხელმისაწვდომი და მარტივი საშუალებადაა მიჩნეული, როდესაც საზოგადოებრივი კონტროლი და პირის პასუხისმგებლობა სულ არაა გათვალისწინებული. მთვრალს მართლაც შესუსტებული აქვს ამგვარი კონტროლი, და შუადამისას მოხეტიალე ყმაწვილები კი უკვე დანაშაულის საფრთხეს ქმნიან თვით ამგვარი ხეტიალით. ამ ყმაწვილების მდგომარეობა თავის თავად განგაშს უნდა იწვევდეს, ვინაიდან, როგორც ჩანს, ისინი არ არიან ჩაბმული მოწესრიგებული აღზრდის სისტემაში.

ქურდობა.

1. რ. კ. დადის მალაზიაში და ელოდება ხელსაყრელ შემთხვევას. აი გამოჩნდა კიდეც ქალი ზურგზე მოგდებული ჩანთით. რ. კ. ჩანთის ჯიბიდან საფულის მოპარვას ცდილობს.

2. ს. ნ. და პ. ბ. თელავიდან თბილისში არდადეგებზე ჩამოსულ მოსწავლეებს ეცნობიან და სთხოვენ ფულს; უარს რომ ღებულობენ, ძალით ცდილობენ წართმევას. არასრულწლოვანების გამო დამნაშავეებს ამჯერად აპატიებენ დანაშაულს. მიუხედავად ამისა, პ. ბ. მაინც არ იშლის თავისას და ახლა სხვა პირთან შეთანხმებით ფოსტაში უსაფრდობა მოქალაქეებს. უფრო სწორედ უშუალოდ ფოსტაში უსაფრდობა შეთანხმებული ამხანაგი და თვითონ კი მეზობლისაგან გატაცებული მოტოციკლით გარეთ ელოდება ამხანაგს. ამ უკანასკნელმაც ამოიჩია მსხვერპლი, რომელსაც სალაროდან შესამჩნევად დიდი თანხა გამოაქვს, და აედევნება მას. მოტოციკლით ჩასაფრებული გაყვება იმ ტრანსპორტს, რომლითაც სარგებლობს მსხვერპლი, თვით ტრანსპორტში კი ფოსტაში ჩასაფრებული ჩაჰდება. იგი ახერხებს მოქალაქისათვის ჩანთის გამოგლეჯას უკვე ქუჩაში და გარკვეულ თანხას უნაწილებს კიდეც პ. ბ.-ს, რომელსაც ბოლოს და ბოლოს გზა-კვალი აერევა და ბოლომდე ვეღარ მისდია.

3. ვინმე კ., რომელიც იმყოფება დირექტორისა და კლასის დამრიგებლის მეთვალყურეობის ქვეშ და აღრიცხვანზეც არის აყვანილი არასრულწლოვანთა საქმეების ინსპექციაში, ეტყობა არ იშლის ცუდ ჩვევებს; იგი თავისი ზრახვების შესასრულებლად სათარეშოდ ირჩევს მალაზიას და მოპარავს კიდეც საფულეს ჩანთის ჯიბიდან ერთ-ერთ მოქალაქეს.

4. რუსთაველის გამზირზე ლენინის მოედნისაკენ მიმავალი ვინმე ნ. ი. მოპირდაპირედ მომავალ მანდილოსანს ყელიდან ჩამოგლეჯს ოქროს ძეწვეს თავისივე ოქროს კულონით. სანამ მიუახლოვდებოდა იგი თავის მსხვერპლს, ყმაწვილი თურმე დაჟინებით უყურებდა მას. დამნაშავეს სიტყვებით იგი სულ სხვაგან, ამხანაგთან შესახვედრად მიდიოდა.

5. ი. შ. მოხვდა ისეთ ჯგუფში, სადაც უფროსები ლოთობდნენ, იზიდავდნენ გოგონებსა და ყმაწვილებს და უწეო საცქიელისაკენ უბიძგებდნენ. ამის შედეგად ი. შ.-მ დედის მეზობელს და მეგობარ ქალს ფული მოპარა და დაიმსახურა კიდეც შექება წამქეზებელი უფროსი ამხანაგებისაგან.

6. მ. ბ. ჯერ თავის ამხანაგს ძვირფას ნივთებს გამოძალავს, და შემდეგ მასთან სტუმრად მისული დედის ძვირფას ნივთებს მოპარავს.

7. ნ. კ. ბებიასთან სტუმრად მისული, ვაიგებს რა მისი მეზობლის ბინიდან მაგნიტოფონის ხმას, მეორე დღესვე შეიპარება მათ ბინაში და იპარავს კიდეც მაგნიტოფონს. ერთი წლის შემდეგაც იგივეს იმეორებს. ნადავლი მიაქვს სამსახურში, სადაც კითხვანზე, საიდან გაქვს მაგნიტოფონიო, პასუხობს, რომ

მოვიპარეო. ასეთი მოუზრდელობა დაუჭერებელია, მაგრამ ასეა. შემდეგ დანაშავეს სულ სხვა სიტუაციაში აკვებენ. აქ ყველაფერთან ერთად გასაოცარია გარშემო მყოფთა შემწყნარებლობა. ეტყობა, დამნაშავე ამას გულისხმობს კიდევ თავის ქცევაში და სულაც არ მოელის მათგან გაკიცხვას ან დასჯას.

8. „დებილობის ხარისხის გონებრივად ჩამორჩენილმა“ ი. ზ.-მ ჯერ მეზობელს მოპარა ნივთი, შემდეგ მინა ჩამატერია და ისე შეაღწია ბინაში. დანაშაულის სერია გრძელდება: კუმისის ტბასთან მდებარე ნაკვეთში შეაღწევს და თანამზრანგელის თანხლებით იპარავს ინდაურებსა და ქათმებს; შემდეგ შეაღწევს მეზობლის სარდაფში და იპარავს ტელეფონს, მიკროფონებსა და ბატარეებს.

ეს „დებილობის ხარისხის გონებრივად ჩამორჩენილი“ დამნაშავე შესაშური ენერგიით და მონადობით ჩადის რამდენიმე დანაშაულს ზედისუფდ. ექიმების დასკვნა რომ არა, შესაძლოა მისი ნებისყოფის სიძლიერისათვის მიგვეწერა ამგვარი საქციელი. გარდა ამისა, როგორც ადვილი შესამჩნევია, ამ არასრულწლოვან დამნაშავეებს რატომღაც იზიდავს დანაშაულის გამეორება. ამგვარი გამეორება ისეთი მიზანდასახულობით ხდება, რომ შეცდომით შეიძლება პრინციპულობას და ნებისყოფას მიეწეროს იგი. მაგრამ, როგორც ირკვევა მათი დახასიათებიდან, ეს პირები, როგორც წესი, სუსტი მოსწავლეები არიან, ზოგ შემთხვევაში ბავშვობაც ტრავმირებული აქვთ და ოჯახის წევრებიც ვერ ერევიან მათ. ერთი სიტყვით, დანაშაულის მიზეზი მრავალფაქტორიანია, რომელთა ერთობლიობაც და ცალ-ცალკე არსებობაც ხელს უწყობს იმას, რომ უნებისყოფო და უპრინციპო მოზარდი ყალიბდება, რომლის ზოგიერთი ახირება შესაძლოა ნებისყოფადაც მივიჩნიოთ. მაგრამ, როგორც მავალითებიდან ჩანს, დამნაშავეს კი აქვს საკმაოდ გაცნობიერებული თავისი ნებასურვილი, მაგრამ ეს ნება-სურვილი მისი იმპულსური-სამყაროდან მომდინარეობს. მისი ფსიქიკა კი ისეთ ვითარებაშია მოქცეული, იმდენად სუსტია კონტროლი და თვითმართვა ცნობიერების დონეზე, რომ იგი ვაფრთხილების შემდეგაც კი ანგარიშმიუცემლად ექცევა სიტუაციისა და გარემოს ტყვეობაში მის იმპულსურ მოთხოვნილებებზე რომ აღარაფერი ვთქვათ. დამნაშავე მხოლოდ იმას ცდილობს, რომ როგორმე პასუხისგებას აარიდოს თავი, რაც ქცევის გაცნობიერების კიდევ ერთ ფაქტზე მიუთითებს.

არასრულწლოვანი ისეთ ასაკს განეკუთვნება, როდესაც ქცევის შეფასება ჩამოყალიბებული უნდა იყოს ისეთ დონეზე, რომ მოზარდს შეეძლოს თავი აარიდოს ასოციალურ ქცევაში მის ჩათრევას და მიმზიდველი საგნებიდან გამომდინარე მითვისების იმპულსებს. მაგრამ როდესაც, ზოგჯერ უსაგნო, და, ზნირად კი, არასწორად გასაგნებული აქტივობა მოითხოვს რეალიზაციას და მოზარდის ფსიქიკა კი დატვირთულია ასოციალური შეფასებებით, მას უკვე აღარ გააჩნია თავისი ქცევის ობიექტური შეფასების და, მით უმეტეს, იმპულსის შეკავებისა და ქცევის შეცვლის უნარი, რაც უშუალოდ ნებელობის არეს განეკუთვნება. აქ ნებელობაზე შეუძლებელია ლაპარაკი: მით უმეტეს, რომ ეს გარდამავალი ასაკი დატვირთულია არა მარტო ენერგეტიკული ცვალებადობით, არამედ ცნობიერებაში ასახული გაუფასურებით, გადაფასებით, შეუფასებლობით და ენერგიის დახარჯვის მიზნით აქტივობის მოძალეული იმპულსით.

მით უფრო საშიშია ამ ასაკში ჩამოყალიბებული ასოციალური და მავნე ჩვევები, რადგან ისინი უშუალოდ არაცნობიერ სამყაროში იღვამენ ღრმა ფენებს, რაც მოზარდის მომავალზეც აშკარად იქონიებს გავლენას.

Л. Г. КАНЧАВЕЛИ

СИСТЕМА ПСИХОЛОГИЧЕСКОГО УПРАВЛЕНИЯ В ПОВЕДЕНИИ И ПРЕСТУПНОСТЬ НЕСОВЕРШЕННОЛЕТНИХ

Резюме

Исходя из теории установки, автор предлагает рассматривать систему психологического управления поведением на двух уровнях. Первый уровень автор относит к неосознаваемой саморегуляции, когда поведение подчиняется импульсу актуальной потребности, что в действии непосредственно проявляется в акте объективации при задержке действия, в процессах мышления в проблемной ситуации, а также в реализации фиксированных и первичных установок и т. п.

Второй, осознанный уровень — это сугубо волевой уровень управления; автор относит его к высшей инстанции психической саморегуляции, а именно, осознанной саморегуляции, при которой в качестве регуляторной структуры выступает волевой процесс как таковой, а содержательной стороной его является конкретная задача, поставленная перед собой самим субъектом. По мнению автора, Д. Н. Узнадзе, касаясь волевого процесса, имеет в виду именно второй уровень саморегуляции.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის სისხლის სამართლის და კრიმინოლოგიის განყოფილებამ.

ირინა აქუზარაძე

საპროკურორო ზედამხედველობის ისტორია საქართველოში
(1922—1925 წწ.)

სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცების საქმეში პროკურატურის ორგანოების პრაქტიკული საქმიანობის განხორციელებას მნიშვნელოვანწილად ხელს უწყობს საპროკურორო ზედამხედველობის პრობლემების მეცნიერული დამუშავება. ამიტომ იურიდიული მეცნიერება ომის შემდგომ წლებში განსაზღვრულ ყურადღებას აქცევდა საბჭოთა პროკურატურის შექმნისა და განვითარების ისტორიის საკითხების დამუშავებას ჩვენი საზოგადოების განვითარების სხვადასხვა ეტაპზე. კერძოდ, ამ საკითხს მიუძღვნეს შრომები რიგმა მეცნიერებმა — მ. კოჭენიკოვმა¹, ვ. თადევოსიანმა², ს. ბერეზოვსკიამ³, ვ. ლებედინსკიმ და ი. კალენოვმა⁴, მ. რაგინსკიმ⁵, ა. ფალიაშვილმა⁶ და სხვებმა.

საინტერესოა რა ფორმებითა და მეთოდებით ხორციელდებოდა საპროკურორო ზედამხედველობა საქართველოში პროკურატურის დაარსების პირველ წლებში, კერძოდ, 1922—1925 წლებში.

საპროკურორო ზედამხედველობის მარეგულირებელ პირველ საკანონმდებლო აქტს საქართველოში წარმოადგენდა პროკურატურის დებულება, რომელიც სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა დაამტკიცა 1922 წლის 11 ნოემბრის № 19 დადგენილებით⁷.

აღნიშნული დებულებით პროკურატურას დაევალა საერთო ზედამხედველობის განხორციელება, ზედამხედველობა გამოძიების ორგანოთა, აგრეთვე სრულიად საქართველოს საგანგებო კომისიის (შემდგომში სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს) საქმიანობაში კანონთა დაცვაზე, სასამართლო ზედა-

¹ იხ. Кожевников М. В., История советской прокуратуры, докт. диссерт. М., 1945.

² Тадевосян В. С., Прокурорский надзор в СССР, М., 1956.

³ Березовская С. Г., Прокурорский надзор в советском государственном управлении, М., 1954.

⁴ Лебединский В. Т. Каленов Ю. А. Прокурорский надзор в СССР, М. 1957.

⁵ Рагинский М. Ю., Начало централизации прокурорского надзора в СССР. Прокуратура Верховного суда СССР, в кн.: Становление и развитие прокурорного надзора в СССР. Торжество Ленинских идей (сборник научных трудов) М., 1976.

⁶ ა. ი. ფალიაშვილი, — საბჭოთა პროკურატურის განვითარების ძირითადი ეტაპები, ჟურნ.: „საბჭოთა სამართალი“, 1982 წ. № 3.

⁷ საქართველოს სსრ ოქტომბრის რევოლუციისა და სოციალისტური მშენებლობის ცენტრალური სახელმწიფო არქივი (საქ. სსრ ორსმცსა), ფ. 284, აღწერა 1, საქმე 30, გვ. 5.

მხედველობა და ზედამხედველობა თავისუფლების აღკვეთის ადგილებში და პატიმრების კანონზომიერებაზე⁸.

საქართველოს სსრ პროკურატურა იმყოფებოდა რესპუბლიკის იუსტიციის სახალხო კომისარიატის სისტემაში. პროკურატურას რესპუბლიკის პროკურორის სახით სათავეში ედგა საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარი⁹.

დებულების მე-9 მუხლი რესპუბლიკის პროკურორს ავალდებდა: თვალყური ედევნებია ყველა სახალხო კომისარიატის და სხვა ცენტრალური დაწესებულებებისა და ორგანიზაციის მოქმედების კანონიერებისათვის; პროტესტი შეეტანა სახკომსაბჭოსა და ცაკ-ის პრეზიდიუმში კანონსაწინააღმდეგო განკარგულებათა და დადგენილებათა გასაუქმებლად; ხელმძღვანელობას და თვალყურის დევნას რესპუბლიკის პროკურორის თანაშემწეთა მოქმედებაზე, აგრეთვე პირადად პროკურორისა და მის თანაშემწეთა ფუნქციების განხორციელებას, როცა ამას თვითონ ჩათვლიდა საჭიროდ.

დებულების მე-11 მუხლით კი ადგილობრივად მყოფ პროკურორთა მოვალეობას შეადგენდა: ა) თვალყურის დევნა ადგილობრივ დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მოქმედების კანონიერებაზე, აგრეთვე წინადადების მიცემა სამაზრო აღმასკომებისათვის, რათა ამ უკანასკნელთ გაეუქმებინათ მათ მიერ, ან მათ დაქვემდებარებაში მყოფ ორგანოთა მიერ გამოცემული კანონსაწინააღმდეგო განკარგულება ან დადგენილება; ბ) რესპუბლიკის პროკურორის შემწევობით პროტესტის შეტანა ზემოთ აღნიშნულ განკარგულებათა და დადგენილებათა გამო საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს ან საქართველოს ცაკ-ის პრეზიდიუმში.

ამასთან რესპუბლიკის პროკურორი და ოლქის პროკურორები გამოსცემდნენ ცირკულიარებსა და ინსტრუქციებს საპროკურორო ზედამხედველობის ამა თუ იმ დარგის ცალკეული საკითხების მოსაწესრიგებლად.

მაგალითად, გამოძიების ორგანოთათვის მეთვალყურეობაზე პროკურატურისა და ოლქის სასამართლოს ფუნქციების ერთმანეთში არევისა და პარალელურობის თავიდან ასაცილებლად¹⁰ იუსტიციის სახალხო კომისარმა და რესპუბლიკის პროკურორმა გამოსცეს ინსტრუქცია¹¹, რომლის მიხედვით წინასწარ გამოძიებაზე ზედამხედველობა და საერთო ხელმძღვანელობა ეკისრებოდა მხოლოდ პროკურატურას. სასამართლოს განმწესრიგებელი სხდომა განუმარტავდა გამოძიებლებს, თუ როგორ უნდა შეესებულებოდა გამოძიება, ხოლო ამ დამატებით საგამოძიებო მოქმედებაზე ზედამხედველობას განხორციელებდა პროკურატურა. გამოძიებლის მოქმედებაზე შეტანილ საჩივარს განიხილავდა მარტოოდენ პროკურატურა თუ ოლქის სასამართლო აღმოაჩენდა გამოძიებლის მოქმედებაში ისეთი საპროცესო ხასიათის დარღვევას, რომელიც საერთო იქნებოდა მის მიერ გამოძიებულ სხვა საქმეებისათვისაც, იგი ამას აცნობებდა პრო-

⁸ П а л и а ш в и л и А. Я. Прокуратура Грузии в 1930-1933 годах, в кн.: Совершенствование прокурорского надзора в СССР, М., 1973, с. 313.

⁹ П у т к а რ ა დ ჯ ე Я. В. Учреждение и развитие прокуратуры Грузинской ССР, в кн.: Проблемы прокурорского надзора, М. 1972, с. 293.

¹⁰ ცნობილია, რომ პროკურატურის შექმნის შემდეგ გამოძიებლები მაინც სახალხო სასამართლოებთან არსებობდნენ და სახალხო მოსამართლეები ხელმძღვანელობდნენ მათ მუშაობას. საქართველოს სსრ უზენაეს სასამართლოში კი არსებობდნენ გამოძიებულ-მოხსენებლები და უდიდეს საქმეთა გამოძიებლები. იმ დროს საქართველოში სასამართლოთა 73 უბანი არსებობდა და ამ უზენაეს სახალხო გამოძიებელთა კამერები მუშაობდნენ. (იხ. ო. ზანგულერი, საქართველოს პროკურატურის შექმნა, ჟურნალი „საბჭოთა სამართალი“ 1982 წ. № 3, გვ. 20).

კურორს, შესაბამისი ზომების მისაღებად და, თუ საჭიროდ მიიჩნევედა, შეეძლო აღედგა დისციპლინური საქმე გამოძიებლის მიმართ, რასაც ასევე აცნობებდა პროკურორს.

1923 წლის 1 ნოემბერს აღმოსავლეთ საქართველოს პროკურორმა გამოსცა ცირკულიარი¹², რომლითაც ყველა უბნის გამომძიებელს დაეკისრა მოვალეობა სათანადო პროკურორის თანაშემწეთათვის ეცნობებინათ მათ უბნებში აღძრულ ყველა საქმეზე წინასწარი გამოძიების დაწყება, აგრეთვე გაეზავენათ ბრალდებულთა დაპატიმრების დადგენილებათა პირები.

პროკურორის თანაშემწეს კი დაეკისრა ზედამხედველობა წინასწარი გამოძიების დადგენილი ვადების (საქართველოს სსრ სსსკ-ის 116-ე მუხლით 2 თვის ვადა იყო დაწესებული წინასწარი გამოძიების ჩასატარებლად. აღნიშნული ვადა იწყებოდა ექვმიტანილისათვის პასუხისგებაში მიცემის დადგენილების გამოცხადებს მომენტიდან) დაცვაზე.

იმ შემთხვევაში, როდესაც წინასწარი გამოძიება ორი თვეში არ დამთავრდებოდა, პროკურორის თანაშემწეს უნდა ეცნობებინა აღმოსავლეთ საქართველოს პროკურორისათვის წინასწარი გამოძიების ორი თვის ვადაში დაუმთავრებლობის მიზეზი.

გარდა ამისა, პროკურორის თანაშემწეებს ზედამხედველობა უნდა გაეწიათ ბრალდებულთა დაპატიმრების ვადების (2 თვე) დაცვაზე. განსაკუთრებით რთულ საქმეებზე კიდევ ერთი თვით პატიმრობის ვადის გაგრძელებისათვის გამომძიებელს ნებართვა უნდა აეღო პროკურორის თანაშემწისაგან, რაც ამ უკანასკნელს უნდა ეცნობებინა აღმოსავლეთ საქართველოს პროკურორისათვის.

დაარსების პირველ წლებში, მრავალმხრივი საქმიანობის მიუხედავად, პროკურატურის უმთავრეს ამოცანას შეადგენდა ბოროტმოქმედებასთან ბრძოლა და ამდენად მისი ყურადღება უფრო მეტად მიქცეული იყო მოკვლევისა და გამოძიების ორგანოებზე.

მოკვლევის ორგანოების საქმიანობის გასაუმჯობესებლად რესპუბლიკის პროკურატურამ ქ. თბილისში და ქ. ქუთაისში დააარსა კურსები, სადაც პროკურორები თავიანთი თანაშემწეების მეშვეობით აცნობდნენ მოკვლევის ორგანოებს არსებულ კანონმდებლობას, უხსნიდნენ და უმარტავდნენ მათ თავიანთ მოვალეობას და კვლევა-ძიების წარმოების წესს. ქალაქებში მოკვლევის ორგანოებს სწრაფად ეძლეოდათ ინსტრუქციები, მაგრამ მაზრებში მდგომარეობა გართულებული იყო, რადგან აღნიშნულ კურსებზე ყველა თანამშრომლის გაზავნა ვერ ხერხდებოდა, ადგილობრივად კი კურსების გახსნა ღირ თანხებს მოითხოვდა. ამის გამო პროკურორის თანაშემწეები შეძლებისდაგვარად დადიოდნენ სოფლად და აწოდებდნენ მოკვლევის ორგანოებს სათანადო ინსტრუქციებს. თუკი პირველ ხანებში მოკვლევის ოქმები კუთვნილებისამებრ არ იგზავნებოდა და სათანადო წესით არ იყო შედგენილი, რაც იწვევდა ხშირად შედმეტ მიმოწერას, 1925 წლისათვის ამ ხასიათის არანორმალური მდგომარეობა იშვიათი იყო. აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს პროკურატურაში შემოსული კვლევა-ძიების ოქმების რაოდენობა 1925 წლის 1 იანვრიდან 1 ივლისამდე შეადგენდა 544-ს, სადაც 173 ოქმის წარმოება შეწყდა, დანარჩენს კი მიეცა სათანადო მსვლელობა¹³.

11 საქართველოს სსრ ორმსკსა, ფ. 1566, აღწერა 1, გვ. 25.

12 საქართველოს სსრ ორმსკსა, ფ. 1566, აღწერა 2, გვ. 3.

13 საქართველოს სსრ ორმსკსა, ფ. 600, აღწერა 1, საქმე 516, გვ. 20.

რაც შეეხება გამოძიებაზე ზედამხედველობას, ამ პერიოდში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა საგამოძიებო აპარატი. პროკურორები დეტალურად ეცნობოდნენ გამოძიებით დამთავრებულ საქმეებს, წარმართავდნენ მათ ქვემდებარეობისამებრ. ზოგიერთ შემთხვევაში კი საქმეებს აბრუნებდნენ დამატებითი გამოძიებისათვის. 1925 წლის 1 იანვრიდან აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს პროკურატურაში შემოვიდა გამოძიებით დამთავრებული 1841 საქმე, საიდანაც საბრალდებო დასკვნით სასამართლოებში გადაგზავნილი იქნა 962, საქმის შეწყვეტის დადგენილებით სასამართლოში გადაგზავნილი იქნა 659, დამატებითი გამოძიებისათვის დაბრუნებულ იქნა 116, შეჩერდა 11 საქმე და 1925 წლის 1 ივლისისათვის დარჩენილი იყო 93 საქმე¹⁴.

პროკურატურა ახორციელებდა აგრეთვე ზედამხედველობას სასამართლოში საქმეთა განხილვის კანონიერებაზე, ამ პერიოდში პროკურორები მონაწილეობდნენ სასამართლოს განწესრიგებელ და საჯარო სხდომებზე, შეჰქონდათ საკასაციო და საზედამხედველო პროტესტები. მონაწილეობდნენ იმ სამოქალაქო სამართლის საქმეთა განხილვისას, რომელთაც დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ჰქონდათ, ან აუცილებელი იყო მშრომელთა ინტერესების დაცვა. რაც შეეხება სასამართლოს განაჩენებისა და გადაწყვეტილებების ზედამხედველობის წესით განხილვას, მას აწარმოებდა მხოლოდ რესპუბლიკის პროკურატურა. აღნიშნულ პერიოდში იუსტიციის სახალხო კომისიარტის საპროკურატურო განყოფილებასა და აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს პროკურატურაში შეტანილ იქნა სულ 486 საჩივარი, საიდანაც სათანადო მსვლელობა მიეცა 89 საჩივარს, ხოლო დანარჩენი კი დატოვებულ იქნა უშედეგოდ¹⁵.

